ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

1425
2014

ახალ
!



**ექსკლუზივი**

## რუსული „ისკანდერების“ საიდუმლო ამერიკელებმა საქართველოში ამოხსნეს

## სირიის პრეზიდენტს ცხინვალში ნაბრძოლი ჩეჩნები იცავენ?!

N1 (191) იანვარი, 2014

# სარჩევი





39


72


52


**4 კალეიდოსკოპი**
სამხედრო სიახლეები

**8 შეიარაღებული ძალები**
ჯარი... ადამიანური სახით

**10 მისია**
ქართული ახალი წელი
ავღანეთში

**12 ექსკლუზივი**
რუსული „ისკანდერების" საიდუმლო
ამერიკელებმა საქართველოში ამოხსნეს

**15 კონფლიქტის ზონა**
დეკემბერი ოკუპირებული
ტერიტორიების საზღვრებთან

**18 ექსპოზიცია**
Dubai Air Show 2014

**22 საფრთხე**
სხვენში გადამალული
„სტრელების" გამშვებები

**24 რეგიონი**
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**28 სპეცსამსახურები**
რატომ გვჭირდება სიცრუის
დეტექტორი — პოლიგრაფი?

**31 აშკარა-დაუჯერებელი**
ჩინური ტანკი...
ცარიელი ჰილზებიდან

**32 სამეზობლო**
სირიის პრეზიდენტს ცხინვალში
ნაბრძოლი ჩეჩნები იცავენ?!

**35 ძველი საქმე**
საქართველოს ეროვნული არქივის
დაბრუნების საიდუმლო

**39 ინოვაციური ტექნოლოგიები**
საბრძოლო ბგერები

საბრძოლო მანქანები 44
უკვდავი „ბერდეემი“

სპეცოპერაციები 48
ზეციური მეხთატეხა

ავიაცია 52
მფრინავი თეფშები

ფლოტის წარსული 55
ბათუმის საზღვაო რაზმი

საფორტო ნაგებობები 59
დარიალის ციხე

100 დიდი მხედართმთავარი 62
ფრიდრიხ დიდი

ცხელი წერტილი 65
ჩრდილო კოსოვო

მეომრები 68
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

ზარადხანა 72
ქართული ხმლების ისტორიიდან

იარაღი კინოში 76
„ავატარის“ იარაღის სამყარო

კროსვორდი 78
არსენალვორდი

ქალი ფორმაში 79
ფოტოგანწყობისთვის

იარაღის გალერეა 81
M16 ტყვიამფრქვევის როლში

# რედაქციისგან

„არსენალის“ რედაქცია ახალ, 2014 წელს ულოცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციელებს, მესაზღვრეებს და უსურვებს საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას, რათა ღირსეულად შეეძლოთ ჩვენი ქვეყნის დაცვა გარე თუ შიდა მტრების თავდასხმისგან!

რედაქცია თავის ერთგულ მკითხველს ჰპირდება, რომ „არსენალი“ 2014 წელს უფრო საინტერესო გახდება, ჩვენ ხომ წელს 10 წელი გვისრულდება!

მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: (+995 32) 237-78-07
(+995 32) 238-78-70

პალიტრამედიის ცხელი ხაზი:
ტელ: (+995 32) 219-60-13
(+995 32) 219-60-53
Email: contact@palitra.ge

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: (+995 32) 238-26-74
(+995 32) 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
23.12.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©

# საშობაო „დინგო“

შობა-ახალი წლის დადგომას ავღანეთში მყოფ NATO-ს საერთაშორისო მისიაშიც აღნიშნავენ. მართალია, ცხელ წერტილში ჯარისკაცისთვის დღესასწაული განსხვავებული და მოკრძალებულია, მაგრამ ამ ფოტოსურათის შემხედვარე, დარწმუნდები, რომ მთავარი მაინც საზეიმო განწყობაა, დანარჩენი კი ფანტაზიისა და მარჯვე ხელების საქმეა.

სურათზე გამოსახულია ავღანეთში გერმანული კონტინგენტის ჯავშანმანქანა „დინგო“, რომელიც სამხედროებმა საშობაოდ მორთეს. „კამუფლაჟი“ ნამდვილად ლამაზია, ოღონდ რა რეაქცია ექნებათ სადღესასწაულო გირლანდებით დამშვენებული მანქანის დანახვაზე თალიბებს, ძნელად გამოსაცნობია.



# ავეჯი საზღვაო ნაღმებისგან



რა არის ეს, ომის ექო? არა, ეს ავეჯია. დიახ, ბომბებსა და ყუმბარებსაც შეუძლიათ ინტერიერის დამშვენება. ასეთი უჩვეულო იდეა კი თავში ესტონელ სკულპტორ მატი კარმინს მოუვიდა, რომელიც ავეჯს ძველი, ფეთქებადი მასალებისგან დაცლილი საზღვაო ნაღმებისგან ქმნის.

საბჭოთა დროში ესტონეთის ქალაქ პალდისკში წყალქვეშა ფლოტის სასწავლო ბაზა იყო. მას შემდეგ კი, რაც ფლოტმა ბაზა დატოვა, იქ აურაცხელი, გამოუყენებელი და დაცლილი ნაღმი დარჩა.

მათი დამუშავების შემდეგ ოსტატმა დეკორატიული ავეჯის მთელი კოლექცია შექმნა. ნიჭიერი სკულპტორის ხელში საბჭოთა ბალტიის ფლოტის ნაღმები დივან-სავარძლებად, საწოლებად და საბავშვო ეტლებადაც გადაიქცა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესაიდუმლო სტელს-უპილოტოს უკვე ცდიან



მართალია, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები კრინტს არ სძრავენ პროგრამის შესახებ, რომლის მიზანი უპილოტო სტელს-აპარატის შექმნაა, მაგრამ მონაცემებმა მაინც გამოჟონა. ახალი თაობის ზესაიდუმლო უპილოტო საფრენ აპარატზე კომპანია Northrop Grumman-ი მუშაობს. აპარატი დაზვერვისა და თვალთვალის ამოცანებს შეასრულებს, სახელად კი RQ-180 შეურჩიეს.

ამჟამად უპილოტოს გამოცდა ნევადის შტატში, ე.წ. ზონა Area 51-ში მიმდინარეობს. ცნობილია, რომ ის საგანგებოდ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით დაცულ რაიონებში გამოსაყენებლად იქმნება და 2015 წლისთვის მზად უნდა იყოს.

კიდევ ისაა ცნობილი, რომ აპარატის ფრთების განი 40 მეტრია, ასაფრენი მასა კი – 13 ტონაზე მეტი. უპილოტო 24 სთ იფრენს და 2 ათასს 200 კმ-ს დაფარავს.

# ნორვეგიის არმიაში ორშაბათობით „მარხვაა“



ნორვეგიის შეიარაღებული ძალების სარდლობას საფიქრალი გაუჩნდა — როგორ ებრძოლოს გლობალურ დათბობას და გამოსავალსაც მალევე მიაგნო. გარემოზე მავნე ზეგავლენის შესამცირებლად, სამხედროებმა გადაწყვიტეს, ორშაბათ დღეს ჯარისკაცის რაციონი მთლიანად ვეგეტარიანული კერძებით შეადგინონ.

რიგით მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა, რა კავშირშია ეკოლოგიასთან ვეგეტარიანობა. პასუხს ნორვეგიის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ეისტეინ კვარვინგი იძლევა, რომლის თქმითაც, ვეგეტარიანული საკვების მომზადებისას გარემოს გაცილებით ნაკლები ზიანი ადგება.

დაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ნაბიჯი თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიურად 150 ტონა ხორცის ეკონომიას მოუტანს, თუმცა მეთაურობა თავს დებს, რომ ამ ნაბიჯით სახსრებს სულაც არ ზოგავს და მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გარემოსა და ჯარისკაცის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

# ეს ავღანური ომი კი არა, კინოა!

თალიბთა მმართველობის პერიოდში (1996-2001 წლები) ავღანეთში მასმედიაზე მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული — ტელევიზია, კინო, მუსიკა აკრძალული იყო... მაგრამ ქვეყანაში კოალიციური ძალების შესვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ავღანელმა კინემატოგრაფებმაც, მართალია ჯერ კიდევ სიფრთხილით, მაგრამ მაინც განაახლეს მუშაობა.

ავღანური კინოს მხატვრულ ღირებულებებზე საუბარი აქ უადგილო გვგონია, ხოლო სცენებს რაც შეეხება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მასში ომი, ცეცხლი და სისხლის ღვრაა ასახული.

გადასაღებ მოედნებს არასდროს აკლია მაყურებლები, რომლებიც დიდი ინტერესით შესცქერიან ხოლმე კასკადიორთა გარჯას და, ალბათ, ყველაზე კრიტიკულად და ობიექტურად აფასებენ მათი ტრიუკების ხარისხს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნიკალურ საპოლიციო სედანს აუქციონზე გაყიდიან

უნიკალურ სპეციალურ საპოლიციო ავტომობილს E7-ს, რომელიც გაკოტრებულ ამერიკულ კომპანია Carbon Motors-ს ეკუთვნის, აუქციონზე გაყიდიან.

სედანი ამ კომპანიის პირველი ქმნილებაა და ის 2007 წელს დამოუკიდებლად შექმნილ პლატფორმაზე აიგო. საპატრულო მანქანას გაძლიერებული ძარა, დაჯავშნული წინა კარები, წრიული ვიდეოხედვისა და სანომრე ნიშნების ამომცნობი სისტემები და სხვა სპეციალური აღჭურვილობა აქვს. E7 აღჭურვილია 300-ლიტრიანი დიზელის ძრავით და 0-დან 96 კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარებას 6,5 წამს ანდომებს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე — 250 კმ/სთ-შია.

ლოტის საწყისი ფასი არ სახელდება, აუქციონი კი 2014 წლის 23 იანვარს გაიმართება. მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილს პროტოტიპის სტატუსი აქვს და საერთო მოხმარების გზებზე ტარებისთვის ის სერტიფიცირებული არაა, მისი შეძენით რამდენიმე პირია დაინტერესებული.




# ჯავშანტექნიკა „მეორადებში“

აშშ-ის ხელისუფლება და არმია, სულ ცოტა, 2 ათასი „მეორადი“ MRAP-ის ტიპის ჯავშანმანქანის გაყიდვას აპირებენ. საქმე ის არის, რომ ეს მანქანები ამჟამად ავღანეთშია, ამერიკელებს კი მათი სამშობლოში ტრანსპორტირება იმდენი უჯდებათ, რომ ამად აღარ უღირთ და თავიდან მოშორება სურთ. შესაბამისად, პირობაც ისეთი აქვთ — ჯავშანმანქანების შეძენის მსურველებმა ტრანსპორტირების ხარჯებიც თავად უნდა გაითვალისწინონ.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, რამდენიმე ქვეყანამ უკვე გამოხატა „მეორადი ჯავშანმანქანებით“ დაინტერესება და მოლაპარაკებაც დაწყებულია. ამერიკელებმა ისიც დათვალეს, დაახლოებით, რა დაუჯდებათ ავღანეთიდან მთლიანი სამხედრო ქონების გატანა. ეს თანხა 7 მლრდ დოლარს აღწევს. რაც შეეხება MRAP-ის ტიპის ჯავშანმანქანებს, თითოეულის ამერიკაში ტრანსპორტირება-გარემონტება 250-300 ათასი დოლარი დაჯდება.

ავღანეთიდან სამხედრო ტექნიკის გატანა ამერიკელებმა 2014 წლის ბოლოსთვის, სამხედრო ოპერაციასთან ერთად უნდა დაასრულონ. ადგილზე დარჩენილი ტექნიკის ნაწილი განადგურდება, ნაწილი კი გაიყიდება და ავღანელებს დარჩებათ.



# ჯარი...



# ადამიანური სახით

**2013 წელს მოხერხდა ქართული არმიის მნიშვნელოვანწილად დეპოლიტიზაცია და გაჩნდა პირველი ნიშნები შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლისა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა რჩება გადასალახი...**

გასულმა 2013 წელმა გარდატეხა შეიტანა საქართველოს შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში — ეს იყო პირველი წელი ბოლო ათწლიან ისტორიაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებს ნაკლებად ეშინოდათ იმ დასმენის ინსტიტუტის საშინელი მარწუხებისა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში ნერგავდა ქართულ არმიაში.

პოლიტიკური პარტიისგან აშკარა თუ ფარული ზეწოლისგან გათავისუფლება შეიძლება უმთავრეს მიღწევად ჩაითვალოს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, რადგან კონკრეტული პარტიის ერთგულებას დღეს აღარავინ მოითხოვს და ვერც ერთმა პარტიულმა ბოსმა ვერ უნდა უკარნახოს ოფიცერს.

მეორე მნიშვნელოვანი, რაც გასულ წელს მოხდა, შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის აღდგენის პირველი ნიშნებია. ვერავინ იტყვის, რომ 2003 წლის ნოემბრამდე, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, ქართულ არმიაზე სამოქალაქო სექტორს ძლიერი კონტროლი ჰქონდა დამყარებული, თუმცა მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა, ქართული არმია ნელ-ნელა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ კი მთლიანად ჩაიკეტა და საუბარი სამოქალაქო კონტროლზე შეუძლებელი გახდა.

შეიარაღებული ძალებისა და საზოგადოების ერთმანეთისგან დაშორიშორება ნებისმიერი, ნორმალური დემოკრატიის მქონე ქვეყნისთვის ძალზე სახიფათოა, რადგან საზოგადოება ველარ აკონტროლებს არმიას, პოლიციას. თუმცა შეიძლება ხელისუფლებაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელებისთვის სწორედ ეს იყო უფრო მისაღები, რადგან საზოგადოებისგან „მოკვეთილ“ სპეცრაზმელებს ამ პოლიტიკოსების ნებისმიერი დავალების (მათ შორის ანტიკონსტიტუციურისაც) შესრულება შეეძლოთ, რაც თბილისში ოპოზიციის



საბრძოლო ოპერაციის სწორი დაგეგმვა წარმატების საწინდარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე მიტინგის სასტიკად დარბევის დროსაც გამოჩნდა. დეპოლიტირებული და საზოგადოების კონტროლაღდგენილი შეიარაღებული ძალები საქართველოს რეალურად დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი უნდა გახდეს.

2014 წელი საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მარტივი ნამდვილად არ იქნება, რადგან კარგად ჩანს გარე საფრთხის რეალური შესაძლებლობა.

რუსეთის ფედერაცია, რომელსაც მეექვსე წელია საქართველოს ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული, დაჩქარებული ტემპით შეეცდება კიდევ უფრო გაზარდოს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში და შემდგომ ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

ამაზე მეტყველებს თუნდაც გადაიარაღების ის არნახული ტემპი, რომლითაც მოსკოვი სამხრეთ სამხედრო ოლქს აძლიერებდა გასულ 2013 წელს.

სომხეთში გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზა, ისევე როგორც მე-4 (ცხინვალის რეგიონი) და მე-7 (აფხაზეთი) რუსული საოკუპაციო სამხედრო ბაზები სწორედ სამხრეთის სამხედრო ოლქში შედიან სტრუქტურულად, ასე რომ, კრემლი ასეთ ძვირად ღირებულ გადაიარაღებას თავისი ტერიტორიის სამხრეთით შემთხვევით არ ახდენს.

რას შეიძლება ელოდოს საქართველო და კონკრეტულად მისი შეიარაღებული ძალები 2014 წელს?

სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლა გაძლიერდება და პიკს მიაღწევს ზაფხულში, საქართველოს ევროკავშირის ასოცირებულ წევრად მიღების წინ.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგი სამიტი გაიმართება, რაც შეიძლება საქართველოს ამ ალიანსთან კიდევ უფრო დაახლოების საფუძველი გახდეს, რასაც ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კრემლში და რუსეთის ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს, რომ საქართველოს დასავლური კურსი არ შედგეს.

ასე რომ, 2014 წელი, სავარაუდოდ, საკმაოდ დაძაბული იქნება საქართველოსთვის და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, დაწყებული რიგითით და დამთავრებული გენერლით, ყველაფერი უნდა გააკეთონ საბრძოლო მზადყოფნის შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე ასაყვანად, რათა არმიამ დროის გარკვეულ პერიოდში შეძლოს თავდაცვითი საბრძოლო ამოცანის შესრულება.



**ირაკლი ალადაშვილი**

*სტატიაში გამოყენებულია ფოტოსურათები თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდიდან*





### „გისურვებთ მშვიდობას, ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას“

# ქართული ახალი წელი ავღანეთში

**„შარშან მანდარინიც გვქონდა, ჩურჩხელაც და ცოტა გოზინაყიც... როგორც წესი, ცოტა იყო და ერთ ლუკმად არ გვეყოფოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო და ეს მონატრებული ნუგბარი ყველამ თანაბრად, ჯარისკაცურად გავინაწილეთ და მათი გემო გავიხსენეთ... წელიწადის ამ დროს ავღანეთში არაადამიანურად ცივა. ყინვა ძვალსა და რბილში ატანს. პოსტზე დგომის დრო რამდენიმე საათით მცირდება, მაგრამ ყველა წუთი უსაშველოდ იწელება. დარწმუნებული ვარ ამ დროს ავღანეთში სამშვიდობო მისიით მყოფი ყველა ქართველი სამხედრო საცივზე, ხაჭაპურზე, გოჭსა და ღვინოზე ოცნებობს. მაგრამ ამას წინათ ერთმა მაინც გაგვაკვირვა, ოღონდ ჩემს გიტარაზე დამაბრახუნებინა და სამი დღე არაფერს შევჭამო. ყველას გაგვეცინა... მერე ბარემ მეორემაც „გაბედა“ და თავისი საყვარელი ლეკვი ინატრა. დავცინეთ. ცოლი მაინც ინატრეთ ან დედაო... მიხვდნენ, რომ ბავშვურად მოუვიდათ და თავადაც იცინეს“, — ასე იხსენებს 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი ავღანეთში გატარებულ ახალ წელს, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში უკვე ორჯერ შეხვდა ახალ წელს.**

*„არსენალი“ იმ სამხედროებსაც დაუკავშირდა, ვინც წელს პირველად ხვდება ამ დღესასწაულს ჰილმენდის პროვინციაში.*

**ირაკლი, 29 წლის, ჯარისკაცი:**

— ახალი წელი რომ შემოვიდა, პოსტზე ვიდექი. უბრალოდ დროის მიხედვით მივხვდი, რომ ახალი წელი შემოდიოდა, თორემ იქ ამ დღესასწაულს არავინ აღნიშნავს. მხოლოდ ის მახარებდა, რომ 6-საათიანი მორიგეობის შემდეგ, 36 საათი დავისვენებდი. ძალიან კარგი კვება გვაქვს, მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელობა ცდილობს, დღესასწაულებზე შესაძლებლობისდაგვარად ტრადიციული კერძები მოგვიმზადოს.

— **მაგალითად?**

— მაგალითად, პატარა, ნახევარმთვარის ფორმის ხაჭაპურები. იმ დღეებში თუ რამე განსაკუთრებული არ ხდება, თალიბები ყირაზე არ გადავლენ და ბაზაში არ შემოგვიცვივდებიან, იმ რამდენიმე დღეს, ისეთი დაძაბული არა ვართ, როგორიც სხვა დროს.

— **რას აკეთებთ ასეთ დროს, ისვენებთ?**

— ვერთობით, შეძლებისგვარად... აქ ყველაფერია ამისთვის: სპორტული დარბაზები, ბოულინგკლუბი, კაფეები, კარგი მენიუთი (ოღონდ ალკოჰოლი არ იყიდება), კინოთეატრი... ერთი სიტყვით, არ მოიწყენ, მაგრამ როდესაც 6 თვე მუდმივად ერთსა და იმავეს უყურებ, გბეზრდება.

— **ვიცი, რომ მოსახლეობას ხვდებით ხოლმე?**

— დიახ, ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგთან საკმაოდ ახლო, მაგრამ მაინც ფრთხილი ურთიერთობა გვაქვს. ძირითადად, უფროსი თაობის ხალხთან, რომლებიც კომუნიზმს მოესწრნენ. ერთი შეხედვით, მათ ასეთი ველური, პირველყოფილი ცხოვრება მოსწონთ, მაგრამ როდესაც გაგიშინაურდებიან, შეიძლება მაშინდელი ცხოვრების მონატრებაზეც გელაპარაკონ, ყველაფერი იყოო... თუმცა, როგორც კი ახსენდებათ, რომ ქალი ჩვეულებრივი სამოსით დადიოდა, მაშინვე ამბობენ, რომ მათი ტრადიციებისათვის „ზედმეტი თავისუფლება“ დამღუპველია. რამდენჯერმე ჩაიზე დაგვპატიჟეს, ახლა თქვენთან ახალი წელი მოდის და აღვნიშნოთო. კიდევ რაღაც საჭმელები იყო, რომელიც ზრდილობის გულისთვის გავსინჯე. უჭმელობა უპატივცემლობა იქნებოდა და თავს მოვერიე. ერთ-ერთმა თავისი თეთრი კბილებით გაგვიღიმა, თუ გინდა სადღეგრ-

ძელოებიც თქვით, თქვენ რომ იცით, ისეთიო... საიდან იცი-მეთქი, ვიციო. მერე აღიარა, ინტერნეტში ვნახეო. არ აღიარებენ, მაგრამ ყველაფერი აინტერესებთ, მათ შორის უცხო ქვეყნების ცხოვრება. ქაბულში ყოველ ნაბიჯზე იყიდება ვიდეოკასეტები, სადაც აკრძალული ფილმებია ჩაწერილი. მათი რელიგია და ცხოვრების წესი ცნობისმოყვარეობასაც კრძალავს, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით ყიდულობენ ტელევიზორებს, კომპიუტერებსა და ნოუტბუკებს, რომლითაც ძირითადად ღამით სარგებლობენ. თანამედროვე ტექნიკით უფრო ახალგაზრდები ინტერესდებიან. ერთხელ ერთმა ავღანელმა ჩაიზე დაგვპატიჟა. როდესაც მასპინძელმა სახლის კარი გამოაღო, ტელევიზორის ყუთი დავინახე, რომელსაც, სავარაუდოდ, ტანსაცმლის ჩასაწყობად იყენებდნენ, ტელევიზორი კი სადღაც ექნებოდა დამალული.

ჩვენ მათ ბავშვებთან შოკოლადები მიგვქონდა, უფროსებთან კი წყალი. ეს მათთვის ყველაზე კარგი საჩუქარია. საინტერესო მოსაუბრეებიც არიან. ხშირად იღიმებიან. თითქოს ომი და უბედურება მათ ქვეყანაში კი არა, სადღაც შორს არის. სტუმრისთვის არაფერს დაიშურებენ. სახელდახელოდ მოგვიმზადეს ხორციანი ფლავი, თან ოჯახის უფროსმა ღიმილით გვითხრა, ვიცი, დღეს გურჯების ახალი წელი რომ არის და ცხვარი დავკალითო... გაოცებული ვუყურებდი. ასაკით ყველაზე უფროსმა თავისი ოჯახის ტრაგედიაზე გვიამბო, მთელი ოჯახი გაუწყვიტეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკელების სასმელი წყალი მიიღეს. მაგრამ მაინც ოპტიმიზმით უყურებდა ცხოვრებას, — სანამ მიწა დაგვეყრება, მანამ უნდა ვეცადოთ მიწაზე ორივე ფეხით ვიდგეთო... მაინც მათი ნდობა არ შეიძლება, რადგან იგივე ხალხმა შეიძლება ხვალ მისი სახლისკენ მიმავალ გზაზე მიწაში ნაღმი ჩაგილაგოს...

სტუმრები ძალიან უყვართ, განსაკუთრებით პატარებს. მათ ჩვენებურ ახალ წელზე ვუამბეთ. „თოვლის ბაბუას“ არსებობა ძალიან მოეწონათ, სათამაშოების იდეით მოიხიბლნენ, მაგრამ ზოგმა ვერ გაიგო, რა საჭირო იყო სათამაშო იარაღი, თუკი ნამდვილ ტყვიას არ გაისვრიდა. ისინი ხომ დღემდე ნამდვილი იარაღებით თამაშობენ...

**— ბავშვები სკოლაში დადიან?**

— ქაბულში კი, ჰილმენდში ძალიან ცოტა, უმეტესად ბიჭები. უფროსი ასაკის მამაკაცებიც დადიან, რადგან ბევრმა წერა-კითხვა დღემდე არ იცის...

როდესაც ბავშვებს საჩუქრები ჩავუტანეთ, მათ რაღაც სიტყვა დაგვიძახეს, დაახლოებით იგივეა, რაც თოვლის კაცი, ანუ კეთილ თოვლის ბაბუად აღგვიქვეს. ჩურჩხელა ძალიან მოეწონათ. ძალიან მიყვარს ავღანელი ბავშვები, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ხვალ თვალის დაუხამხამებლად გამოგჭრან ყელი, მაინც საოცრად თბილები და მხიარულები არიან... თუ რამე მომენატრება ავღანეთში (თუკი შეიძლება იმ დაწყევლილ მიწაზე რამე მოგენატროს), ბავშვები არიან...

**ლევანი, 27 წლის, ჯარისკაცი:**

— წელს მესამედ ვხვდები ახალ წელს ავღანეთში. მგონი, ცოტათი შევეჩვიე კიდეც. ყველაზე მეტად, სიცივის შეჩვევა გამიჭირდა. რაღაცნაირი ნესტიანი სიცივეა. ძვალსა და რბილში ატანს. ძალიან ხშირად ქარიც არის, როცა ქარბუქი იწყება, ხილვადობაც რთულდება... მოკლედ, ნამდვილი ჯოჯოხეთია...

რამდენჯერმე ვიყავი ავღანელების საცხოვრებელში, მაგრამ ქალის ჭაჭანება არ მინახავს, უცხო მამაკაცთან გამოჩენის უფლება არა აქვთ. ერთხელ 18 წლის გოგო იმის გამო ჩაქოლეს, რომ საზოგადოებაში მამაკაცის გარეშე გამოჩნდა... პირველად რომ ვიყავი, მეგონა, ყველაფერი ვნახე და გავიგე მათზე, მაგრამ მეორეჯერ რომ წავედი, კიდევ ბევრი ახალი რაღაც ვნახე. თუმცა, ავღანეთი ისეთი ადგილია, მაინცდამაინც ლაღად არც სხვა დროს იქნები.

ჩემს ძმას უნდოდა წამოსვლა, მაგრამ არ ვურჩიე, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომები უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე ადრე.

ისე კი, ბოლო დროს ცდილობენ ახლები წაიყვანონ, „ძველებს“ უარსეუბნებიან. ერთ-ერთმა სერჟანტმა გვითხრა, ამით თქვენს ნერვულ სისტემას უფრთხილდებიანო (იქ ყოფნა თავის კვალს ტოვებს ჯარისკაცის ფსიქიკაზე), მაგრამ არა მგონია, მართლა ეს იყოს მიზეზი...

ჩემს ქვეყანას წინასწარ ახალი წელი მივულოცო, ხომ შეიძლება?..

**— რა თქმა უნდა...**

— მინდა, ქვეყანაში ჯარისკაცობა ერთადერთი შემოსავლის წყარო არ იყოს და ახალგაზრდები მხოლოდ იმიტომ არ მიდიოდნენ ჯარში, რომ სხვა გზა არ აქვთ... კიდევ, მშვიდობა მინდა, ძლიერ და ერთიან ქვეყანაში ცხოვრება და იმავეს ვუსურვებ ჩემს ხალხსაც.

**ლალი პაპასკირი**



ავღანელი ბავშვები საოცრად თბილები და მხიარულები არიან



# რუსული „ისკანდერების“ საიდუმლო ამერიკელებმა საქართველოში ამოხსნეს

ექსკლუზიური ფოტოსურათი გორში ჩამოვარდნილი რუსული „ისკანდერის“ ფრაგმენტებისა, რომლებიც დეტალურად შეისწავლეს ამერიკელმა სპეციალისტებმა...







# 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოზე გამოცდილი „ისკანდერები“ მოსკოვმა ახლა კალინინგრადიდან ბებერ ევროპას დაუმიზნა

ამ სტატიის ავტორი ერთადერთი ჟურნალისტი იყო საქართველოდან, რომელსაც საშუალება მიეცა 1999 წლის აგვისტოში რუსეთში, ქ. ჟუკოვსკში მიმდინარე საერთაშორისო ავიაკოსმოსური გამოფენა МАКС-1999 დეტალურად დაეთვალიერებინა და ვიდეოკამერით გადაეღო.

მაშინ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ დროისთვის უახლესი რუსული დამრტყმელი შვეულმფრენები Ка-50 „შავი ზვიგენები“ და С-300ПМУ-2 ტიპის საზენიტო „ფავორიტები“ იპყრობდნენ და მათ სიახლოვეს ტრიალებდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული სამხედრო სპეციალისტების ჯგუფებიც.

ამ გამოფენაზე პირველად აჩვენეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, მაგრამ პერსპექტიული ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი Искандер-ი.

რა ვიცოდით მაშინ, რომ 9 წლის შემდეგ მოსკოვი 2008 წლის აგვისტოს ომში ამ „ისკანდერების“ საბრძოლო გამოცდას სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, გორის ცენტრალური მოედნის მიმართულებით მოაწყობდა.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და როგორც ჩანს, რუსული „ისკანდერების“ სამიზნეში ახლა თავად NATO-ს წევრი ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი აღმოჩნდა.

გერმანულმა გაზეთმა Bild-მა დეკემბრის შუა რიცხვებში გაავრცელა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის კალინინგრადის ოლქში ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების, „ისკანდერების“ განთავსების შესახებ. გერმანელი ჟურნალისტების მტკიცებით, მათ ხელში ჩაუვარდათ კოსმოსური სადაზვერვო ფოტოსურათები, რომლებზეც გამოსახულია ათზე მეტი „ისკანდერი“ როგორც კალინინგრადის ოლქის ტერიტორიაზე, ისე ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საზღვრებთან. გაზეთში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ისკანდერები“ კალინინგრადის ოლქში რუსეთის ხელისუფლებამ ბოლო 12 თვეში გადაისროლა.

ევროპელებისა და უპირველესად გერმანელების შეშფოთების მიზეზი ადვილი გასაგებია, რადგან კალინინგრადის ანკლავიდან რუსული „ისკანდერები“, რომელთა ფრენის მაქსიმალური მანძილი 500 კმ-ია, ფარავენ არა მარტო პოლონეთის ტერიტორიას, არამედ აღწევენ გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილამდე. ამასთან, რუსული „ისკანდერები“ გამოირჩევიან როგორც სროლის დიდი სიზუსტით, ასევე შეუძლიათ გადაიტანონ რამდენიმე ათეული კილოტონა სიმძლავრის ბირთვული მუხტი.

„ისკანდერების“ კალინინგრადის ოლქში გადასროლა მოსკოვს ოფიციალურად არ დაუდასტურებია, თუმცა არც კატეგორიულად უარუყვია. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ „ისკანდერები“ მართლაც დგას დასავლეთის სამხედრო ოლქის შეიარაღებაში, რაც არ ეწინააღმდეგება არც ერთ საერთაშორისო დადგენილებას.

მართლაც, 1987 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის (რომელსაც ვაშინგტონში ხელი მიხაილ გორბაჩოვმა და რონალდ რეიგანმა მოაწერეს) ითვალისწინებდა, საშუალო (ფრენის სიშორე 1000-დან 5500 კმ-მდე) და მცირე (ფრენის სიშორე 500-დან 1000 კმ-მდე) მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების ლიკვიდაციას. ამ შეთანხმების თანახმად, ევროპიდან გაიტანეს და ლიკვიდირებულ იქნა ამერიკული Pershing-A, Perdhing-2 და BGM-109 Tomahawk-ის ტიპის მცირე და საშუალო მანძილის ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები, სულ 846 კომპლექსი.



*2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთმა საქართველოსკენ გამოუშვა 20-ზე მეტი ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტა, რომელთა შორის ორი იმ დროს უახლესი, „ისკანდერის“ ტიპისა იყო. მათგან ერთი გორის ცენტრის თავზე დაბალ სიმაღლეზე აფეთქდა. ქართველმა სპეციალისტებმა შეაგროვეს აფეთქებული რუსული „ისკანდერების“ ფრაგმენტები, რასაც ფოტოსურათზეც ხედავთ და საშუალება მისცეს ამერიკელ სამხედროთა ჯგუფს დეტალურად გასცნობოდა ამ ახალ რუსულ რაკეტას. იმის გამო, რომ გორისკენ ნასროლი „ისკანდერი“ კასეტური ქობინით იყო აღჭურვილი, კასეტური ასაფეთქებელი მოწყობილობების გაბნევისა და აფეთქების დროს ძლიერად არ დაზიანებულა „ისკანდერის“ დამიზნებისა და მართვის ხელსაწყოები, რისი შესწავლაც ძალიან სურდათ ამერიკელ სპეციალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალური 500 კმ-იანი ფრენის სიშორის გამო რუსული „ისკანდერები“ უშუალოდ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს ვერ დაემუქრებიან, ევროპაში განთავსებული ამერიკული სამხედრო ბაზებისთვის ისინი დიდ საშიშროებას წარმოადგენენ. სავარაუდოდ, ამერიკულმა მხარემ მარჯვედ გამოიყენა საქართველოს კეთილი ნება, დეტალურად გაეცნო რუსული „ისკანდერების“ არსს და იმედია, მის საწინააღმდეგო საშუალებებსაც მალე დახვეწს.*



კრემლი ჯერ კიდევ 2008 წელს დაემუქრა NATO-ს, რომ თუ პოლონეთში ამერიკულ ანტისარაკეტო სისტემას განათავსებდა, რუსეთი კალინინგრადის ოლქში „ისკანდერებს“ შეიტანდა. როგორც ჩანს, მუქარის შესრულების დრო დადგა...

საბჭოთა კავშირმა გაანადგურა 1846 სარაკეტო კომპლექსი, მათ შორის ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძის შექმნილი მობილური სარაკეტო დანადგარები Пионер-ები.

ეს ხელშეკრულება კრძალავს ევროპაში 500 კმ-ზე მეტ სიშორეზე მფრენი სარაკეტო კომპლექსების განთავსებას, თუმც რუსული მოდერნიზებული Искандер-ების მოქმედების რადიუსი 480 კმ-მდე უნდა იყოს, რაც მოსკოვს მათი კალინინგრადის ოლქში განთავსების საშუალებას აძლევს.

სანამ გერმანელები შეწუხებული არიან იმით, რომ კრემლმა მათ „ისკანდერები“ „მიუჩოჩა“, მთლად დამშვიდებულად თავი NATO-მ არც სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე უნდა იგრძნოს.

საქმე ის არის, რომ მთელი წელი გამუდმებით ვრცელდება ინფორმაცია „ისკანდერების“ სომხეთში, გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზაში გადასროლის შესახებ. ეს ტექნიკურად ადვილია სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების გამოყენებით და თუკი სომხეთის ტერიტორიაზე მართლაც გამოჩნდა რუსული „ისკანდერები“, მაშინ მშვიდად თავს ვერც ბაქო და რაც მთავარია, ვერც NATO-ს წევრი თურქეთი იგრძნობს, რადგან გიუმრიდან 500 კმ-ის რადიუსში თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილის დიდი ტერიტორია ხვდება.

იგივე ითქმის რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთზეც. გალის რაიონში „ისკანდერების“ ჩატანის შემდეგ ეს რუსული რაკეტები თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს დიდ ნაწილს მისწვდებიან. მოსკოვს 2007 წლის შემოდგომაზე ოკუპირებულ ოჩამჩირეში მალულად ჰყავდა ჩაყვანილი Точка-У-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები და სამი რაკეტა 2008 წლის 9 აგვისტოს ფოთს ესროლა. ამიტომაც რუსეთის გენერალიტეტისთვის პრობლემა არ არის სარაკეტო თავდასხმების მიზანში ამოიღოს NATO-ს წევრი თურქეთი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან.

კალინინგრადის ოლქში, ბელორუსიაში, ოკუპირებულ აფხაზეთსა და სომხეთში 500 კმ-ზე მოქმედი ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების „ისკანდერების“ განთავსებით, რომლებსაც ბირთვული ქობინების გადატანაც შეუძლია, კრემლი გამოწვევას უგზავნის NATO-სა და მთლიანად დასავლეთს, უპირველესად კი ამერიკელებს.

**ირაკლი ალადაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**მათთვის არ არსებობს დღესასწაული და განსაკუთრებული შემთხვევა, ისინი დგანან იქ, სადაც ამჟამად ე. წ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზღვარი გადის... ახალი წელი კონფლიქტის ზონებში მყოფებისთვის ისეთივე დღეა, როგორიც სხვა დანარჩენი.**

# დეკემბერი ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრებთან

**გიორგი, 26 წლის, შს სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მოსამსახურე:**

— ამას წინათ ჩვენი მინისტრი მოვიდა. დაგველაპარაკა და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიები და ის სოფლები მოიარა, სადაც ბოლო პერიოდში რუსი მესაზღვრეები მავთულხლართებს ავლებენ... შემდეგ დიდი ხურვალეთის, დიცის, დვანის, ერგნეთის და კარალეთის მოსახლეობასაც შეხვდა. ეს მხარდაჭერა იყო ჩვენთვის, თუმცა, აქ დგომა ადვილი არ არის. 24 საათის განმავლობაში ვპატრულირებთ, რადგან ბოლო დროს რუსები გააქტიურდნენ. მოსახლეობისთვის ისინი მართლაც დიდ საფრთხეს წარმოადგენენ...

მეც შიდა ქართლიდან ვარ, დევნილი. ჩემი სახლი 2008 წლის ომს შეეწირა და წეროვანში ვცხოვრობ. ამიტომაც აქ ყოფნა ჩემთვის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ სამსახური... აქაურ მოსახლეობას ძალიან უჭირს. არც ჩვენ გვილხინს, მაგრამ ერთმანეთის თანადგომა გვაძლებინებს. მიუხედავად იმისა, იმას ვერ ვაკეთებთ, რაც გვინდა, უკიდურეს შემთხვევაშიც კი არა გვაქვს იარაღის გამოყენების უფლება, მაგრამ ხალხს მაინც ვეიმედებით...

— **უკიდურესი შემთხვევა რას გულისხმობს?..**

— როდესაც ე. წ. რუსი მესაზღვრეები თვრებიან და ქართველ მოსახლეობასთან აგრესიულები არიან. თუ მოიხელთეს, საქონელს არინდობენ, რადგან ჩაცმა-დახურვაზე ეტყობათ, რომ ძალიან უჭირთ და კვებაც უვარგისი ექნებათ. ამიტომ ჩვენები მთელი დღე საქონლის მწყემსვაში არიან, თორემ მავთულხლართების მიღმა თუ გადავიდა, დამთავრებულია, რუსი სამხედროები ქართველების მარჩენალი საქონლის ხორცისგან მაშინვე მწვადებს შეწვავენ.

— **როგორ ახერხებთ მათ დაცვას?**

— არ ვიცი. როგორც ჩანს, არც მათ აქვთ ჩვენთვის სროლის ბრძანება. ასე ვთქვათ, მცირედ ანგარიშს ვუწევთ ერთმანეთს...

— **ქართველ მოსახლეობასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ძალიან კარგი. საკმაოდ კარგი კვება გვაქვს, მაგრამ მაინც ვეცოდებით, ხომ იცით ჩვენი ხალხის ამბავი, ტყეში ხართო და ყველა დღესასწაულზე მოგვიკითხავენ რაღაცას. როდესაც ოჯახში სუფრა იშლება, ქორწილი იქნება თუ ძეობა, ან საკლავს დაკლავენ, ყოველთვის ვიღაცა მაინც ამოიტანს საგუშაგოზე.

შარშან აღდგომას პოსტზე ყოფნამ მომიწია და ლამის მთელმა სოფელმა მოგვიკითხა სანოვაგე, მარტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა




*ცხინვალის რეგიონში ოკუპანტების ერთ-ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი*

ხელა ბებომაც კი ამოგვიტანა ტკბილეული წინსაფრით, თან ძალიან გულიანად დაგვლოცა, ჯარისკაცები ხართ, შვილო, და ყველაფერი გეგემრიელებათო.

როგორც გითხარით, ძირითადად, დევნილები მსახურობენ ჩვენთან, დიდი ლიახვის ხეობელები... გლეხობას ძალიან უჭირს. ისე, კარგი იქნება, თუ დაინტერესდებით ჟურნალისტები, რა პირობებში ცხოვრობს ადგილობრივი მოსახლეობა.

— **რა სახის პრობლემები აქვთ?**

— ყველანაირი, რაც კი შეიძლება სოფლის მოსახლეობას ჰქონდეს — უგზოობა, უმუშევრობა, დაუცველობა. თან, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული კი არიან.

— **რუსი მესაზღვრეები თქვენგან შორს არიან?**

— არა, მაგრამ მათთან კონტაქტი აკრძალული გვაქვს. მე, რასაკვირველია, ბრძანებას ვასრულებ. კიდევ კარგი, მათთან ურთიერთობა გვეკრძალება. დიახ, ჩვენ სხვანაირი მოთმინება მოგვეთხოვება, მაგრამ როდესაც შენივე მიწაზე დევნილი ხარ და უყურებ მავთულხლართებს, ძნელია ყველაფერს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის თვალით უყურო. ჩვენს ხეობაში ბოლო სოფელი კოდაა (ეს ის კოდა არ არის, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტში შედის), იქვე დგანან რუსი სამხედროები და ლამის კოდა-წვნელისზე ამოვიდნენ. ამის იქით ისედაც „მათი ტერიტორიაა"...

— **თქვენს სოფელშიც არის მავთულხლართები?..**

— ჩემი სოფელია აბანო, ქარელის რაიონი. ჯერჯერობით მთლად აქამდე არ ამოსულან, მაგრამ ისეთი ტემპი აქვთ აღებული, არც არაფერი უკლიათ... ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაა სოფელ ღოღეთში, რომელიც ცენტრალური გზიდან ძალიან ახლოს არის.

— **რუსები იმ სოფელშიც გადმოდიან?**

— ადრე გადმოდიოდნენ, მაგრამ ბოლო ერთი წელია რატომღაც თავს იკავებენ.

— **ქართველებსა და ოსებს აქვთ ურთიერთობა? მშვიდობიან მოსახლეობას ვგულისხმობ...**

— კი. ცხინვალელი ოსები ცდილობენ ქარელსა და ხაშურის ბაზრობაზე ჩამოსვლას. ნაწილი ვლადიკავკაზში მიდის, ნაწილი — აქეთ... აქეთ წამომსვლელებს ქართველი ნათესავები და ახლობლები ჰყავთ. ქართულად ყველა ლაპარაკობს, ოღონდ ოსური აქცენტით. მათაც ძალიან უჭირთ. უფრო მეტად, ვიდრე ქართველებს. 2008 წლის ომის დროს სამანქანო გზა ტანკებმა გააფუჭეს და მას შემდეგ აღდგენაზე არავის უფიქრია. ეს გზა წინა ხელისუფლებამ დააგო სოფელ აბისამდე. ეს სოფელი ფრონეს ხეობას ეკუთვნის და ახლა პირდაპირ „საზღვარზეა".

— **თქვენ არ უშლით მათ ქართულ სოფლებზე გავლას?**

— კი, ვუშლით, მაგრამ ქართველი მოსახლეობის დახმარებით მაინც ახერხებენ გადმოპარვას. უჭირთ, შიმშილის პირას არიან და ეს ზოგჯერ ბეწვის ხიდზე გავლასაც გაიძულებს. თან, რამდენიმე სოფელში ზამთარში გზები იკეტება, მათ პრობლემებზე არც ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს და არც რუსები და ქართველებმაც თუ არ მოუმართეს ხელი, დაიხოცებიან შიმშილით... მე იქაური ვარ და კარგად ვიცნობ მათ ბუნებას, ჩვენი ურთიერთობა, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ყოველთვის ცალმხრივი იყო. და მაინც, ქართველები საკუთარი სიცოცხლის ფასად რისკავენ მათ გადმოყვანას. ამას წინათ მიამბო ერთმა იქაურმა ქართველმა — ოსი მამიდაშვილები მყავს, ძალიან უჭირთ. ზნაურის რაიონში ცხოვრობენ და იქაურობა სულ დაცლილია, ვლადიკავკაზში გარბიანო. ცხინვალელები კი რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობებზე კაპიკებად მუშაობენ, რომელიც თითქმის დასრულებულიაო. თურმე სოფელ დირბიდან მომავალს ოსები დამგზავრებია. ადგილობრივებს იქაურების აქცენტის მიხედვით მათი წარმომავლობის გარჩევა არ გასჭირვებიათ. ოსები იყვნენო. ერთს უთქვამს მეორისთვის, 3 თვეა სახლში პური არ გამოგვიცხვია, ფქვილის საყიდელი ფული არ გვქონდა და კიდევაც რომ გვქონოდა, ცხინვალამდე ტრანსპორტი არ დადის და ვერც წამოვიღებდიო. ეს რუსები რასაც შეგვპირდნენ, არაფერი შეასრულესო...

— **ანუ პურის ფქვილის საყიდლად მოდიოდნენ?**

— დიახ, მაგრამ არ ვიცი, ბაზრობამდე მიაღწიეს თუ არა. ჩვენ მათ არ ვუშვებთ...

— **ადგილობრივი მოსახლეობის გასაჭირს დავუბრუნდეთ...**

— როგორც გითხარით, უმეტესობა ძალოვან სტრუქტურებში ვართ დასაქმებული და სტაბილური შემოსავალი გვაქვს, მაგრამ სოფლის მოსახლეობას ძალიან უჭირს. ჩემი ოჯახის მაგალითით, ალბათ, ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ენგურის ხიდი, რომლითაც რუსების მიერ ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოსთან არის დაკავშირებული

რი ოჯახის გასაჭირს გაისიგრძეგანებთ. შეშა ზოგან დაარიგეს, ზოგან არა. სავარგულები შარშან დაუხნეს, წელს — არა. ბუნებრივი აირი მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სოფლებშია: დიდ და პატარა ნიქოზში, მეღვრეკისში, ტყვიავში, კარალეთში, შინდისში, ვარიანსა და ტირძნისში. დანარჩენებს არა აქვთ. ამას უსაფრთხოების პრობლემები ემატება...

**ლევანი, 24 წლის, განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ჯარისკაცი:**

— მაინც არის სადღესასწაულო განწყობა. აფხაზეთის კონფლიქტი შედარებით ძველია და ხალხმა თავად იპოვა გზა, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობის, ისე თავის გატანის. გაჭირვებაც თანდათან დასძლიეს. ენგურის ხიდით მოსარგებლე ადამიანებს უკვე სახეზე ვცნობ. მათ სახეზე შიში არ იკითხება. თუმცა, როდესაც ენგურის კედლის აშენებაზე ლაპარაკობდნენ, ძალიან შეშინდნენ. ეს პროვოკაცია აღმოჩნდა და არ ავყევით...

29730

ზოგჯერ, უფრო ხშირად დღესასწაულზე, ხილსა და სიგარეტს გვიტოვებენ და ამბობენ, რომ ასევე ექცევიან რუსებსა და აფხაზებსაც, რათა აჩვენონ, თუ ვინ არიან ქართველები სინამდვილეში. ერთმა მოხუცმა გვიამბო, ერთი ტომარა მანდარინი დავტოვე, პირი გაისველეთ-მეთქი, რუსებმა ზედაც არ შეხედეს, აფხაზებმა კი თავიანთ ბლოკ-პოსტში შეათრიესო... ბოლო დროს აფხაზებისა და რუსების გადმოსვლის საფრთხე აღარ არსებობს, აღარც პროვოკაციები ხდება, მაგრამ ეს მოდუნების საფუძველს არ იძლევა.

— **ახალი წლის შეხვედრა პოსტზე გიწევთ?**

— დიახ, გამოვითვალე და ასე დაემთხვა, თუ რამე სასწაული არ მოხდა, ასე იქნება. სიცივესა და დილას ადრე ადგომას შეჩვეული ვარ. იმ დღეებში უფრო მსუყე კერძები გვექნება, რაც ძალიან გვახარებს. ერთი-ორი ჯარისკაცის მშობლისგანაც ველოდებით ნუგბარს... ამ წელს ბოლოჯერ შევხვდები ახალ წელს სამხედრო ფორმაში.

**ლალი პაპასკირი**




საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სეპარატისტული რეჟიმები მოსკოვს მადლობას უხდიან, თუმცა იქაური ცხოვრება ჟანგიანი „ბუდკების“ ეპოქას არ გასცდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# Dubai Air Show 2013

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში რიგით მე-13 საერთაშორისო ავიასალონი Dubai Air Show 2013 გაიხსნა. გამოფენა დასაბამს 1986 წლიდან იღებს და თავდაპირველად Arab Air-ის სახელს ატარებდა, მაგრამ 1989 წლიდან დასახელება Dubai Air Show-თი შეიცვალა და რეგულარულად ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

წლევანდელი ავიასალონი ყველაზე მასშტაბური გამოდგა და მეტიც, Dubai Air Show მიმდინარე წლის ყველაზე მსხვილ საავიაციო მოვლენად იქცა. მთავარი მიზეზი კი გაფორმებული კონტრაქტების ჯამური ღირებულებაა, რომელმაც 206 მლრდ დოლარს გადააჭარბა. მსოფლიო ავიაგამოფენების პრაქტიკაში ეს რეკორდული მაჩვენებელია.

რეკორდი ავიასალონის მსვლელობის პირველივე დღეს დაფიქსირდა. საამიროების (Emirates, Etihad Airways, Flydubai) და კატარის (Qatar Airways) ავიაკომპანიებმა ავიამშენებელ გიგანტებთან „ბოინგსა" და „ეირბასთან" 573 სამგზავრო თვითმფრინავის შეძენაზე თითქმის 192 მლრდ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმეს.

ამერიკული „ბოინგისა" და ევროპული „ეირბასის" მრავალწლიან დაპირისპირებაში წელს ამერიკელებმა გაიმარჯვეს. „ბოინგმა" სტაბილური მომავალი 101 მლრდ 500 მლნ დოლარის 342 გაყიდული თვითმფრინავით უზრუნველყო.

იმავდროულად, დუბაის ავიასალონზე ამერიკელებმა ახალი პროექტის — ფართოფიუზელაჟიანი Boeing 777X-ის პრეზენტაცია გამართეს. ლაინერის სერიული წარმოების დაწყება 2020 წელს იგეგმება. კომპანიას უკვე 295 თვითმფრინავზე წინასწარი შეკვეთა მიღებული აქვს.

ამერიკელებთან შედარებით, ევროპელი ავიამშენებლები ნელ-ნელა პოზიციას თმობენ და A380-ისა თუ A320NEO-თი გამოწვეული ფურორი უკვე წარსულს ჩაჰბარდა. შესაბამისად, კომპანიის გაყიდვებმაც იკლო. დუბაიში „აირბასმა" მხოლოდ 166 სამოქალაქო ლაინერი გაყიდა, საერთო ღირებულებით 44 მლრდ დოლარი.

წლევანდელი ავიასალონი არა მხოლოდ კონტრაქტების მხრივ იყო მასშტაბური. გამოფენაზე 163 საფრენი აპარატი და მსოფლიო 50 ქვეყნის 1046 კომპანია იყო წარმოდგენილი. სხვათა შორის, Dubai Air Show 2013 მიმდინარე წლის პირველი ავიასალონია, სადაც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები მონაწილეობდნენ.

წლის დასაწყისში საბიუჯეტო პრობლემების გამო, პენტაგონმა მსოფლიოს ყველა ავიაშოუში მონაწილეობაზე უარი თქვა თანხების დაზოგვის მიზნით. საამიროებში ამერიკული ექსპოზიცია 12 საფრენ აპარატს ითვლიდა. მათ შორის იყო ორი კონვერტპლანი V-22, სტრატეგიული ბომბდამშენი B-1B და მეხუთე თაობის გამანადგურებელი F-22A.

Dubai Air Show-ზე უფრო სამოქალაქო სექტორი დომინირებდა. მრავლად წარმოდგენილი რაკეტების, უპილოტო საფრენი აპარატებისა და საავიაციო შეიარაღების მიუხედავად, აქცენტი მაინც სამოქალაქო ლაინერებსა და ბიზნესჯეტებზე გაკეთდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

*1. წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავი P-8 Poseidon-ი სამოქალაქო ლაინერ Boeing 737-ის ბაზაზეა შექმნილი და მოძველებული P-3 Orion-ი უნდა შეცვალოს. აშშ-ის ფლოტი 122 „პოსეიდონის" შეძენას გეგმავს. თვითმფრინავის არსენალში შედის ჰიდროაკუსტიკური ტივტივები, ტორპედოები და AGM-84H/K SLAM-ER-ის ტიპის რაკეტები (6 ფრთაქვეშა პილონებზე და 5 შიდა ნაკვეთურში).*




1

*2. უახლოეს მომავალში საამიროები შეიარაღებაში არაბული კომპანია Tawazun Dynamics-ის პლანირებად ბომბებს Al Tariq-ს მიიღებს. „ფრთოსანი ბომბი" Mirage 2000-9-ის ტიპის მრავალმიზნობრივი გამანადგურებლების არსენალში შევა. გავრცელებული ცნობით, ბომბის გამოსაყენებლად საჭირო გადაკეთებას საამიროების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა Mirage 2000-9 გაივლის.*

*არაბული ნოუ-ჰაუ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ძველი თავისუფალვარდნადი ბომბების, ზუსტი დამიზნების იარაღად გადაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში საუბარია Mk.81, Mk.82 და Mk.83 ტიპის საავიაციო ბომბებზე. მათი კალიბრი, შესაბამისად, 113, 227 და 454 კგ-ია. Al Tariq-ის კონცეფცია ძველი ბომბების საბრძოლო ქობინისა და კორპუსის ნაწილის გამოყენებას ითვალისწინებს. გასაშლელი ფრთების კომპლექტით თვითმფრინავიდან მოშორების შემდეგ ბომბი 120 კმ-მდე (დამოკიდებულია ჩამოგდების სიმაღლეზე) მანძილზე პლანირებს. ფრენის კორექტირებას GPS-ი ახდენს. დამატებითად ბომბის აღჭურვა ინფრაწითელი ან ნახევრად აქტიური ლაზერული დამიზნების სისტემებით შეიძლება.*




2




*3. ამერიკული კომპანია Air tractor-მა სასოფლო-სამეურნეო თვითმფრინავის ბაზაზე მსუბუქი მოიერიშე AT-802U შექმნა. თვითმფრინავის საჯარო დემონსტრაცია 2009 წელს პარიზის ავიასალონზე შედგა. მას შემდეგ მწარმოებლები მას აქტიურ რეკლამას უკეთებენ. 2-კაციანი ეკიპაჟი ჯავშნიან კაბინაში თავსდება, ხოლო თვითმფრინავის 8 საკიდზე 4 100 კგ სასარგებლო დატვირთვა მიაქვს. მათ შორისაა „პელფაიერის“ ტიპის მართვადი „ჰაერი-მიწა“ კლასის რაკეტები, ბლოკები უმართავი რაკეტებით, ბომბები ლაზერული დამიზნების სისტემით. ეკონომიურობისა და კარგი აეროდინამიკური მახასიათებლების წყალობით თვითმფრინავს ჰაერში 10 სთ ყოფნა შეუძლია, რაც მოცემული ტიპის საფრენი აპარატებისთვის ძალიან მაღალი პარამეტრია. ჯერჯერობით AT-802U-ს ერთადერთი ექსპლუატანტი არაბთა გაერთიანებული საამიროების საჰაერო ძალებია, რომელსაც ამ ტიპის 10 თვითმფრინავი ჰყავს.*











ეროვნული ბიბლიოთეკა




*4. ოპტიკური და რადიოლოკაციური სამძებრო-სამიზნე საშუალებებით აღჭურვილი საამიროების ფლოტის შვეულმფრენი AS565MB. მისი გამოყენება დამრტყმელადაც შეიძლება. ამ შემთხვევაში შვეულმფრენის არსენალში 20 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ორი კონტეინერი ან AS15TT-ს ტიპის 4 მართვადი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა შედის.*

*5. მრავალფუნქციური გამანადგურებლების ბაზარზე მზარდი კონკურენციის გამო ევროპელები საკუთარ „ტაიფუნს“ აუმჯობესებენ. ფოტოზე გამოსახულია შეიარაღების გაფართოებული ნომენკლატურის მქონე და კონფორმულავზებიანი Eurofighter Typhoon Tranche 3.*

Dubai Air Show 2013-ზე ხუთ დღეში 206 მლრდ-ზე მეტი დოლარის ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა. ავიასალონზე 163 საფრენი აპარატი და 50 ქვეყნის 1046 კომპანია იყო წარმოდგენილი.

*6. იტალიური სატრანსპორტო „სპარტანის“ ბაზაზე შექმნილი საცეცხლე მხარდაჭერის თვითმფრინავი MC-27J Pretorian-ი. ავიასალონზე ცნობილი გახდა, რომ იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალები ექვს (არსებული პარკის ნახევარი) C-27J Spartan-ის ტიპის ტაქტიკური სატრანსპორტო თვითმფრინავს Pretorian-ის ვარიანტად გადააკეთებს და საცდელ ეგზემპლარს ავლანეთში გაგზავნიან. წარმატების შემთხვევაში პირველ სამ „განშიპს“ შემკვეთი 2016 წელს მიიღებს. მოდიფიცირების შემდგომ MC-27J Pretorian-ს „ჰელფაიერის“ ტიპის მართვად რაკეტებსა და ლაზერული დამიზნების მართვად ბომბებს გამოიყენებს. უკანა მარცხენა კარში 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი მონტაჟდება. თვითმფრინავის სალონში კი შეიარაღების სისტემის ოპერატორის სამუშაო ადგილი ეწყობა. საბაზო ვარიანტის მოდიფიცირების შედეგად, სატრანსპორტო თვითმფრინავის „განშიპად“ (ან პირიქით) გადაკეთებას 4 სთ დასჭირდება.*





# სხვენში გადამალული „სტრელების“ გამშვებები



**პოლიციამ ახალქალაქში გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ისეთი მნიშვნელოვანი მოწყობილობები ამოიღო, რომელზეც ამერიკული სპეცსამსახურები მთელ მსოფლიოში „ნადირობენ“**



*ახალქალაქში პილოტის მიერ ამოღებული „სტრელას“ გასაშვები 8 მექანიზმი (ზედა სურათი) და სტრელას საზენიტო რაკეტის გაშვების მომენტი*

კვირა არ გავა, რომ შსს-მ იარაღის უკანონო შენახვის რამდენიმე ფაქტი არ გაასაჯაროოს. ამის ფონზე ერთ ჩვეულებრივ ინფორმაციად მოჩანდა პოლიციის მიერ 16 დეკემბერს ქ. ახალქალაქის ერთ-ერთი სახლის სხვენიდან უკანონოდ შენახული იარაღის ამოღებაც.

თუმცა შსს-ს ინფორმაციაში ჩამოთვლილ ამოღებულ ხელყუმბარებსა და ვაზნებს შორის გაიჟღერა ძალზე საინტერესო დეტალმაც: „გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექს „9კა34“ სტრელა 3“-ის პისტოლეტის 8 სახელური“ (ორთოგრაფია დაცულია — რედ.)

ეს წინადადება შეიძლება ზოგს არც არაფერს ეუბნება, მაგრამ შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეოფირში ნათლად ჩანს გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის, 9К34 Стрела-3-ის ტიპის 8 გასაშვები მექანიზმი.

ამ გამშვები მექანიზმის გარეშე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ბრძოლისუუნაროა და სწორედ ის ღირს ყველაზე ძვირი, რადგან მრავალჯერადი გამოყენებისა და მსოფლიო დონის ათასი ჯურის ტერორისტი მას გაფაციცებით ეძებს.

ეძებს ერთი კონკრეტული მიზნით — თბური დამიზნების კომპაქტური გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან შეიძლება თითქმის ნებისმიერი შვეულმფრენის, ასევე აფრენა-დაფრენის რეჟიმში მყოფი სამგზავრო ლაინერების დაზიანება და ჩამოგდებაც, რაც მსოფლიო მასშტაბის ტერორისტულ აქტად შეფასდება, თუკი იმ ავიალაინერში ასევე მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იჯდა.

სწორედ ამიტომაცაა, რომ აშშ-ის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 9K34 Стрела-3



*2002 წლის 28 ნოემბერს კენიის ქ. მომბასის აეროპორტიდან აფრენისას ისრაელის ავიაკომპანია „არკიას“ „ბოინგ-757“-ის, რომელშიც 261 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი იმყოფებოდა, სიახლოვეს (910 მ სიმაღლეზე მიწიდან) აფეთქება მოხდა. თვითმფრინავმა მშვიდობიანად გააგრძელა ფრენა და ისრაელში დაეშვა. კენიის სპეცსამსახურებმა კი აეროპორტის სიახლოვეს ორი გასროლილი „სტრელა“ იპოვეს, რომლებითაც ტერორისტები სამგზავრო ლაინერის ჩამოგდებას ცდილობდნენ*

სადაზვერვო სამმართველოსა თუ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლები მთელ მსოფლიოში ეძებენ „სტრელების“, „იგლებისა“ და „სტინგერების“ უკანონო მსფლობელებს, რათა მათ ტერორისტებს არ მიჰყიდონ ეს საშიში იარაღი.

ახალქალაქში სახლის სხვენზე აღმოჩენილი „სტრელას“ გამშვები მექანიზმები უდავოდ 2007 წლამდე იქ დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზიდან მოხვდა. კარგი იქნება, თუკი ქართველი სამართალდამცავები გააგრძელებენ დეტალურ გამოძიებას და გამოიკვლევენ ხომ არ ინახება „სტრელების“ სხვა დეტალებიც (მათ შორის საზენიტო რაკეტებიც) მეზობელი სახლების სახურავებსა თუ სარდაფებში.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 9K34 Стрела-3 (NATO-ს კლასიფიკაციით SA-14 Gremlin) საბჭოთა არმიის მოტომსროლელი დანაყოფების შეიარაღებაში 1974 წელს მიიღეს. იგი იმით გამოირჩეოდა წინამორბედი Стрела-2М-ისგან, რომ აღჭურვილი იყო რაკეტის თბური დამიზნების მოწყობილობის გამაცივებელი სისტემით, რომელიც მინუს 200 გრადუსამდე აცივებდა ფოტომიმღებს. ამან Стрела-3-ის მსროლელს საშუალება მისცა საზენიტო რაკეტა არა მარტო უკვე გადაფრენილი რეაქტიული თვითმფრინავის უკან დადევნებით გაეშვა (როგორც ეს Стрела-2М-ის შემთხვევაში ხდებოდა), არამედ შემხვედრი კურსითაც.

Стрела-3 შემდეგი ნაწილებისგან შედგება: — 9П58М ტიპის გამშვები მექანიზმი (ის, რაც აღმოაჩინეს ახალქალაქის ერთ-ერთი სახლის სხვენზე), გამშვები მილი 9П59, საზენიტო რაკეტა 9М36-1 და კვების ბლოკზე დამაგრებული სფერო-ბალონი, რომელშიც სითბური დამიზნების მოწყობილობის გამაცივებელი აირია ჩატუმბული.

ჩვენთვის საინტერესო 9П58М ტიპის გამშვები მექანიზმის მთავარი ფუნქცია რაკეტის გასაშვებად მომზადება და მისი უსაფრთხო სტარტია. გასროლის წინ მეზენიტე თითს აჭერს გამშვები მექანიზმის სასხლეტს, რომელიც პირველ პოზიციაზე ჩადის, ამ დროს კვების ბლოკიდან ელექტროდენი მიეწოდება რაკეტის დამიზნების მოწყობილობას გიროსკოპის ასამუშავებლად, ხოლო სფერო-ბალონიდან წნევის ქვეშ გამოსული აირი აცივებს რაკეტის დამიზნების მოწყობილობის ფოტომიმღებს, რათა მან ცის ფონზე მფრენი ობიექტის კონტრასტული ფიგურა სამიზნეში „ჩაიჭიროს“. ამის შემდეგ გამშვები მოწყობილობის დინამიკიდან გაისმის ზუმერის ხმა, რომელიც მეზენიტეს ამცნობს საფრენი აპარატის სამიზნეში ამოღებას და მეზენიტეს სასხლეტს ბოლომდე აწვება, რის შემდეგაც ხდება რაკეტის სტარტი.

9K34 Стрела-3-ის მასა საბრძოლო მდგომარეობაში 16 კგ-ია, საიდანაც საზენიტო რაკეტაზე 10,3 კგ-ი, ხოლო გამშვებ მექანიზმზე კი 2,95 კგ მოდის. 1,4 მ სიგრძის საზენიტო რაკეტის მაქსიმალური სიჩქარე 400 მ/წმ-ია და ის მაქსიმალურ 4,5 კმ-ის მანძილზე და 3 კმ-ის სიმაღლეზე ეწევა სამიზნეს (საფრენი აპარატის სიჩქარე არა უმეტეს 260მ/წმ შეიძლება იყოს შემხვედრი მიმართულებით და არა უმეტეს 310 მ/წმ-ი უკანდადევნების შემთხვევაში). მიზანში მოხვედრისას ამოქმედდება კონტაქტური ამფეთქი, რომელიც დეტონაციას უწევს რაკეტის 1,17 კგ მასის საბრძოლო ქობინს. თუკი საზენიტო რაკეტა ვერ მოხვდა მიზანს, მისი სტარტიდან 14-17 წმ-ის შემდეგ ამოქმედდება თვითლიკვიდატორი, რომელიც რაკეტას ჰაერში ანადგურებს.

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...


აზერბაიჯანული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატი Orbiter-2M

## აზერბაიჯანი

● აზერბაიჯანი მალე შეუდგება სამხედრო-საჰაერო ძალების 10 საფრონტო ბომბდამშენის Су-24-ის მოდერნიზაციას. ამ თვითმფრინავებმა ბოლო ფრენა 2008 წლის 26 ივნისს ბაქოში გამართულ სამხედრო ალლუმზე შეასრულეს.

● თურქული კომპანია Havelsan-ი შეუერთდა პროექტს, რომელიც აზერბაიჯანში ახალი სამხედრო აეროდრომის მშენებლობასთან არის დაკავშირებული. აეროდრომზე სამშენებლო სამუშაოებით დაკავებულია თურქული კომპანია Koza Insaat ve Savunma Sanayi, ხოლო Havelsan-ი ელექტრონულ სისტემებს გამართავს და პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოებს შეასრულებს. ჯერჯერობით უცნობი რჩება მშენებარე აეროდრომის მდებარეობა.

● აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა Ми-24-მა მოდერნიზაცია Super Hind Mk IV-ის ვერსიამდე უნდა გაიაროს. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი კომპანია Azairtechservice სამხრეთაფრიკულ Paramount Advanced Technologies-თან (ATE) ერთობლივ სამუშაოებს ატარებს.

● ქვეყნის პარლამენტი — მინიმეჯლისი განიხილავს წინადადებას, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ასაკის 40 წლამდე გაზრდას შეეხება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ზღვრული გასაწვევი ასაკი 35 წლით არის განსაზღვრული.

● 2002-2012 წლებში აზერბაიჯანმა ბელორუსიისგან იყიდა 11 საბრძოლო თვითმფრინავი, 153 — Т-72 ტიპის ტანკი, 60 — ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70, 120 — 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30 და 12 — 203 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С7 Пион-ი.

● 1-ელ დეკემბერს საღამოს აზერბაიჯან-ირანის საზღვარზე ლენქორანის რაიონის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელ მესაზღვრეებსა და საზღვრის დამრღვევთა შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. სროლის შედეგად დაილუპა მაიორი მაჰსუდ ნაგიევი, დაიჭრა ორი სამხედრო, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

● 5 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ ბაქოში დაგეგმილ საერთაშორისო თავდაცვით გამოფენაზე ADEX-2014-ზე უკრაინა ჯავშანტრანსპორტიორ БТР-4МВ-ს წარმოადგენს.

● შპს Bakı Tikis Evi (BTE)-ს თავმჯდომარის ფადაი რაგიმოვის თქმით, აზერბაიჯანის არმია 2014 წლის ზაფხულიდან ახალ საველე ფორმაზე გადასვლას დაიწყებს. ახალი ფორმა ამჟამინდელისგან უკეთესი ხარისხით განსხვავდება და მასში გამოყენებულია თურქული ქსოვილი თურქული კამუფლაჟის მსგავსი ციფრული დიზაინით.

● 12,7 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა Mubariz-ი მალე არმიის შეიარაღებაში შევა. შაშხანა ეროვნული გმირის მუბარიზ იბრაჰიმოვის სახელს ატარებს და მისი დანიშნულება დიდ მანძილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და მსუბუქი ჯავშანტექნიკის განადგურებაა.

● მიმდინარე წელს აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო ათ Orbiter-2M ტიპის უპილოტო საფრენ აპარატს დაამზადებს. გარდა ამისა, წელს წარმოებული იქნება 30 ცალი Matador-ისა და Marauder-ის ტიპის ჯავშნიანი ავტომობილი.

## სომხეთი

● ექსპლუატაციაში შევიდა რუსეთში ნაყიდი Птеро-Е5 ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები. ოფიციალური ინფორმაციით, აპარატის 5 კომპლექტი 2012 წელს სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ შეიძინა, მაგრამ მისი დემონსტრირება თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე შედგა.

● სომხეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და რუსეთის 102-ე ბაზას ერევნის აეროპორტ „ერებუნში" მოედნები გადასცა, რომლებზეც რუსული საბრძოლო შვეულმფრენების ახალი ესკადრილია განთავსდება.

● სომხეთში ვიზიტად მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2 დეკემბერს ქალაქ გიუმრიში მდებარე რუსეთის არმიის 102-ე სამხედრო ბაზაში პირადი შემადგენლობის სამსახურის პირობებს გაეცნო.


სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმა გიუმრიში რუსეთის არმიის 102-ე ბაზა დაათვალიერეს

● 4 დეკემბერს სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა არწრუნ ოვანისიანმა ახალწვეულთა მშობლებს მოუწოდა, 2013 წლის ზამთრის გაწვევისას კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს არ მიმართონ. ამჯერად გაწვევა ახალი წესით მიმდინარეობს და ახალწვეული სამსახურის ადგილს კენჭისყრით ირჩევს. კენჭისყრაში მონაწილეობა ახალწვეულთა მშობლებსაც შეუძლიათ.

● 10 დეკემბერს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე იპოვეს ჯარისკაცის გვამი, რომელსაც ქვედა ყბაში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა. მოგვიანებით სამხედრო პოლიციამ გარდაცვლილის თანამებრძოლი ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით დააკავა.

● 14 დეკემბერს ფრონტის ხაზზე სროლის გამო დაიღუპა სომხეთის არმიაში კონტრაქტით მომსახურე ჯარისკაცი.

● 18-19 დეკემბერს ერევანში სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწე ეველინა ფარკასმა კონსულტაციები გამართა სომხეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 22 ნოემბერს სეპარატისტთა ლიდერის ალექსანდრ ანქვაბისა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელის, არმიის გენერლის მირაბ ქიშმარიას შეხვედრაზე განიხილეს გეგმა, რომელიც სამხედრო ნაწილების დისლოკაციის შეცვლასთან არის დაკავშირებული.

● 23 ნოემბერს რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა იაკოვ რეზანცევმა განაცხადა, რომ სავალდებულო სამსახურიდან თადარიგში გაშვებული 1 700 ჯარისკაცის ნაცვლად ბაზამ ბევრად ნაკლები ახალწვეული მიიღო, რადგან კონტრაქტით მომსახურეთა რაოდენობა გაიზარდა. ოკუპირებული აფხაზეთი საზღვარგარეთად ითვლება, ამიტომ მე-7 ბაზის სამხედროები გაზრდილ ხელფასს იღებენ და სამსახურის ერთი წელი წელიწად-ნახევრად ეთვლებათ.

● 3 დეკემბერს ერევანში საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ეგიდით ჩატარდა 1992-1993 წლებში აფხაზეთში უკვალოდ დაკარგულთა გამომრკვევი საკოორდინაციო მექანიზმის მე-4 შეხვედრა. წითელი ჯვრის წინასწარი ინფორმაციით, სოხუმის პარკის ერთ-ერთ მონაკვეთზე დაკრძალული დალუპულების ნაშთების გამოკვლევის შედეგად 7 მათგანის იდენტიფიცირება მოხერხდა.


ძარწემის პოლიგონზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის ქვედანაყოფებმა საველე მეცადინეობები ჩაატარეს

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 5 დეკემბერს ძარწემის პოლიგონზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის საველე მეცადინეობები დაიწყო. მასში 1 500 სამხედრო მოსამსახურე და საბრძოლო ტექნიკის 500 ერთეული (ტანკები — Т-72БМ, ქვეითთა საბრძოლო მანქანები — БМП-2 და БМП-3, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები — Мста-С, Акация და Гвоздика) მონაწილეობს.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● ნოემბრის ბოლოს ყარაბაღის მხარდასაჭერად ლოს-ანჯელესში საყოველთაო სომხური ფონდის „აისტანის" მიერ ჩატარებული ტელემარათონის დროს შეგროვილი თანხის მოცულობამ 22 მლნ 661 ათას დოლარზე მეტი შეადგინა. ტელემარათონს წინ უსწრებდა 21-24 ნოემბერს საფრანგეთში საერთო-ევროპული ფონეტონი-2013, სადაც ყარაბაღისთვის 1 მლნ 460 ათასი ევრო შეგროვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...


ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის ახალი მეკავშირე კატარღა

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

- 3 დეკემბერს როსტოვის ოლქში დისლოცირებული საავიაციო ნაწილის მფრინავებმა უახლესი მრავალფუნქციონალური საფრონტო გამანადგურებელ-ბომბდამშენ Су-34-ით პირველი ფრენები შეასრულეს.
- 2013 წელს კრასნოდარის მხარეში მდებარე საარმიო ავიაციის ავიაბაზის 80-მდე მფრინავმა მაღალ მთებში ამოცანების შესრულებაზე დაშვება მიიღო. თითოეული მფრინავის ნაფრენმა 150-200 სთ შეადგინა. სასწავლო შეკრებაზე ყველა ეკიპაჟმა პილოტირების სათანადო ცოდნა დაამტკიცა.
- სამხრეთის სამხედრო ოლქში ჩატარდა საფრონტო ავიაციის ჯგუფების პოლკებად, ხოლო ბაზის დივიზიად ხელახალი ფორმირება. კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვისა და ვოლგოგრადის ოლქებში ჩამოყალიბდა 6 საავიაციო პოლკი, რომელთა ნაწილი ორგანიზაციულად 1-ლი გვარდიული შერეული საავიაციო დივიზიის შემადგენლობაში შევიდა. თითოეული ავიაპოლკი შესასრულებელი ამოცანებიდან გამომდინარე, დაკომპლექტდა გამანადგურებელი, მოიერიშე, ბომბდამშენი, სატრანსპორტო და შერეული სახის ავიატექნიკით, რაც პოლკების დასახელებებში აისახა.
- ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზაში დაიწყო ახალი მეკავშირე კატარღის (პროექტი 1388НЗ) გამოცდა. მისი დანიშნულება ბაზის სამხედრო ხომალდების დაჯგუფებებს შორის კავშირის უზრუნველყოფა იქნება. რეალურად კი 500 ტ წყალწყვის კატარღა, ალბათ, იახტის დანიშნულებას შეასრულებს და რუსეთის უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებს მოემსახურება.

## თურქეთი

- თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით 3 ათასამდე ლიბიელი სამხედრო თურქეთში 14-კვირიან მომზადებას გაივლის.
- 27 ნოემბერს თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სირიაში რადიკალური ისლამისტების რიგებში თურქეთის მინიმუმ 500 მოქალაქე იბრძვის. მათ მომზადება სპეციალურ ბანაკებში, პაკისტანში, ავღანეთსა და სხვა ცხელ წერტილებში გაიარეს. თურქეთის სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით კი სირიაში თურქეთის არანაკლებ 75 მოქალაქე დაიღუპა.
- ნოემბრის ბოლოს თურქეთი სომხეთისა და ირანის სახელმწიფო საზღვრის ზოგიერთ მონაკვეთზე განაღმვით ოპერაციებს შეუდგება. ამის მიზეზი კი გახდა დიპლომატიური მზადება, რომელიც სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას შეეხება. ანკარას იმედი აქვს, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით საზღვრისპირა დანაღმული 11 მლნ 600 ათასი კვ კმ ტერიტორიიდან 4 მლნ-ს განაღმავს.
- თურქეთის სამხედრო უწყებას 9 კომპანიამ შესთავაზა სასწავლო თვითმფრინავები გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად, რომელიც საბაზო მომზადებისთვის საჭირო 52 თვითმფრინავს შეეხება და მასში მონაწილეობისთვის განცხადების მიღება 2014 წლის 27 იანვრამდე გაგრძელდება.
- 2 დეკემბერს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქული კომპანია Otokar-ი მალე შეუდგება ახალი თაობის ტანკის Altay-ს სერიულ წარმოებას.


თურქეთი ძირითადი საბრძოლო ტანკის Altay-ს წარმოებისთვის ემზადება

- 11 დეკემბერს თურქეთის სპეცსამსახურებმა გაათავისუფლეს ქურთების მუშათა პარტიის ბოევიკების მიერ დაკავებული 4 თურქი სამხედრო მოსამსახურე. 8 დეკემბერს სამხედროები სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულნი კერძო ავტომობილებით სამხედრო ნაწილში ბრუნდებოდნენ, როცა დიარბაქის პროვინციაში ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს. სპეცოპერაციის დეტალები უცნობია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით თურქ ჟანდარმებს დახმარებას ავიაცია უწევდა.
- 2014 წლის პირველ ნახევარში თურქეთი აშშ-თან ერთად დაიწყებს Sikorsky-ს კომპანიის შვეულმფრენთა წარმოებას. შეთანხმებით გათვალისწინებულია 3 მლრდ 500 მლნ დოლარის 109 შვეულმფრენის დამზადება.
- დედაქალაქ ანკარას მახლობლად 17 დეკემბერს სასწავლო ფრენის დროს კატასტროფა განიცადა S-70 ტიპის სამხედრო შვეულმფრენმა. შვეულმფრენი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს გამოედო, ჩამოვარდა და ოთხი ადამიანი იმსხვერპლა. იმავე დღეს მარდინის ოლქში მეორე სამხედრო შვეულმფრენი დაიმსხვრა.
- თურქეთის მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ცნობით თურქეთმა სირიაში ასადის რეჟიმთან მებრძოლებს არანაკლებ 47 ტ შეიარაღება მიაწოდა. ოფიციალური ანკარის თქმით, თურქეთი აჯანყებულებს იარაღით არ ეხმარება და გავრცელებული ცნობები არასაბრძოლო დანიშნულების საშუალებებს შეეხება.


ირანი პოტენციურ მოწინააღმდეგეებს რაკეტების მასირებული დარტყმით ემუქრება

## ირანი

- ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებმა გამოაცხადეს, რომ დასრულდა ოთხი ხომალდის კაპიტალური რემონტი-მოდერნიზაცია და დეკემბრის პირველ რიცხვებში ფლოტს დაუბრუნდა: Kaman/Sina პროექტის სარაკეტო კატარღები P231 Neyzeh-ი და P232 Tabarzin-ი (დაიდგა — Nour-ისა და Qader-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, ახალი 76 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი), სადესანტო ხომალდი 513 Lavan-ი (Hengam-ის სერია) და ტანკერი Sirjan-ი (Delvar-ის სერია). ბოლო ორ მცურავ საშუალებაზე ჩატარებულ სამუშაოებზე არაფერია ნათქვამი.
- ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის სარდლის, გენერალ-მაიორ მოჰამად ალი ჯაფარის თქმით, ირანი თავდასაცავად ასიმეტრიული ტაქტიკით ისარგებლებს, რომელიც პირველად „ჰეზბოლამ" ისრაელის წინააღმდეგ 2006 წელს 33-დღიან ომში გამოიყენა. გენერლის შეფასებით მოწინააღმდეგეს არა აქვს მონაცემები ირანული რაკეტების ბაზირების შესახებ, არადა, ამ მიზნით ქვეყნის მთელი ტერიტორიის ნებისმიერი რაიონის გამოყენება არის შესაძლებელი. ამჟამად ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსს უპილოტო საფრენი აპარატების მართვადი რაკეტებითა და ბომბებით აღჭურვის ძალაც შესწევს.
- სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის დირექტორმა ალი რეზა ჯაჰინგირიანმა 13 დეკემბერს ირანის საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება 150 მგზავრზე გათვლილი თვითმფრინავის პროექტირება-აგებაზე. ამის საჭიროება დადგა მას შემდეგ, რაც ქვეყნის საავიაციო მრეწველობამ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების IrAn-140-ის წარმოება აითვისა.
- თეირანში კვლევებისა და ტექნოლოგიების ფესტივალზე გამოსვლისას ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ირანის თავდაცვითი დოქტრინა მასობრივი განადგურების და მათ შორის, ბირთვული იარაღის წარმოებას არ ეფუძნება.
- 16 დეკემბერს ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილის, კონტრადმირალ ამირ რასტეგარის თქმით, უახლესი სარაკეტო ფრეგატი Damavand-ი ტესტირებას გადის და მისი დასრულების შემდეგ სამსახურს კასპიის ზღვაში გააგრძელებს.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რატომ გვჭირდება სიცრუის დეტექტორი — პოლიგრაფი?

**უკანასკნელ დროს საქართველოს ხელისუფლებაში საკადრო „კარუსელები“ და ახალგაზრდა, ხშირად გამოუცდელი და შეუმოწმებელი კადრების დანიშვნა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე სპონტანურად, სათანადო შემოწმების გარეშე ტარდება.**




პოლიგრაფის, როგორც სამედიცინო-ფსიქოლოგიური აპარატის გამოგონებაზე მუშაობა XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო. ამ საკითხზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ ფსიქოლოგები და იურისტები: ჩეზარე ლომბროზო, უილიამ მარტსონი და კალიფორნიის შტატის პოლიციის ოფიცერი ჯორჯ ლარსონი, რომელმაც 1921 წლიდან დაიწყო ამ აპარატურის გამოყენება. 30-იან წლებში ამერიკელმა ლეონარდ კილერმა იმ დროისათვის ყველაზე სრულყოფილი სიცრუის დეტექტორი შექმნა.

პოლიგრაფის მიზანია ტყუილსა და ალელვებაში გამოიჭიროს შემოწმების ობიექტი. სტანდარტული აპარატი ზომავს სუნთქვისა და პულსის სიხშირეს, წნევას, ხელისგულზე ოფლის გამოყოფას და ა.შ. რაც მეტი პარამეტრი ფიქსირდება, მით უფრო სანდოა შედეგი. გაზომვისა და რეაგირების შედეგი გრაფიკულად გამოისახება მილიმეტრიან ქალალდზე.

თუ გრაფიკზე პირდაპირი ხაზია, მაშინ გამოსაცდელი არ ღელავს და არ ტყუის, ხოლო გრაფიკზე გამოსახული მკვეთრი ტეხილები იმის მიმანიშნებელია, რომ სიმართლის დაფარვას ცდილობს და ღელავს.

დღეისათვის სიცრუის დეტექტორს ბევრ ქვეყანაში იყენებენ. მისი დახმარებით ოფიციალური სტრუქტურები სხვა ქვეყნის აგენტურის, ხოლო კერძო კომპანიები კონკურენტი ფირმების ინფორმატორების გამოვლენას ცდილობენ.

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს — აშშ-ის მდიდარი გამოცდილება კადრების შერჩევაში.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში „სიცრუის დეტექტორის“ (პოლიგრაფის) გამოყენებას 50 წლის ისტორია აქვს. თავიდან ჯაშუშობასა და სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა შესამოწმებლად იყენებდნენ. 60-იანი წლების დასაწყისიდან ყველა სახელმწიფო მოსამსახურე, ვინც მნიშვნელოვან სამთავრობო პოსტს დაიკავებდნენ ან საიდუმლო დოკუმენტაციასთან ექნებოდათ შეხება, სიცრუის დეტექტორის „კლანჭებში“ სავალდებულო გავლა ელოდა.

აშშ-ში ამჟამად მოქმედი კანონით თავდაცვის სამინისტროს მინიჭებული აქვს ექსკლუზიური უფლება პოლიგრაფზე შეამოწმოს როგორც თავისი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი, ასევე სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, სპეცსამსახურების და პენტაგონის სამხედრო შეკვეთებით დაკავებული ამერიკის კერძო კომპანიების თანამშრომლები.

ამ მნიშვნელოვან ფუნქციას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში 200-მდე მაღალი კვალიფიკაციის ოპერატორი ასრულებს. ისინი ყოველწლიურად რამდენიმე ათას ტესტირებას ატარებენ. სპეცშემოწმებების უმრავლესობა კონტრდაზვერვით მიზნებს ისახავდა და საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების ნებართვას შემოწმების კანდიდატი მხოლოდ პოლიგრაფთან „ნერვების ბრძოლაში“ გამარჯვების შემთხვევაში იღებდა.

საინტერესოა ტესტირების შედეგები. 4 ათასამდე კაცმა ტესტირება გაიარა საიდუმლო დოკუმენტებთან დაშვების ნებართვის მისაღებად, მათგან ათასზე მეტი თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს

ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის კანდიდატი იყო. ხუთი ათასამდე პირმა ტესტირება ცსს-ს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) და ეუს-ს (ეროვნული უშიშროების სააგენტოს) მოთხოვნით გაიარა. 3 ათასამდე ტესტირებული კერძო კომპანიის თანამშრომელი იყო, რომლებსაც სამხედრო შეკვეთებზე უნდა ემუშავათ. სიცრუის დეტექტორთან შერკინებაზე უარს თითქმის არავინ აცხადებს. თუ ტესტირების შედეგად გამოვლინდება პირი, რომელიც ტყუილის დაფარვას ცდილობს, ინიშნება სამსახურებრივი მოკვლევა. საინტერესოა, რომ ხშირად ეს პირები წარმატებით გადიან გასაუბრებას გამოცდილ კონტრმზვერავებთან.

პოლიგრაფის მაღალი ეფექტიანობა ასევე დადასტურდა სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების დროს. ამ მეთოდით დამნაშავის გამოვლენის პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედებათა დროს.



თანამედროვე პოლიგრაფის გამომგონებელი ამერიკელი ლეონარდ კილერი აპარატის გამოცდისას

პოლიგრაფის შედეგიანობა უპირველესად დამოკიდებულია ოპერატორების კვალიფიკაციაზე. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს, რომელიც ტესტირებას ხელმძღვანელობს, ოპერატორთა კადრების მომზადების ცენტრი — პოლიგრაფიული ტესტირების ინსტიტუტიც აქვს.

სიცრუის დეტექტორის ოპერატორთა კანდიდატებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. კერძოდ, უნდა იყვნენ აშშ-ის მოქალაქეები, არანაკლებ 25 წლისა; ჰქონდეთ გფბ-



პირველი პოლიგრაფი

ში გამომძიებლად მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი; უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით (რაც სპეცშემოწმებით უნდა დასტურდებოდეს); დამთავრებული უნდა ჰქონდეთ პოლიგრაფის ოპერატორის დაწყებითი კურსები და სხვ.

აშშ-ის სხვა ფედერალური უწყებების პოლიგრაფოლოგებიც ვალდებული არიან თავდაპირველი საბაზო მომზადება გაიარონ პენტაგონის ინსტიტუტში და შემდეგ ექვსი თვე გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ჩაატარონ არანაკლებ 25 ტესტირება. მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ მიეცემათ სერტიფიკატი, რომელიც აძლევს მათ უფლებას, დაიკავონ ოპერატორის თანამდებობა და დამოუკიდებლად ჩაატარონ ტესტირება. მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება — ყოველი ორი წლის შემდეგ ისინი ვალდებულნი არიან გაიარონ კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსები.

ამ მცირე მონათხრობიდანაც ჩანს, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა სიცრუის დეტექტორის გამოყენებას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებში. იმავდროულად, არამართებული იქნებოდა პოლიგრაფის პანაცეად გამოცხადება და მხოლოდ მის იმედად ყოფნა. აქ ვაწყდებით როგორც იურიდიულ, ასევე მორალურ პრობლემებსაც.

აშშ-ის სასამართლოები პოლიგრაფზე შემოწმების შედეგებს მტკიცებულებად არ მიიჩნევენ. თავის დროზე, პოლიგრაფით შემოწმებაზე პრინციპული უარი განაცხადეს აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა (რომელმაც თავისი მეგობრის, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დახმარებით აშშ-ის საგარეო უწყების თანამშრომლებსაც აარიდა ეს, ბევრისათვის პიროვნულად დამამცირებელი პროცედურა) და თვით ცსს-ს ყოფილმა დირექტორმა ჯეიმს ვულსმა ამ თანამდებობაზე დანიშვნისას.

პოლიგრაფის, უფრო ზუსტად, მისი ოპერატორების მომზადების დაბალი დონე გამოჩნდა ოლდრიჩ ეიმსის, ცსს-ში საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი აგენტის შემოწმებისას. მან ორჯერ — 1986 და 1991 წლებში — ბავშვივით მოატყუა პოლიგრაფი (უფრო სწორად, ოპერატორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

*აშშ-ის სასამართლოებისთვის პოლიგრაფზე შემოწმების შედეგები მტკიცებულებად არ მიიჩნევა და რაც განსაკუთრებით საინტერესოა — პოლიგრაფით შემოწმებაზე პრინციპული უარი განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანის დროს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა (1982-89 წწ.) და ამ პროცედურას აშშ-ის საგარეო უწყების თანამშრომლებიც აარიდა.*

*ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა 1993-95 წლებში ჯეიმს ვულსმა ამ თანამდებობაზე დანიშვნისას პოლიგრაფით შემოწმებაზე ასევე უარი თქვა.*

*როგორც აღმოჩნდა, პოლიგრაფით შემოწმების შედეგებიც შეიძლება არასაიმედო აღმოჩნდეს და ამის ყველაზე კარგი მაგალითი რუსეთის დაზვერვის აგენტი ოლდრიჩ ეიმსია, რომელმაც პოლიგრაფი ორჯერ ბავშვივით მოატყუა.*





ჯორჯ შულცი



ჯეიმს ვულსი



რუსეთის დაზვერვის აგენტი ოლდრიჩ ეიმსი

აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლები იმ პერიოდში ყოველ ხუთ წელიწადში გადიოდნენ სავალდებულო შემოწმებას დეტექტორზე. შეშფოთებულმა აგენტმა მაშინ დახმარებისათვის კა-გე-ბედან თავის კურატორს მიმართა — ეიმსს იმედი ჰქონდა, რომ პოლიგრაფის დასამარცხებლად სპეციალურ მედიკამენტს ან რჩევას მისცემდნენ.

აგენტი იმედგაცრუებული დაბრუნდა შეხვედრიდან: „არ ინერვიულოთ, კარგად გამოიძინეთ და დილით კარგად ისაუზმეთ“, — ასეთი იყო კა-გე-ბეს რჩევა.

ორივე ტესტირებისას აპარატი აჩვენებდა, რომ ეიმსი ზოგიერთ კითხვაზე პასუხისას ცრუობდა, მაგრამ განმეორებით დანიშნული ტესტირებისას დამშვიდებულმა რუსების აგენტმა შემოწმება წარმატებით გაიარა.

ბოლო პერიოდში გაირკვა, რომ გარდა ამ კონკრეტული შემთხვევისა, ცსს-ს თანამშრომლებმა, რომლებიც უკვე გადაბირებულნი იყვნენ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების (ერთ შემთხვევაში, კუბის) მიერ, წარმატებით გაიარეს პოლიგრაფზე შემოწმება.

ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებისა და ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელობა გამოიყენებს ამერიკის, ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის გამოცდილებას და კადრების შერჩევისას სიცრუის დეტექტორის გამოყენებას დანერგავს. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მტერ-მოყვარე ცდილობს აგენტურა ჩანერგოს საქართველოს ხელისუფლების ყველა მნიშვნელოვან სტრუქტურაში.

**• ბესიკ ალადაშვილი**
**„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე**

**ახალი 2014 წლიდან „არსენალს“ კიდევ ერთი საინტერესო რუბრიკა „აშკარა-დაუჯერებელი“ შეემატება. ვეცდებით მკითხველს ამ რუბრიკის საშუალებით გავაცნოთ სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ისეთი ფაქტები, რომელთა წარმოდგენა და დაჯერება მართლაც რთულია**

# ჩინური ტანკი... ცარიელი ჰილზებიდან

ჩინეთში, შენიანის მრეწველობის მუზეუმში წარმოდგენილია ნატურალური ზომის ჩინური ტანკის, Type-99-ის უცნაური მოდელი, რომელიც მთლიანად დამზადებულია... გასროლილი ჭურვების ჰილზებისგან. ჩინელმა ენთუზიასტებმა ამ უცნაური ტანკის დასამზადებლად 10 სახის ჭურვის 48356 ცალი ცარიელი ჰილზა გამოიყენეს და 6,5 ტ მასის ტანკი-ჰილზა სამხედროებს აჩუქეს, თუმცა რაში გამოიყენებს ჩინეთის ისედაც უთვალავტანკიანი არმია ამ საჩუქარს, ძნელი სათქმელია...











ასე გამოიყურება ნამდვილი ჩინური Type-99



## სირია და კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება

# სირიის პრეზიდენტს ცხინვალში ნაბრძოლი ჩეჩნები იცავენ?!

სირიაში განვითარებული მოვლენები კვლავ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, რადგან აშკარა ხდება, რომ ინიციატივა რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების ხელში გადადის. ასადის რეჟიმის დამხობის დრო უახლოვდება ლოგიკურ დასასრულს, მაგრამ ისმის კითხვა: ვინ და რომელი ძალა ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას.

რადიკალი ისლამისტების კონტროლირებად შეიარაღებულ ფორმირებებში, რომელთა რიგებშიც როგორც უბრალო მებრძოლთა, ასევე ხელმძღვანელ საველე მეთაურთა შორის მრავლად არიან კავკასიური და მათ შორის საქართველოდან წასული მებრძოლები.

გასაგებია, რომ ერაყი, ავღანეთი და სირია უახლოეს მომავალში შეიძლება გადაიქცნენ პოლიტიკური ისლამის რეალიზების გეოპოლიტიკურ პროექტად, რომელსაც პირობითად შეიძლება „ისლამური ინტეგრიზმის“ ფენომენი ეწოდოს. ამ შემთხვევაში „ისლამური ინტეგრიზმი“ წარმოადგენს სალაფიტურ იდეებზე აღმოცენებული გასამხედროებული ისლამისტური დაჯგუფებების კრებსით სახელწოდებას, რომელსაც აქვს კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები.

ამ სამი გეოპოლიტიკური სივრცის საფუძველზე გამორიცხული არ არის გაჩნდეს „ერთიანი ისლამური ხალიფატი“. ასეთ საფრთხეზე, რომელსაც კლასიკური ისლამის დოგმებთან კავშირი არა აქვს და მისი გავრცელებით გამოწვეულ საფრთხეებზე ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე საუბრობენ, მაგალითად, ალბანეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას სპეცსამსახურები, ზოგიერთი ქვეყანა კი ამ თემას საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნებისთვის იყენებს.

სწორედ სირიიდან წამოსული საფრთხის ლოკალიზაციის მიზნით ჩეჩნეთში მისი ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელის, რამზან კადიროვის ინიციატივით სპეცდანიშნულების რაზმის ჩამოყალიბება და გაწვრთნა დაიწყო. კადიროვის განცხადებით, რაზმის მიზანი სირიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსული ისლამისტი „ინტეგრისტების“ (ამ შემთხვევაში ნეოვაჰაბიტური იატაკქვეშეთში მოქმედი ჯგუფების) განადგურება და მათთან ე. წ. „დამსწრები სტრატეგიის“ პრინციპებით მოქმედება უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ ამ რაზმის სირიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში, ანუ როგორც სიღრმისეული დაზვერვის დივერსიული შენაერთის სახით გამოყენებაც გათვალისწინებულია. შემთხვევით არ არის ისიც, რომ რაზმის წვრთნასა და ტაქტიკურ-საბრძოლო მომზადებას ხელმძღვანელობენ რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის სპეციალური დანიშნულების ცენტრის „ალფას“ სპეცდანიშნულების რაზმის (გასაიდუმლოებული შენაერთი, რომელსაც ევალება საბრძოლო ოპერაციების ჩატარება საზღვარგარეთაც) ინსტრუქტორთა ჯგუფი, ვიცე-პოლკოვნიკ დანიელ მარტინოვის ხელმძღვანელობით. იმავდროულად, მარტინოვი უკვე დაინიშნა კადიროვის პირადი დაცვის უფროსად და სპეციალურ თანაშემწედ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში. სავარაუდოდ, რაზმის პირადი შემადგენლობა რამზან კადიროვის პირადი გვარდიის (15-ათასიანი ჩეჩნური გასამხედროებული ფორმირებები) მებრძოლებით დაკომპლექტდა და რაოდენობრივად ბატალიონის ტოლფასია. განკარგულება რაზმის ჩამოყალიბებისთვის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე და მოსკოვიდან „ალფას“ ინსტრუქტორთა მივლინების შესახებ გასცა უშუალოდ ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორმა ბორტნიკოვმა.

როგორც ჩანს, კრემლის ადმინისტრაცია „ჩეჩნური კარტის" გათამაშებას აპირებს და სირიაში ფარული ინტერვენციის გეგმას ამუშავებს ავღანეთის 1979 წლისა და ლიბანის 1982 წლის სცენარების გათვალისწინებით.

ამავე კუთხით უნდა განვიხილოთ სირიასთან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხებიც, რადგან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და საგარეო-პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი ამჟამინდელი ვლადიმირ პუტინის რეჟიმია.

ამ თანამშრომლობის ნათელი მაგალითია სირიის სპეცსამსახურების ჩამოყალიბების ისტორია და ამ პროცესში საბჭოთა კოლეგების დახმარება.

1958 წლის 1-ელ თებერვალს, როდესაც გაერთიანდა ორი არაბული ქვეყანა — ეგვიპტე და სირია — ერთიან არაბულ რესპუბლიკად, სირიის სპეცსამსახურები გადავიდნენ ეგვიპტელი კოლეგების დაქვემდებარებაში შესაბამისი ორგანიზაციული ცვლილებებით. „მეორე ბიურო" ეგვიპტის სამხედრო დაზვერვის შემადგენლობაში შევიდა. საერთო უშიშროების სამმართველო ეგვიპტის საიდუმლო სამსახურების დირექტორატად გადაკეთდა, ხოლო საერთო დაზვერვის სამმართველო გარდაიქმნა „სპეციალური დავალებათა ბიუროდ", რომელსაც ქვეყნის გარეთ სპეციალური ოპერაციების ჩატარება დაევალა.

60-იან წლებში, როდესაც ეს სახელმწიფო დაიშალა, სირიის სპეცსამსახურები ძირეულად გარდაიქმნა, რაშიც დიდი წვლილი საბჭოთა კავშირის სპეცორგანოებმა შეიტანეს. ამავე პერიოდიდან სირიაში მუდმივად იმყოფებიან საბჭოთა სამხედრო მრჩევლები, მათ შორის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები. სხვათა შორის, 1978 წელს სირიაში საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააარსა „ქურთისტანის მუშათა პარტია", რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე გააქტიურდა, ანუ საბჭოთა კავშირმა გამოიყენა სირია როგორც სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმი NATO-ს წევრი ქვეყნის წინააღმდეგ. ეს პრაქტიკა არ შეწყვეტილა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, როცა რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრედ გამოცხადდა.

დღესაც არის მჭიდრო კოორდინაცია სირიის სამხედრო დაზვერვის სტრუქტურებსა და რუსეთის სამხედრო დაზვერვას შორის. ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის პარტნიორობამ პიკს 1991-93 წლებში მიაღწია, რაც, რამდენად პარადოქსული უნდა იყოს, კავკასიის რეგიონში განხორციელდა.


*ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი*


*2008 წლის აგვისტოს ომში ჩეჩნური ბატალიონ „ვოსტოკის" მებრძოლები ყოველთვის საბრძოლო მოქმედებათა ეპიცენტრში იმყოფებოდნენ*



ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ისლამისტი

ამ ეტაპზე რუს სამხედრო მრჩეველთა მისიას სირიაში გენერალ-ლეიტენანტი ვასილი იაკუშევი ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფის ამოცანა:

— დამასკოსთან ახლომდებარე რუსეთის სამხედრო სადაზვერვო მთავარი სამმართველოს ეგიდით მოქმედი კოსმოსური დაზვერვისა და რადიოსალოკაციო ცენტრის ოპერატიული მართვა-დაცვა;

— დამასკოში ასადის ოჯახის წევრებისა და სასახლის დაცვა რუსეთის სამხედრო დაზვერვის ჩეჩნური სპეცდანიშნულების ბატალიონ „ვოსტოკის“ მებრძოლებით. რამზან კადიროვის მრჩეველი საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში სირიელი, მაგრამ უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზიადა საბსაბია, რომელიც შემთხვევით არ არის მივლინებული გროზნოში — მას სპეციფიკური მისია აქვს.

„სირიული“ ფაქტორი კვლავაც აქტუალურია კავკასიის რეგიონში და კრემლი ცდილობს სირიიდან გამოსულ ჩერქეზულ-ვაინახური დიასპორის წარმომადგენლებში პრომოსკოვური ორიენტაცია გააძლიეროს როგორც თვით სირიაში, ასევე აფხაზეთსა და ადიღეური წარმოშობის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში გადმოსახლებულ ლტოლვილებში.

კავკასიის რეგიონში რუსული გავლენის გასაძლიერებლად მოსკოვისთვის ერთ-ერთი ეფექტური ბერკეტია სირიელი ლტოლვილების აფხაზეთის ტერიტორიის „ათვისებასა“ და ჩეჩნეთში ანტიისლამური წინააღმდეგობის „განეიტრალებაში“ გამოყენება.

ამასთან, ჩეჩნეთის რესპუბლიკამ საქართველოს შეიძლება დიდი საფრთხე შეუქმნას და ამ სპეცდანიშნულების რაზმმა ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური სახის ოპერაციები ჩაატაროს.

ამიტომაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ გარემოებას.

**ვახტანგ მაისაია**
**აი-ბი ევროკავკასიური უნივერსიტეტის**
**ასოცირებული პროფესორი**





# საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-17, 2013)**

ჩვენი აზრით, 1920-1950 წლებში საბჭოთა დაზვერვა, განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდა საქართველოს ყოფილი მთავრობის არქივის ხელში ჩასაგდებად. ვარაუდით, ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ საბჭოთა დაზვერვას ემიგრაციის ყველა ლიდერთან ერთი ან რამდენიმე აგენტი ჰყავდა მიჩენილი და ინფორმაციის მიღების პრობლემა არ ჰქონდა.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სხვადასხვა ობიექტურ, თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ისეთი ორგანიზებული არ იყო, როგორც „ტროცკისტული მოძრაობა“ და თანაც კონსპირაციაშიც ბევრი ხარვეზი ჰქონდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ერთიანი ეროვნული არქივი საზღვარგარეთ არასდროს არსებობდა. გაქცეული სოციალ-დემოკრატიული მთავრობა სამთავრობო და პარტიულ არქივზე იყო პასუხისმგებელი, ეროვნულ-დემოკრატები – საკუთარ არქივს ქმნიდნენ და ა.შ. უფრო მეტიც: ცალკეული პოლიტიკური პარტიების წევრებსაც საკუთარი პირადი არქივები ჰქონდათ, რომელიც მათ ოჯახში ინახებოდა.




სპირიდონ კედიას ქვრივის, სოფო ჩიჯავაძე-კედიას ძალზე საინტერესო მოგონებებში ერთ ნიშანდობლივ შენიშვნას წავაწყდით: „ეს წერილი ბევრი ვეძებე და როგორც ზოგიერთი საბუთი ისე გაქრა ჩვენი არხივიდან, რომ არ ვიცი როდის ან ვინ აგვაცალა“.

სრულიად დასაშვებია, რომ სპირიდონ კედიას არქივში ფარულად აფათურებდა ხელს საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტი გიორგი გეგელია, რომელიც 1925 წელს პარიზში საქართველოს ჩეკას დავალებით გაგზავნეს. საინტერესოა, რომ გეგელიას მიმართ ეჭვი ქ-ნ სოფო ჩიჯავაძე-კედიას ყოველთვის ჰქონდა, თუმცა მისი მეუღლე სხვა აზრის იყო. გარკვეული პერიოდი ედპ-ის ლიდერი გეგელიას სრულ ნდობას უცხადებდა. ირკვევა, რომ თავდაპირველად გეგელია სათანადოდ არ იცავდა კონსპირაციას და 20-იანი წლების ბოლოდან ქართულ ემიგრაციაში მასზე, როგორც „ჩეკა-ოგეპეუს“ აგენტზე, ეჭვი ჰქონდათ.

სპირიდონ კედიას ქვრივი სოფიო ჩიჯავაძე-კედია იხსენებს: „სპირიდონს სულ ბოლო დრომდე არ სჯეროდა, რომ გეგელია კომუნისტების აგენტია იყო“.

დასაბუთებული ეჭვისა და უნდობლობის მიუხედავად, გეგელიამ ქართველი ეროვნულ-დემოკრატების ნდობა თანდათანობით მოიპოვა და საბჭოთა დაზვერვისთვის აქტიურ მუშაობას განაგრძობდა.

ამიტომაც სპირიდონ კედიას პირად არქივში არსე-



*სხედან მარცხნიდან მარჯვნივ — ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი და ზურაბ ავალიშვილი; დგანან — სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი*

ბული საიდუმლო დოკუმენტები გიორგი გეგელიასთვის ადვილად ხელში ჩასაგდები იყო. გიორგი გეგელია ამიერკავკასიის „ოგეპეუს“ (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იმ პერიოდში ლავრენტი ბერია იყო) დირექტივებით ცდილობდა საიდუმლო დოკუმენტების ხელში ჩაგდებას ან შინაარსის გაცნობას.

მიუხედავად იმისა, რომ გეგელია 1931 წლის ბოლოსთვის ფაქტობრივად უკვე გაშიფრული იყო როგორც საბჭოთა აგენტი, ის თითქმის ორი ათეული წელი წარმატებით ასრულებდა ემიგრაციაში საბჭოთა დაზვერვის დავალებებს.

საარქივო მასალებისა და მემუარული ლიტერატურის შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ ემიგრაციის ლიდერები საქართველოში პოლიტიკური შინაარსის საიდუმლო წერილებს საკმაოდ ხშირად გზავნიდნენ. საქართველოს „ჩეკა-ოგეპეუ“ ამ კორესპონდენციის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდა, წერილების შინაარსს მისთვის სასურველი ტექსტით „ამდიდრებდა“ და დასახულ მიზანსაც აღწევდა.

ფაქტია, რომ საბჭოთა დაზვერვა სრულად აკონტროლებდა ქართველი ემიგრანტების მიმოწერას, როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში, ირანსა და თურქეთში.

ქართველი ემიგრანტების პირად არქივებში შემორჩენილია რამდენიმე ძალზე საინტერესო ისტორიული დოკუმენტი, რომლებიც ნათელს ჰფენს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებულ წვრილმან კინკლაობას თუ იდეოლოგიურ დაპირისპირებას.

ემიგრაციის პოლიტიკური ლიდერების მიმოწერიდან ირკვევა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უდიდესი ნაწილი უცხოეთშიც კვლავ შემოდგომის აზნაურების ფსიქოლოგიით ცხოვრობდა და გაერთიანების ნაცვლად ურთიერთმტრობასა და ინტრიგებზე ამოსდიოდა მზე. ამ „ნოყიერ ნიადაგზე“ საბჭოთა დაზვერვას არ უჭირდა ბოროტი საქმეების კეთება. ამის დასტურად რამდენიმე საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს გაგაცნობთ:

## 1. ლელი ჯაფარიძის წერილი

პოეტი, „ცისფერყანწელი“ და თან ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრი, ლელი ჯაფარიძე 1921 წელს ემიგრაციაში არ წავიდა, საქართველოში დარჩა და აქედან ცდილობდა არალეგალურ-პარტიულ მუშაობას. 1926 წლის 16 ივნისს ის თბილისიდან საიდუმლო წერილს უგზავნის სპირიდონ კედიას.

„ძვირფასო მეგობარო!

აქამდის თუ ვერაფერი მოგწერე იმით აიხსნება, რომ სრულებით ვერ მოვახერხე სათანადო საშუალება; იმ წესით კი, როგორც შეგპირდი, აქ რომ გარემოებას შევხედე — ველარ გავბედე. — ამის გარდა, ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ საკმაოა მცირეოდენი საბუთი მივცე, რომ უცბად გამანადგურებენ.

ყველაფერი ეს მათხოვიებს აგრეთვე, რომ თქვენც ძლიერ სიფრთხილით მომექცეთ და თუ ჩემთან ურთიერთობისათვის საჭიროება და შემთხვევა გექნებათ, აუცილებლად სანდო პირს და გზას მიმართოთ.

გადმომცეს აგრეთვე, თითქო შენ, არ ვიცი რით, უკმაყოფილო იყო ჩემით და ეს გარემოება მაწუხებს — მე დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, რადგან ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ ამ უკმაყოფ. მიზეზს.

ამ წერილის გამოსაგზავნათ კარგი საშუალება მეძლევა, მაგრამ დრო ბევრი არ მაქვს და ნუ გამიწყრებით, რომ ყველაფრის შესახებ მოკლეთ ვწერ...

ამას წინად 52 11/2 2/1 1/1 14/3 12/1 4/0 1/6 1/11

ეროვნული ბიბლიოთეკა

14/2 3/4 4/1. ვთხოვე შენთვის გადმოეცა ფრიად კონსპირაციულად, რომ მე სარწმუნო პირისაგან გავიგე, რომ მანდ ქეთინოსთან (ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის დაშიფრული სახელი – ბ.ა.) (12/9 14/1 41/2 33/1 9/3) აწარმოებენ მოლაპარაკებას მისი და მისი მეგობრების დაბრუნების შესახებ და უთუოდ წამოვაო.

მე მგონია, რომ ვინმეს მასთან დაახლოებულ პირს ესენი შეცდომაში შეყავთ, ამიტომ ჩემს ვალად ვთლიდი ასეთის სიფრთხილით შემეტყობინებინა შენთვის — ხოლო თუ ეს მართალია, მაშინ დაარწმუნე არ ქნას და არ დაუჯეროს და ასეთი სისულელე არ ჩაიდინოს.

ყველაფრის გარდა, ეს საშინელი დამარცხება იქნებოდა მთელი ეროვნული მოძრაობის, გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე თვით ჟორდანია რომ დაბრუნდეს. მე გთხოვ ამ საქმეში დიდი სიფრთხილე იქონიო, რადგან რომ გამოირკვეს რომ ჩემგან გაიგეთ ეს ამბავი, ჩემი საქმე გათავებულია და თვით ის პირიც არ დამზოგავს, ვისგანაც ეს ამბავი გავიგე...

საჭიროა, რომ მანდედან ერთი ისეთი კაცი გამოგზავნოთ, რომელიც ნდობას და გავლენას მოიპოვებდეს ბოლშევიკებში და მუშაობაში მომეხმარებოდეს, თორემ ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ დამიჭირონ, ყველაფერი შეწყდება. საუკეთესო იქნებოდა თუ 52 7/11 12/1 9/2 კ 11/3 14/3 14/2 33/10 33/1 39/23 5/5. დააჯერებდი და აქეთ გამოგზავნიდი. მას გავლენიანი ნაცნობებიც ყავს და ძლიერ მომეხმარება. ამაზეც მიპასუხე — უთხარი ჩემს მაგივრად“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში გვარები დაშიფრული იყო, საბჭოთა აგენტებს არ უჭირდათ ამ პირთა იდენტიფიცირება და მათი განადგურება.

ლელი ჯაფარიძე 1937 წელს დახვრიტეს „კონტრრევოლუციის მომზადებისა“ და „ჯაშუშობის“ ბრალდებით. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ზემოთ მოტანილი საიდუმლო წერილი გახდა ცნობილი „ოგეპეუსთვის“. გავიხსენოთ, რომ სპირიდონ კედიასთან მიგზავნილი აგენტი გიორგი გეგელია ძალზე აქტიურობდა.

## 2. ნოე რამიშვილის წერილი

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დანაწევრების პარალელურად საბჭოთა დაზვერვა ცალკეულ პოლიტიკურ პარტიაში იდეოლოგიური, პიროვნული და კუთხური შუღლის გაღვივებისთვისაც მუშაობდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შორის, ჯერ კიდევ საქართველოში დაწყებული დაპირისპირება საზღვარგარეთ უკიდურესად გამწვავდა. ემიგრაციაში მყოფ ამ ორ პოლიტიკურ ძალასა და მათ ლიდერებს შორის იდეურ-პიროვნული დაპირისპირების გაღრმავებისთვის ბოლშევიკების საგარეო დაზვერვა ცდას არ აკლებდა.

დაპირისპირების გასამწვავებლად საბჭოთა სპეცსამსახურები დეზინფორმაციულ ოპერაციებსაც ატარებდნენ. 1927 წელს საქართველოს „ოგეპეუმ“ კიდევ ერთი დეზინფორმაციული „შედევრი“ შექმნა.

„ოგეპეუმ“ მენშევიკთა ერთ-ერთი არალეგალური ჯგუფის დაპატიმრების დროს ვითომდა ხელში ჩაიგდო პარიზიდან საქართველოში გამოგზავნილი ნოე რამიშვილის საიდუმლო წერილი თანაპარტიელებისადმი, სადაც სპირიდონ კედია, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, მიხეილ წერეთელი და გენერალი გიორგი კვინიტაძე ფაშისტური ჯგუფის წევრებად, ხოლო ალექსანდრე ასათიანი და ლეო კერესელიძე ბოლშევიკთა აგენტებად მოიხსენია. მიუხედავად იმისა, რომ რამიშვილმა დაუყოვნებლივ უარყო წერილის ავტორობა, დეზინფორმაციამ შედეგს მაინც მიაღწია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებზე წერილმა ისე იმოქმედა, როგორც გავეშებულ ანდა-



*1930-იან წლებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძირითადი ნაწილი პარიზში განაგრძობდა მოღვაწეობას*

ლუზიურ ხარზე წითელმა ალამმა. ყველა შემთხვევაში „ოგეპეუს“ ჯადოქრებს არ გაუჭირდებოდათ ნოე რამიშვილის კალიგრაფიის გაყალბება და ვითომ მის დაწერილ საიდუმლო ბარათში პროვოკაციული პასაჟების ჩართვა.

### 3. ვინ მოიპარა ნოე ჟორდანიას საიდუმლო დოკუმენტი?

საბჭოთა საგარეო დაზვერვას მკაფიო ამოცანა ჰქონდა დასახული: მოეხდინა ემიგრირებული პოლიტიკური ძალების დაპირისპირების პროვოცირება როგორც პარტიულ, ასევე პიროვნულ საფუძველზე; მათ შორის ყველაზე სუსტი და ამბიციური პოლიტიკოსები გადმოებირებინა, ხოლო ყველაზე აქტიურნი და შეურიგებელნი გაენადგურებინა ან კომპრომეტირების გზით პოლიტიკური ასპარეზისთვის ჩამოეცილებინა. ამ მიზნით სჭირდებოდათ ემიგრანტების პირადი არქივები, წერილები ერთმანეთის ბრალდებებით და ა.შ.

განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება ქართულ ემიგრაციაში 1932 წელს, როცა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის სამშვიდობო პაქტი დაიდო.

პაქტი ფორმალურად საფრანგეთში არსებულ ქართულ ლეგაციას (საელჩოს) არ ეხებოდა, მაგრამ აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები ვალდებულებას იღებდნენ, თავიანთ ტერიტორიებზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციის მუშაობა არ დაეშვათ. ამ პუნქტის მიხედვით კი საქართველოს საელჩოს არსებობა საფრანგეთში, ამ პაქტს ეწინააღმდეგებოდა და ლეგაცია 1933 წელს დაიხურა.

ამის შემდეგ საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნით ქართულ ემიგრაციას ეკრძალებოდა რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული აქციების განხორციელება. ამიტომ ქართული ემიგრაციის ნებისმიერი ღია მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავად ემიგრაციას შეუქმნიდა სერიოზულ პრობლემებს საფრანგეთში. ამ გარემოებით არაერთხელ ისარგებლა საბჭოთა დაზვერვამ. ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევას გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოგონებები ადასტურებს.

1930-იანი წლების ბოლოს ფრანგულ ჟანდარმერიას ხელში ჩავარდნია ნოე ჟორდანიას ხელნაწერის: „ანტისაბჭოური ბრძოლის პროგრამის“ ერთ-ერთი ეგზემპლარი.

ეს პროგრამა კი იმის დადასტურება იყო, რომ ქართველი ემიგრანტები 1933 წლის მოთხოვნას არღვევდნენ. ეს ყველაფერი შესაძლოა დიდი დიპლომატიურ სკანდალში გადაზრდილიყო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამის გამო შეშფოთებულმა ნოე ჟორდანიამ შალვა მაღლაკელიძე თავისთან დაიბარა და განუცხადა: „მე ის პროგრამა სამ ეგზემპლარად დავამზადე. ერთი ჩემთანაა, ხოლო ერთ პროგრამაში სიტყვა „და“ განგებ გამოვტოვე. სწორედ ეს ვარიანტი, რომელიც თქვენთვის არ მომიცია, არამედ ჩემს მარჯვენა ხელს მივეცი, სწორედ ეს ჩაუვარდა ხელში ჟანდარმერიას“.

ჟორდანიას არ დაუკონკრეტებია თუ ვის გადასცა ის ეგზემპლარი და ვისზე ჰქონდა ეჭვი. თავად მაღლაკელიძე კი აცხადებდა: „პირადად მე ეჭვი მაქვს ევგენი გეგეჭკორზე. მაგრამ სულზე ცოდვას, ვერ დავიდებ — შეიძლება ევგენის ის კიდევ ვიღაცამ მოპარა“.

სიტუაცია მართლაც, რომ დამაფიქრებელია. ნოე ჟორდანიას ქართულ ენაზე შედგენილი საიდუმლო დოკუმენტი აღმოჩნდა ფრანგი სამართალდამცავების ხელში ფრანგულ ენაზე ნათარგმნი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის ქართველი ემიგრანტი, ვინც ეს გააკეთა, საბჭოთა დაზვერვის დავალებას ასრულებდა. ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო შალვა ბერიშვილი, იგივე საბჭოთა აგენტი „ომერი“, ნოე ჟორდანიასთან 1930-იანი წლების ბოლოს ყველაზე მეტად დაახლოებული პიროვნება, რომელიც 1960-1980-იან წლებში საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდა.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ბესიკ ალადაშვილი**
**„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე**

***თბილისიდან ამიერკავკასიის „ოგეპეუ“ ქართული ემიგრაციის საიდუმლო დოკუმენტების ხელში ჩაგდებას ან შინაარსის გაცნობას ცდილობდა***



# საბრძოლო ბგერები



საბრძოლო მიზნებით ბგერითი ტალღების გამოყენების შესაძლებლობა სამხედროებში ინტერესს ყოველთვის იწვევდა. რადიოლოკაციურ საშუალებათა გამოგონებამდე ბგერათმზომელობა მოწინავე ტექნოლოგიად ითვლებოდა.

საბრძოლო ხელოვნების განვითარებასთან ერთად დანაკარგის შესამცირებლად სამხედროებმა არტილერიის გამოყენება დახურული პოზიციებიდან დაიწყეს. ბლინდაჟები და თხრილები არტილერისტებს ჭურვებისგან იცავდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მოწინააღმდეგის არტილერიის ვიზუალური აღმოჩენა გართულდა.

პირველად მსგავსი პრობლემების წინაშე სამხედროები 1904-1905 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომისას აღმოჩნდნენ, როცა დახურული პოზიციებიდან სროლისას მოწინააღმდეგის არტილერია მხოლოდ ხმას გამოსცემდა. შემდგომში სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ცალკეული კონტრსაარტილერიო — ბგერათსაზომი მიმართულების ჩამოყალიბება.

1909 წელს რუსეთის არმიის პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკმა ნიკოლაი ბენუამ ხელმძღვანელობას გასროლის ხმით მოწინააღმდეგის საარტილერიო საშუალებების აღმოჩენა შესთავაზა. ბგერის პელენგატორი მოწყობილობის შექმნაში წარმატების მიუხედავად, ბენუას გამოგონებით პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ დაინტერესდნენ.

პირველივე საარტილერიო დაპირისპირების დროს ბენუას გამოგონებამ თავისი ეფექტურობა გამოავლინა. 1914 წელს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე რუსეთის არმიაში ВЖ-ს ტიპის ბგერის საზომი მოწყობილობებით აღჭურვილი ბგერითი დაზვერვის ქვედანაყოფები



*უკრაინული წარმოების ბგერის საზომი სადაზვერვო, ავტომატიზებული კომპლექსი Положение-2*



ბგერის საზომ მოწყობილობას ჭურვების აფეთქების ხმის ფიქსირებით ქვემეხების ცეცხლის კორექტირებაც შეუძლია

გამოჩნდნენ. იმ პერიოდისთვის სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობის გამო ბგერით ტალღებს დამკვირვებელი ოფიცრები — ე. წ. მსმენელები აფიქსირებდნენ.

მეორე მსოფლიო ომისას ბგერითი დაზვერვა ფართოდ გავრცელდა საბჭოთა საარტილერიო ნაწილებში. ჰაერში გერმანიის ავიაციის ბატონობისა და საკუთარი მაკორექტირებელი თვითმფრინავების დეფიციტის გამო ბგერის პელენგატორები წითელი არმიისთვის კარგი საშუალება იყო. ლენინგრადის ბლოკადისას განადგურებული გერმანული საარტილერიო ბატარეების 60% სწორედ ბგერათსაზომი მოწყობილობებით აღმოაჩინეს.

კარგად გაწვრთნილ ბგერითი დაზვერვის დანაყოფს გასროლის ხმით მოწინააღმდეგის ქვემეხების ადგილმდებარეობასთან (დისტანცია, აზიმუტი) ერთად, კალიბრის განსაზღვრაც შეეძლო. საბჭოთა კონტრსაარტილერიო დანაყოფების განკარგულებაში არსებული ბგერითი დაზვერვის მოწყობილობები გერმანულ ბატარეებს მაქსიმალური 10-დან 18 კმ-ის (კალიბრიდან გამომდინარე) მანძილზე აფიქსირებდნენ. კოორდინატების დადგენაში ცდომილება საშუალოდ 1-1,5%-ს არ აღემატებოდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მხოლოდ კარგ ამინდში იყო შესაძლებელი.

ბგერითი საარტილერიო დაზვერვის მთავარი „მტერი“ ამინდია. ავდარში ბგერის პელენგატორების ეფექტურობა და მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეების აღმოჩენის სიზუსტე ეცემა. ატმოსფეროში გასროლისა და ჭურვების (ნაღმსატყორცნების ნაღმების) აფეთქების ხმის გავრცელება ჰაერში მიმდინარე რხევითი პროცესებით არის გამოწვეული. შესაბამისად, ატმოსფერული ფაქტორები და ჰაერის პარამეტრები (ტენიანობა, წნევა, ტემპერატურა, ტურბულენტობა) ბგერის გავრცელების სიჩქარეზე და ხმოვანი ტალღების გავრცელებაზეც აისახება. ამას კი ბგერით კონტრსაარტილერიო საქმეში ცდომილებების შეტანა შეუძლია.



შვედეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აკუსტიკური ლოკატორი. 1940 წელი

გასული საუკუნის 10-40-იან წლებში არტილერიის პარალელურად, ბგერით დაზვერვას მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან სფეროში — ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში იყენებდნენ.

პირველი მსოფლიო ომში მოწინააღმდეგის საფრენი აპარატის ადგილმდებარეობის დასაფიქსირებლად საზენიტო არტილერიის გათვლები ოპტიკურ ვიზორებსა და მანძილმზომებს მოიხმარდნენ. სიზუსტის მიუხედავად, ღამით და ავდარში მათი გამოყენება შეუძლებელი იყო. თუმცა თვითმფრინავების მომუშავე ძრავებით გამოწვეული ხმაური ჰაერში ამინდსა და დღე-ღამეში დროის განურჩევლად ერთნაირად ვრცელდება. შესაბამისად, სპეციალური ხელსაწყოს — აკუსტიკური ლოკატორის გამოყენებით თვითმფრინავის დაფიქსირება ხმაურით შეიძლებოდა. რადიოლოკაციური საშუალებების გამოჩენამდე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში საზენიტო პროჟექტორებთან ერთად აკუსტიკური ლოკატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

საზენიტო ბატარეები ბგერადამჭერებს მეორე მსოფლიო ომის დროსაც იყენებდნენ. ეფექტურობის გასაზრდელად, სტაციონარულებთან ერთად, სატვირთო ავტომობილებზე დამონტაჟებული მობილური ვარიანტებიც შეიქმნა. ტექნიკის განვითარებისა და რადილოკაციური სადგურების გავრცელებასთან ერთად, 1944 წლისთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში ბგერადამჭერებმა არსებობა შეწყვიტეს.



## სნაიპერული ცეცხლის აღმომჩენ აკუსტიკურ (ბგერით) დეტექტორებს დღეს მსოფლიოს ბევრი არმია იყენებს

*პოზიციური და განსაკუთრებით ქალაქში ბრძოლისას ჩასაფრებული მოწინააღმდეგის დროულ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ დროს ყველაზე დიდი საფრთხე სნაიპერებისგან მოდის. კარგად შერჩეული პოზიციაზე მხოლოდ ოპტიკური საშუალებებით სნაიპერის აღმოჩენა დიდ დროს მოითხოვს. ამიტომაც სამხედროებმა დახმარებისთვის აკუსტიკურ სადგურებს მიმართეს. დღეს სნაიპერული ცეცხლის აღმოსაჩენ აკუსტიკურ (ბგერით) დეტექტორებს მსოფლიოს არაერთი არმია იყენებს.*

*მსგავსი მოწყობილობა შემდეგი პრინციპით მუშაობს: შაშხანის ლულიდან გამოსვლისას ჰაერში მოხვედრილი ტყვია დარტყმით ტალღებს წარმოქმნის. ფრენის ბგერამდელი სიჩქარის დროსაც კი მაღალი მგრძნობიარობის აკუსტიკურ დეტექტორებს მისი დაფიქსირება შეუძლიათ. მიღებულ ხმოვან სიგნალს კომპიუტერი აანალიზებს და მონიტორზე სროლის აზიმუტი და მსროლელამდე მანძილი გამოჰყავს. ზოგიერთი სისტემა, მაგალითად, რუსული Сова, იარაღის კალიბრსაც განსაზღვრავს (5,45-დან 14,5 მმ-ის ფარგლებში).*

*ამერიკელები ანტისნაიპერულ აკუსტიკურ სისტემებზე 1994 წლიდან მუშაობენ. 2008 წელს აშშ-ის არმიამ 8 ათასზე მეტი Boomerang-ის ტიპის აკუსტიკური დეტექტორი შეიძინა. სტაციონარულ და ჯავშანტექნიკაზე დასაყენებელ „ბუმერანგებს" ამერიკელები ავღანეთში იყენებენ. საკუთარ ბგერათმეტრულ ანტისნაიპერულ სისტემებს დიდი ბრიტანეთი (BDI) და საფრანგეთიც (PILAR) აწარმოებენ.*

სირთულეებს რელიეფიც ქმნის. ტრიალი ადგილისგან განსხვავებით, ტყის მასივები აკუსტიკური ტალღების გავრცელებას აფერხებს და მათ ინტენსივობას ამცირებს. მთაში ბგერის დამჭერების სიზუსტე კიდევ უფრო მცირდება. მთიდან რამდენჯერმე არეკლილი ქვემეხის ხმა არა მხოლოდ მოწინააღმდეგის კოორდინატების, არამედ სროლის მიმართულების დადგენაშიც შეცდომას იძლევა.

კონტრსაარტილერიო საქმეში რადიკალური წინსვლა 50-იან წლებში საარტილერიო ლოკატორების დანერგვას მოჰყვა, რითაც მოწინააღმდეგის ბატარეათა პოზიციების დაფიქსირება გამარტივდა და ბგერითმა დაზვერვამ მეორე პლანზე გადაიწია. ბგერის პელენგატორების დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია, საარტილერიო ლოკატორების აღმოჩენა კი გამოსხივებით შეიძლება.

1953 წელს საბჭოთა საარტილერიო გათვლებმა შეიარაღებაში მიიღეს გადასატანი ბგერასაზომი სადგური **СЧЗ-3**, რომლის სამოქმედო არეალი 4,2 კმ-დან (82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი) 24 კმ-მდე (122 მმ-იანი და 152 მმ-იანი ჰაუბიცები) ფარგლებში მერყეობდა.

საარტილერიო ლოკატორების მსგავსად, ბგერის საზომი მოწყობილობების გამოყენება ჭურვების აფეთქების ხმის ფიქსირების გზით საკუთარი ქვემეხების ცეცხლის კორექტირებისთვისაც შეიძლება.

ნებისმიერი ტიპის საარტილერიო ბგერის პელენგატორი გასროლისას წარმოქმნილი დარტყმითი ტალღების დაფიქსირებაზეა გათვლილი. ქვემეხის გასროლისას ასეთ ტალღებს ლულის ტუჩიდან გამოვარდნილი დამწვარი აირები წარმოქმნიან. ხმაურს თავად ჰაერში მფრენი ჭურვიც იწვევს. ყველაზე ადვილი ზებგერითი სიჩქარისას წარმოქმნილი ბალისტიკური ტალღის დაფიქსირებაა. ფრენისას ხმაურით პრაქტიკულად ნებისმიერი საარტილერიო ჭურვის დაფიქსირება შეიძლება. აქტიურ-რეაქტიულ ჭურვებს რეაქტიული ძრავის მუშაობა, კასეტურებს — ჰაერში კასეტის გახსნისა და დამაზიანებელი ელემენტების განფანტვის ხმაური გასცემს.

60-70-იან წლებში საარტილერიო ბგერის პელენგატორებზე ამერიკელები, ბრიტანელები და ფრანგებიც მუშაობდნენ, მაგრამ შექმნილი ნიმუშების მასობრივ გამოყენებამდე საქმე არ მისულა.

სსრკ-ში რადიოლოკაციურთან ერთად ბგერით კონტრსაარტილერიო საშუალებებზეც მუშაობდნენ. 1986 წელს სსრკ-მა შეიარაღებაში ახალი ავტომატიზებული სადაზვერვო ბგერის საზომი კომპლექსი **АЗК-7 Мезотрон**-ი მიიღო. მისი წინამორბედი **АЗК-5 Тембр**-ი საბჭოთა საარტილერიო ნაწილებში რამდენიმე წლით ადრე გამოჩნდა. ოთხ სატვირთო ავტომობილზე განთავსებულ „მეზოტრონს" (შასი **ЗиЛ-131**) 16 კაცი ემსახურებოდა. მოწინავე პოზიციებზე აკუსტიკური მოწყობილობებით აღჭურვილი საბაზო პუნქტის მანქანა მიღებულ სიგნალებს ცენტრალურ პოსტზე გადასცემს. გადამუშავების შემდეგ მოწოდებული ინფორმაცია უკვე საკუთარ საარტილერიო ბატარეებს ეგზავნება. „მეზოტრონი" დაზვერვას 300 $კმ^2$-ზე აწარმოებს და მოწინააღმდეგის ქვემეხებს მაქსიმალურ 16-20 კმ-ზე აფიქსირებს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| სამ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| ოთხ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |
| ხუთ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| პარ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| შაბ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| კვ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |

# 2014 არსენალი



| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| სამ | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| ოთხ | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| ხუთ | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| პარ | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| შაბ | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| კვ | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |

# უკვდავი „ბერდეემი“



სადაზვერვო, საშტაბო და მეკავშირე საბრძოლო მანქანა БРДМ-ი

მუხლუხებიან შასის ბორბლებიანთან შედარებით ბევრად უკეთესი გამავლობა აქვს და ბორბლებიანის გამავლობის ასამაღლებლად კონსტრუქტორებმა რა არ გამოიყენეს — ბორბლებიან-მუხლუხებიანი სავალი ნაწილი, უკანა წამყვანი ხიდის ბორბლებზე დასამაგრებელი სპეციალური ყველგანმავალი ლენტები, შასის წინა მხარეს დამატებული წყვილი გორგოლაჭი, ბორცვების დასაძლევი ღრუ დოლი-საგორავი და მრავალი სხვა. თუმცალა არც ერთმა მათგანმა სასურველი ნაყოფი არ გამოიღო.

გამოსავალს ავსტრიულმა Austro-Daimler-მა მიაგნო, როცა 1934 წელს მსოფლიოში პირველი ოთხხიდიანი ჯავშანტრანსპორტიორი ADGZ ააწყო.

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში საბჭოთა არმია ანალოგიური პრობლემის წინაშე დადგა — ბორბლებიანი ჯავშანტექნიკას სანგრების, ოღრო-ჩოღრო ტერიტორიებისა თუ მდინარეების დაძლევა ძალიან უჭირდა ან საერთოდ ვერ ახერხებდა. იმ დროისათვის საბჭოთა არმიას ბევრი БТР-40-ს ჰყავდა, თუმცა კი სამხედროებს დიდად არ მოსწონდათ. გორკის საავტომობილო ქარხანაში აწყობილი ეს ჯავშანტრანსპორტიორი მალე მოძველდა, თანამედროვე ომის მოთხოვნებს ველარ პასუხობდა და შეცვლას საჭიროებდა. ამიტომ გორკის ქარხანას ახალი ჯავშანტრანსპორტიორის შექმნა დაავალეს.

1958 წლის იანვარში საბჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა მოტომსროლელი ნაწილების სადაზვერვო, საჰაერო-სადესანტო და საზღვაო ქვეითი ქვედანაყოფებისთვის განკუთვნილი, მსუბუქად დაჯავშნული მანქანა БРДМ-ი ანუ სადაზვერვო, საშტაბო და მეკავშირე საბრძოლო მანქანა.

ორხიდიანი მანქანის გამავლობის გასაუმჯობესებლად კონსტრუქტორებმა ორიგინალური გამოსავალი მოძებნეს და სავალ ნაწილს ხიდებს შორის



მოდერნიზებული БРДМ-2



1992 წლის აგვისტოში სოხუმში ესტაკადასთან დამწვარი აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკის БРДМ-2



ბერკეტებზე დაყენებული, ავიაჰიდროამძრავით ჩამოსაშვები თვითმფრინავის ოთხი ბორბალი დაუმატეს. დამატებითი ბორბლების ხარჯზე მანქანა 1,22 მ სიგანის სანგრების დაძლევას იოლად ახერხებდა.

БРДМ-ს ავტომობილის კომპონირება ჰქონდა, ანუ ძრავა-ტრანსმისიამ კორპუსის წინა დაგრძელებული ნაწილი დაიკავა, რაც შუბლის პროექციაში დაცვას აძლიერებდა, მაგრამ მძღოლის ხედვის არეს ზღუდავდა. კორპუსის შუა ნაწილი მართვის განყოფილებას დაეთმო, ხოლო დარჩენილი თავისუფალი სივრცე მთლიანად საბრძოლო განყოფილებას.

წყალში ცურვას კიჩოში მოთავსებული წყალსატყორცნი უზრუნველყოფდა, ხოლო მწყობრიდან მისი გამოსვლის შემთხვევაში ცურვის გაგრძელება ბორბლების ბრუნვით იყო შესაძლებელი. ეკიპაჟი ჩასხდომა-გადმოსვლისთვის კიჩოში გამოჭრილი ორი ლიუკით სარგებლობდა.

БРДМ-ის შეიარაღება თავიდან საბრძოლო ჯიხურის წინა ნაწილში ვერტიკალურ კრონშტეინზე ღიად დაყენებული 7,62 მმ-იანი СГМБ-ს ტიპის ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა, რომელიც 1958 წლიდან იმავე კალიბრის ПКТ-თი შეცვალეს.

გორკის ქარხნის ნახელავს ნაკლიც ჰქონდა. მაგალითად, ექვსცილინდრიანი, წყლით გაგრილების კარბურატორიანი ძრავა, ჩასხდომა-გადმოსვლისთვის მოუხერხებელი ლიუკები (კორპუსში ლიუკები მიწის ზედაპირიდან 1,6 მ სიმაღლეზე იყო გამოჭრილი), დაუცველი მეტყვიამფრქვევე და სხვ.

თუ სანგრის სიგანე 1,22 მ-ზე მეტი იყო, მაშინ მისი დაძლევის შესაძლებლობა სათუო იყო, ხოლო 4 დამატებითი ბორბალი კი მეტწილად ზედმეტ ტვირთს წარმოადგენდა და მანქანის საექსპლუატაციო მახასიათებლებზე მოქმედებდა.

შენიშვნათა გათვალისწინებით გორკის ქარხანამ მანქანის გაუმჯობესებული მოდელი — БРДМ-2 მოამზადა და მასში შეძლებისდაგვარად ბევრი რამ შეცვალა.

კონსტრუქტორებმა БРДМ-ის შასი ხელუხლებლად დატოვეს, მაგრამ ხელახალი კომპონირებით





1989 წლის ნოემბერი. ცხინვალის რეგიონში შეყვანილი შინაგანი ჯარის БРДМ-2

სრულიად ახალი კორპუსი დააპროექტეს. ძრავა-ტრანსმისია კორპუსის უკანა ნაწილში გადავიდა, ხოლო მთლიანად დახურულ-ჰერმეტული კორპუსის სახურავზე წრიულად მბრუნავი კოშკურა დაიდგა მსხვილკალიბრიანი 14,5 მმ-იანი КПВТ-ითა და მასთან შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ПКТ-თი. ახალი, რვაცილინდრიანი, წყლის გაგრილების კარბურატორიანი ძრავის სიმძლავრე კი 140 ცხ. ძ.-ს აღწევდა.

მთავარ დანიშნულებასთან ერთად БРДМ-ის პლატფორმა-შასის მრავალმხრივი გამოყენება შეიძლებოდა, მის საფუძველზეც მზადდებოდა თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო (ატარებდა სხვადასხვა ტანკსაწინააღმდეგო მართვად კომპლექსს), საზენიტო-სარაკეტო (აღჭურვილი იყო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Стрела 1-ით), რადიაციულ-ქიმიური დაზვერვის, სამეთაურო-საშტაბო და სხვა სახის საბრძოლო მანქანები.

საბჭოთა საბრძოლო მანქანით უნგრეთი დაინტერესდა და БРДМ-ის საფუძველზე მრავალმხრივი დანიშნულების მანქანა D-442 FUG-ი ააწყვეს და კონსტრუქციაში სიახლეებიც შეიტანეს. საბჭოური მოდელისგან განსხვავებით FUG-ში დიზელის ძრავას ტრანსმისიით კორპუსის კიჩო ეკავა, აღჭურვილი იყო ორი წყალსატყორცნით, ხოლო ავარიულ სიტუაციებში ეკიპაჟი გამოსასვლელად იატაკში ჩაყენებული მრგვალი ლიუკით სარგებლობდა.

არმია FUG-ებს იყენებდა მოწინააღმდეგის ზურგში სადაზვერვო დავალებების შესასრულებლად, არტილერიის სადამკვირვებლო პუნქტად, მობილური სამეთაურო პუნქტის მანქანად და სხვ.

უნგრელები ჩამოსაშვები ბორბლების არაეფექტურობას მალევე მიხვდნენ და მანქანის მომდევნო მოდელს D-944 PSzH-ს მის ადგილზე სადესანტო განყოფილება გაუკეთეს. PSzH ნამდვილი ჯავშანტრან-




*2008 წლის აგვისტო.
135-ე პოლკის გაძარცული БРДМ-2*

სპორტიორი იყო, რომელსაც ბორტებში გამოჭრილი კარები ჰქონდა და ექვს მედესანტეს ეკიპაჟის სამ წევრთან ერთად იტევდა. კორპუსის წინა მხარეს დაყენებული კოშკურა კი შეწყვილებული 14,5 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევებით დესანტს საცეცხლე მხარდაჭერას უწევდა.

საბჭოთა არმიაში უფრო სრულყოფილი ჯავშანტექნიკის მიღებასთან ერთად შეიარაღებიდან მოხსნილი **БРДМ**-ები საბჭოთა შინაგანი ჯარის განკარგულებაში გადადიოდა, ხოლო ეს უკანასკნელი კი თავისი ჯავშანტექნიკით 1988-91 წლებში მიმდინარე კონფლიქტების მონაწილე იყო.

1989 წლის ნოემბრის ბოლოს ცხინვალის რეგიონში ვითარების გამწვავების გამო თბილისიდან საბჭოთა შინაგანი ჯარის 451-ე ოპერატიული დანიშნულების პოლკის (ყოფილი მე-8 პოლკის) ქვედანაყოფები **БТР-60ПБ**-ებითა და **БРДМ-2**-ებით გაიგზავნენ.

1991 წლის დეკემბერში სოხუმიდან რუსეთის შინაგანი ჯარის 91-ე მილიციის მოტორიზებული სპეციალური ცალკეული ბატალიონის გასვლის შემდეგ ექვსამდე **БРДМ-2** აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკს დარჩა. შემდგომში პოლკის მებრძოლებს თვითნებურად მოწყობილ პოსტებზე: ბაბუშერაში, ოხურეიში, აგუძერასა და სხვაგან **БРДМ**-ები ჰყავდათ.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ქართული ფორმირებები შევიდნენ და იმავე დღეს სოხუმში ესტაკადასთან ბრძოლის დროს ქართველმა მებრძოლებმა აფხაზური შინაგანი პოლკის პირველი **БРДМ-2** დაწვეს. სოლიდური ასაკის მიუხედავად, **БРДМ**-ები 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომშიც მონაწილეობდნენ.

რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 135-ე მოტომსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონი ე. წ. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შედიოდა. ბატალიონი სხვადასხვა სახის მსუბუქი ჯავშანტექნიკით და მათ შორის ქალაქ არზამასის მანქანათმშენებელ ქარხანაში მოდერნიზებული **БРДМ-2М(А)** ტიპის დაჯავშნული მანქანებით იყო აღჭურვილი.

*აზერბაიჯანელებმა БРДМ-2-ს კონდიციონერი დაუყენეს და ასფალტზე ზეთის ლაქები შესრულებული სამუშაოების დაბალ ხარისხზე მიუთითებს*



საბაზო მოდელისგან განსხვავებით მოდერნიზებულს დამატებითი ბორბლები და მისი ჩამომწევი მექანიზმი მოხსნილი აქვს და ბორტებში ჯავშანტრანსპორტიორ **БТР-70**-ის კარებია ჩაყენებული. დაკიდების სისტემა **БТР-80**-დან არის გადმოტანილი, ხოლო ძველი, ხანძარსაშიში კარბურატორიანი ძრავა 136-ცხ.ძ.-იანი **Д-245.9** ტიპის ტურბოდიზელით არის შეცვლილი.

2008 წლის ომის შემდეგ ცხინვალის მახლობლად დაზიანებული და განადგურებული ტექნიკის მოედანზე გადაღებულ სურათებზე 135-ე პოლკის **БРДМ**-ები 445 და 446 დაფიქსირდა, თუმცა არც ერთი დაზიანებული არ იყო. იმავე პოლკის სადაზვერვო ასეულის ერთი **БРДМ-2** კი ქართველმა ტანკისტებმა ჯავშანმხვრეტი ქვეკალიბრიანი ჭურვით დააზიანეს. თავად ჯავშანმანქანა დაიწვა, ხოლო მძღოლ-მექანიკოსი კი დაბრმავდა.

2003 წლის აგვისტოში ერაყში სამსახურს უკრაინის არმიის მე-5 ცალკეული მექანიზებული ბრიგადა შეუდგა და ბრიგადის განკარგულებაში **БТР-80**-სა და **БРДМ-2**-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები იყო.

თავიდან ბრიგადას 11 **БРДМ** ჰყავდა, მოგვიანებით — 26, საიდანაც 14 საშტაბო ასეულისა და სამხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო პოლიციის, ხოლო ექვს-ექვსი კი ორი ბატალიონის განკარგულებაში იყო.

პატარა გაბარიტების გამო უკრაინელი სამხედროები БРДМ-ებს პატრულირებისა და ყოფნის სადემონსტრაციოდ იყენებდნენ. ამ თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელი დასახლებულ პუნქტებში საბრძოლო და საპოლიციო ამოცანების შესრულება იყო. БРДМ-ებს ბრიგადის ხელმძღვანელ პირთა გადაადგილებისა და ბლოკპოსტების, ხიდების, დამბებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის გასაძლიერებლადაც იყენებდნენ. ერაყში უკრაინულ БРДМ-ებს ძრავები მეტად პრობლემური ჰქონდათ. ჰაერის ტემპერატურა +50⁰ ზევით იქ ხშირია, რაც საბრძოლო მანქანის კარბურატორიანი ძრავის სწრაფად გადახურებას იწვევდა. ძრავის გაგრილებისთვის მძღოლებს შეჩერება და დალოდება უწევდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალი ადუღდებოდა და ძრავას მწყობრიდან გამოიყვანდა. ამის გამო კი მარშების დროს კოლონები დროდადრო ჩერდებოდნენ და БРДМ-ების ძრავების გაგრილებას ელოდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ნიკოლაევის სარემონტო-მექანიკურ ქარხანას БРДМ-ებზე კარბურატორიანი ძრავების დიზელებით შეცვლის საკმარისი გამოცდილება აქვს. ნიკოლაევში მოდერნიზებულ მოდელზე БРДМ-2ДП-ზე დაყენებულია კიევში დამზადებული დიზელის ძრავა, კორპუსის გვერდებში გამოჭრილია კარები დესანტის ჩასხდომა-გადმოსხდომისთვის, აქვს კუმულაციური ჭურვების საწინააღმდეგო მოსახსნელი ბადეები და სხვ.

ერაყში უკრაინული БРДМ-ისთვის კიდევ ერთი პრობლემა ოღროჩოღრო რელიეფზე სვლა იყო, რაც ერთ შემთხვევაში ტრაგიკულად დასრულდა — გადაბრუნებულ მანქანაში მძღოლი დაიღუპა.

ხანდაზმულობის მიუხედავად, БРДМ-ები ზოგიერთი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში ისევ არის, ხოლო სამხედრო სამსახურიდან ჩამოწერილ მანქანებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ.

რუსეთში БРДМ-ების საფუძველზე მზადდება ინკასატორების (БИ-1), უნივერსალური საავარიო-სატრანსპორტო (АТМ-1) და სხვა მანქანები.

სირიის პოლიცია სამოქალაქო ომში მეამბოხეებს საპოლიციო БРДМ-ებით ებრძვის, ოღონდ პოლიციელებს საბრძოლო მანქანების დაცვის დამატებითი საშუალებებით აღჭურვა დასჭირდათ. ჩეხეთის პოლიციამ კი ქუჩაში ბარიკადების დასაშლელად БРДМ-ებს წინ ბულდოზერის დანა დაუყენა.

ბევრს მუშაობენ БРДМ-ების სამოდერნიზაციოდ აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. აზერბაიჯანულ ვერსიას V-ებრი ფსკერი აქვს, დაცულია ორმაგი ჯავშნით, რომელიც 12,7 მმ-იანი ჯავშანმხვრეტი Б-32 ტიპის ტყვიებს უძლებს, აღჭურვილია კონდიციონერითა და დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდულით.

P.S. საბჭოთა БРДМ-2-ის თანამედროვე მოდერნიზებული ვარიანტი ქართველ კონსტრუქტორებსაც აქვთ შემუშავებული, თუმცა ეს ცალკე თემაა.

**თემურ ჩაჩანიძე**






*БРДМ-2-ის თემაზე თვითშემოქმედების ვარიანტები*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზეციური მეხთატეხა

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17, 2013)**

## იტალიური კონტინგენტი

იტალია ავღანეთის ოპერაციაში 2001 წლის 7 ნოემბერს ჩაერთო. ISAF-ის რეგიონული სარდლობა „დასავლეთის“ ძალების ძირითად ბირთვს იტალიელი სამთო მსროლელები წარმოადგენენ.

ამჟამად ამ ძალების შემადგენლობაშია: ტურინის ალპური ბრიგადის (Brigade Taurinense) სამი ასეული და იტალიის არმიის სპეციალური ძალების სამი პოლკიდან ერთ-ერთის, მე-4 ალპური საპარაშუტო პოლკის „მონტე სერვინოს“ (4th Alpini Paracadutisti Monte Cervino) ერთი ასეული.

იტალიური კონტინგენტის დაქვემდებარებაში კარაბინერებიც არიან და მათი მოვალეობა სპეციალური დავალებებითა და სამხედრო პოლიციის ფუნქციებით შემოიფარგლება. არიან მებაჟეებიც, რომლებიც ავღანეთის სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებს წვრთნიან.

კონტინგენტის შემადგენლობაშია სამხედრო-საჰაერო ძალების აეროდრომების დაცვა (40 კაცი), რომელიც ალბანელებთან ერთად ბაზა Camp Arena-სა და ჰერათის აეროდრომს იცავს.

იტალიური კონტინგენტი ოთხ ქვეით ასეულთან (3 სამთო მსროლელი და ერთი მექანიზებული) ერთად დაახლოებით ასეულის ოდენობის სპეციალური დანიშნულების ძალების ჯგუფს აერთიანებს.

რაც შეეხება იტალიური სპეცრაზმის შემადგენლობას და დაქვემდებარებას, ამის შესახებ რომი მისთვის დამახასიათებელი ცბიერებით ყველას თავგზას უბნევს, ყველაფერს ჩქმალავს. მაგალითად, გასულ წელს შეიქმნა სახმელეთო ჯარების სპეციალური დანიშნულების ძალები Comando Forze Speciali Esercito (COMFOSE), რომლებიც 2004 წელს შექმნილ სახეობათა შორის სპეციალური დანიშნულების ძალების შტაბს (Commando Force Special Inter Arma (COFS) თითქოს ჩამოშორდნენ, მაგრამ 2013 წელს ბრიგადა „ფოლგორეს“ (Folgore) სპეციალური ძალების ორი რაზმი ისევ COFS-ის განკარგულებაში აღმოჩნდა.

თუმცა ოპერაციებში სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა თუ კარაბინერთა სპეცრაზმების ნებისმიერ მოქმედებებზე პასუხისმგებელი კვლავინდებურად COFS-ის შტაბია. შესაბამისად, Task Force 45-იც მას ექვემდებარება.

Task Force 45-ში წარმოდგენილია იტალიური სპეცდანიშნულების ძალების ყველა სახეობა. ავღანეთში ისინი რამდენიმე ბაზაში არიან განლაგებულნი, საიდანაც ძირითადი ჰერათი და ფარაჰია. შესაბამისად, Task Force 45-ის ძალები ამ ორ ბაზაზეა გადანაწილებული და მათი დანიშნულება იარაღით და ნარკოტიკებით დატვირთული ქარავნების დაკავება და დასავლეთ ავღანეთში თალიბთა ლიდერების განადგურებაა.

ჰერათის ბაზაში (Camp Arena) დისლოცირებულია Task Force Alfa (TU-A), ხოლო ფარაჰში (FOB El Alamein) კი Task Force Bravo (TU-B).

თავის მხრივ, ეს ძალები აერთიანებენ შემდეგ ე. წ. „ოპერატიულ რაზმებს“ (Distaccamenti Operativi):

— კომანდოსების ოპერატიული რაზმი Condor 34 (სპეციალური ძალების სარდლობის მე-9 პარაშუტისტთა მოიერიშე პოლკი Col Moschin-ი) და მის დაქვემდებარებაში მყოფი 3-4 საბრძოლო ჯგუფი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კომანდოსთა ოპერატიული რაზმი Caimano 69-ის (სამხედრო-საზღვაო ძალების სპეცრაზმი COMSUBIN-ი) ოღონდ არა მებრძოლი მყვინთავები, არამედ რეიდერები GOI-ი (Gruppo Operativo Incursori). ისინი მებრძოლი მყვინთავებისგან ჩაცმულობითაც განსხვავდებიან. რეიდერებს მწვანე ბერეტები ახურავთ, ხოლო მათ კოლეგებს, მებრძოლ მყვინთავებს — ცისფერი. რეიდერების სპეციალობაა ინფილტრაცია და მტრის ტერიტორიაზე დიდხანს ყოფნა დაზვერვისა და დივერსიების მოსაწყობად. მათივე მოვალეობაა კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარება და მძევლების დახსნა. სწორედ მათ გაათავისუფლეს ჰერათში დატყვევებული მოქალაქეები. ჭორებს თუ დავუჯერებთ, Task Force 45-ის მორიგე მებრძოლი ჯგუფები GOI-ს რეიდერებსა და GIS-ის სპეცოპერატორებს აერთიანებენ;

— კარაბინერთა ოპერატიული რაზმი GIS (Gruppo d'Intervento Speciale) სპეციალური ჩარევის (ანტიტერორი) ჯგუფია და იტალიის შინაგანი ჯარის — კარაბინერების სპეცდანიშნულების რაზმს წარმოადგენს. ჩამოყალიბდა 1978 წელს, 2004 წელს კი სპეცდანიშნულების რაზმად გადაკეთდა. მასში მხოლოდ ასი მებრძოლია, რომლებიც სამ — საბრძოლო, სნაიპერთა და მზვერავთა სექციებში არიან გაერთიანებული. თავის მხრივ, თითოეული საბრძოლო სექცია ოთხმეომრიან ჯგუფებად არის დაყოფილი;



*ქვეითთა საბრძოლო მანქანა Dardo საცეცხლე პოზიციაზე*

**2000-იანი წლების ბოლოს იტალიის საზოგადოებას აშფოთებდა ის ფაქტი, რომ მათი ქვეყნის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში მუდმივად იზრდებოდა. ოპერაცია „ჰერათის" დროს იტალიელ სამხედროთა რაოდენობა ავღანეთში 2350-ს შეადგენდა, რაც 550-ით მეტი იყო, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, მიუხედავად ახალი ხელისუფლების დაპირებისა, რომ საექსპედიციო კორპუსს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.**

**2013 წლის ივნისში იტალიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში ამ ქვეყნიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის (2014 წლის ბოლო) შემდეგაც დარჩება.**

— კომანდოსთან ოპერატიული რაზმი Icaro 30 სამხედრო-საჰაერო ძალების Commandos Stormo-ს სარდლობის კომანდოსთა მე-17 ფრთას წარმოადგენს და ყველაზე გასაიდუმლოებულ სპეცდანაყოფად რჩება. ცნობილია, რომ საბრძოლო ერთეულად „ესკადრილია" (squadriglia) ითვლება. ასეთი მხოლოდ ოთხია და თითოეულში 2-4 ჯგუფია, რომლებიც 8-12 მებრძოლისგან შედგება. ავღანეთში მათი ამოცანა, ალბათ,



*ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის მონახვა იტალიელი სამხედროებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 წლის 24 სექტემბერს ავღანეთის პროვინცია ფარაჰში ოპერაცია იტალიელებმა მოკავშირეებთან ერთად ჩაატარეს





სპეცრაზმელთა შეიარაღებაშია უახლესი მოდელის ავტომატი *Beretta ARX 160*

ჩამოგდებული თვითმფრინავების პილოტების ძებნა-ევაკუირებაა;

— რეინჯერთა ოპერატიული რაზმი, რომელსაც მე-4 ალპური საპარაშუტო პოლკი Monte Cervino წარმოადგენს;

## უცნაური საქმე

2007 წლის 24 სექტემბერს ავღანეთის პროვინცია ფარაჰში ჩატარდა სამხედრო ოპერაცია, რომლის დროსაც გაათავისუფლეს იტალიის საგარეო დაზვერვა SISMI-ის ორი მზვერავი. უკანასკნელად ისინი პროვინცია ჰერათის საპოლიციო ბლოკპოსტზე (მათი გასათავისუფლებელი ოპერაციის დაწყებამდე ორი დღით ადრე) ნახეს, მათთან ერთად დაატყვევეს ავღანელი თარჯიმანი და მძღოლი.

მოგვიანებით, ავღანეთში NATO-ს ოპერატიული სამმართველოს უფროსმა, ფრანგმა ბრიგადის გენერალმა ვინსენტ ლაფონტენმა განაცხადა, რომ NATO-მ ძალიან სწრაფად მიიღო ინფორმაცია იტალიელთა ადგილსამყოფლის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო მათ გამოსახსნელად დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით ჩატარებას. „ეს არის ისტორია ბედნიერი დასასრულით, რადგან პრობლემა უსწრაფესად გადაწყდა“.

სარდლობამ ოპერაციის დაწყება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დაზვერვამ გადასცა ცნობა, რომ თალიბები მძევლებთან ერთად ორი ავტომობილით ფარაჰიდან გავიდნენ და სამხრეთისაკენ მიემართებოდნენ.

ოპერაციის დროს მოკლეს ცხრა თალიბი და სპეცრაზმელთა მძღოლი, რომელიც, როგორც ჩანს, გამტაცებლებს ეხმარებოდა. მაშინ იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ იტალიელები გაიტაცა ვინმე მოლა ხუდადის კრიმინალურმა დაჯგუფებამ. ბანდის წევრები ტყვეების თალიბებისთვის მიყიდვას აპირებდნენ და რომ ორივე ტყვე სასტიკად იყო ნაწამები. თალიბებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ინციდენტთან კავშირი არ ჰქონდათ.

**მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთში პოპულარული იყო ერთი ანეკდოტი: „რომელია ყველაზე პატარა წიგნი მსოფლიოში? წიგნი იტალიელთა სამხედრო გმირობის შესახებ“. მაგრამ ელ-ალამეინის ბრძოლის შემდეგ უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: „ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ მათ წინაშე, ვინც ცოცხალი გადაურჩა ამ ბრძოლას“.**

**1942 წლის 23 ოქტომბერს ბრძოლის დროს იტალიელთა 185-ე პარაშუტისტთა დივიზიას „ფოლგორეს“ (Folgore) თავდაცვითი პოზიცია ეკავა. იგი მოწინააღმდეგეზე გაცილებით სუსტი იყო როგორც შეიარაღებით, ასევე ცოცხალი ძალის რაოდენობით. მაგრამ როცა მათკენ დაიძრა მოკავშირეთა ოთხი დივიზია (ბრიტანეთის ქვეითთა 44-ე და 50-ე, მე-7 სატანკო და საფრანგეთის პირველი დივიზიები), პარაშუტისტებმა, რომლებიც ერთი ათს ებრძოდა, ბრძოლის პირველივე დღეს გაანადგურეს 110 ტანკი და სამი დღე პოზიციებს გმირულად იცავდნენ. დივიზიის მებრძოლთა დევიზი იყო Come folgore dal cieto! (როგორც ზეციური მეხთატეხა!). ეს დევიზი დღევანდელი იტალიის არმიის პარაშუტისტთა ბრიგადამ მემკვიდრეობით მიიღო.**

ოპერაციის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთსა და იტალიაში პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს გამოცხადდა, რომ მძევლები სწორედ მათმა სპეცრაზმელებმა გაათავისუფლეს, ოღონდ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ორი სპეცრაზმელი დაიჭრა, ერთი მათგანი კი მძიმედ, პრემიერ-მინისტრმა რომანო პრადიმ განაცხადა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. შემდეგ იტალიური ვერსია იუწყებოდა, რომ იტალიელ კომანდოსებს დაეხმარნენ ბრიტანელები, გერმანელები და ამერიკელები, რომლებიც გამტაცებლების მოძრაობას თვალყურს შვეულმფრენებიდან და უპილოტო საფრენი აპარატებიდან ადევნებდნენ.

ბრიტანელებმა კი იმავე დღეს სულ სხვა ვერსია გაავრცელეს. ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ იტალიელი მძევლები საზღვაო ფლოტის კომანდოსებმა (SBS) გაათავისუფლეს, მოყვანილი იყო დეტალებიც.

გამტაცებლებს ესკადრონ C-ს ბრიტანული სპეცრაზმელები თავს დაესხნენ ოთხი შვეულმფრენით. სნაიპერებმა მსხვილკალიბრიანი შაშხანის ტყვიებით დააზიანეს ავტომობილების ძრავები. დახოცეს ვისზეც ხელი მიუწვდათ და შემდეგ ცეცხლით მხარი დაუჭირეს მოიერიშეთა ჯგუფს, რომელმაც დააგვირგვინა ეს სასიკეთო საქმე.

რაც შეეხება იტალიელებს, ბრიტანელებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ გამტაცებელთა გადაადგილებას. სხვა წყაროები კი ამტკიცებენ, რომ ოპერაციის მსვლელობისას იტალიელებმა შეცდომით შეუტიეს იმ შენობას, რომელშიც გამტაცებლებს ტყვეები ადრე ჰყავდათ გამომწყვდეული.

საინტერესოა, რატომ წარმოიშვა აზრთა ასეთი უცნაური არათანხვედრა? შესაძლოა იმის გამო, რომ ოპერაციისას დაიღუპა ერთ-ერთი მძევალი, ლორენცო დ'აურია. მალე გაირკვა, რომ იგი სწორედ სპეცრაზმელთა ტყვიით იყო დაჭრილი.

სამედიცინო საქმეებს ავღანეთის დასავლეთში ბრიტანელი სამხედრო ექიმები განაგებენ. მათ, ალბათ, თავიდანვე არ ჰქონდათ დაჭრილის გადარჩენის იმედი. შეიძლება საქმე სხვაგვარადაც იყო, მაგრამ ცნობილია მსგავსი ინციდენტების მიმართ იტალიელი საზოგადოების დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, ბრიტანელებმა თავის თავზე აიღეს სხვისი „დანაშაული“, რათა არ დაეკარგათ იტალიელი კოლეგები.

გავა დრო და სამშობლოში დაბრუნებული Task Force 45-ის მებრძოლები ისევე, როგორც მათი კოლეგები, ალბათ, გარდასულ ბრძოლებს გაიხსენებენ, მოგონებებს დაწერენ და გმირებად გადაიქცევიან. ან მყუდრო, უხმაურო ცხოვრებას აირჩევენ... ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია, ავღანეთში წვეროსანი ბანდიტები ვერასდროს დაივიწყებენ იტალიურ „ზეციურ მეხთატეხას“.



ალპურ მსროლელებს სხვა ქვედანაყოფებისგან სპეციფიკური ფორმის ქუდები განასხვავებს



# მფრინავი თეფშები

ავიაციის არსებობის ასათწლიან ისტორიაში ადამიანმა მრავალი ტიპისა და სახეობის საფრენი აპარატი შექმნა. განსხვავებული ფორმა, კონსტრუქცია და აეროდინამიკური სქემა მხოლოდ ერთ მთავარ მიზანს — დანიშნულებიდან გამომდინარე, საფრენი აპარატების შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

გასული წლის სექტემბერში აშშ-ის ნაციონალურმა არქივმა აქამდე გრიფით „საიდუმლო" დაცული მემორანდუმი გამოაქვეყნა. 1956 წლის ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც წლების განმავლობაში საცავებში ინახებოდა, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის მფრინავი თეფშის პროტოტიპის შექმნას ეხებოდა. აქვეა მოყვანილი მისი მახასიათებლები: ვერტიკალური აფრენა-დაფრენის საფრენ აპარატს იმ დროისთვის არნახული — 3-4M ტოლი სიჩქარე უნდა განევითარებინა, ხოლო ფრენის სიმაღლე 30 კმ-ით და სიშორე კი — 1 800 კმ-ით განისაზღვრებოდა. საგულისხმოა, რომ ბგერის სამი სიჩქარის გადაფარვა ამერიკელებმა მხოლოდ 20 წლის შემდეგ — 1976 წელს სტრატეგიული მზვერავი თვითმფრინავი SR-71-ით შეძლეს (სიჩქარე 3529,56 კმ/სთ).




დისკოს ფორმის საფრენი აპარატები ადამიანის ყურადღებას ყოველთვის იქცევდა. თუმცა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებსა და უცხოპლანეტელების მფრინავ თეფშებთან ამას კავშირი არა აქვს. დისკოს ფორმის სხეული ჰაერში მინიმალურ წინააღმდეგობას განიცდის და ამწევ ძალას კორპუსის ფორმის წყალობით წარმოქმნის. 50-იან წლებში ამერიკელი სამხედროები სწორედ ამან მოხიბლა. იმავდროულად, ვერტიკალური აფრენა-დაფრენის შესაძლებლობა, საბრძოლო მფრინავი თეფშის ფლოტში გამოყენების საშუალებასაც იძლეოდა.

სამხედრო მფრინავი თეფშის შექმნა ამერიკელებმა კანადელებს დაავალეს. 1956 წლამდე აშშ-ის სამხედრო ავიაციის ისტორიაში ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც თავდაცვის უწყების ინტერესების პრაქტიკული რეალიზაცია უცხოურ ფირმას დაევალა. ორ წელიწადში პროექტზე 3 მლნ 160 ათასი დოლარი უნდა დახარჯულიყო (დღევანდელ კურსზე გადმოყვანისას თანხა თითქმის 8-ჯერ დიდია).

კანადურ Avro Aircraft-ს უცნაური საფრენი აპარატები ადრეც აუწყვია. 1952 წელს ფირმის წამყვანმა ინჟინერმა ჯეკ ფროსტმა დისკოსებრი რეაქტიული ძრავა შექმნა, რეაქტიული ჭავლი წრიულად, ძრავის მთელ პერიმეტრზე გამოდიოდა.

Project Y პირველი პროექტი იყო, სადაც მსგავსი სიახლე გამოიყენეს. საფრენმა აპარატმა, რომელიც ფორმით ბარის პირს ჰგავდა, კანადის მთავრობის მხარდაჭერა და 400 ათასი კანადური დოლარის გრანტი მიიღო. პროექტის ამბიციურობის მიუხედავად, 1953 წელს დამზადებული Project Y-ის მასშტაბური ხის მაკეტის იქით საქმე არ წასულა.

მაკეტებით ფროსტმა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების პერსპექტიული პროექტების ხელმძღვანელი, გენერალი დონალდ პატი „მოხიბლა". „მფრინავი ნიჩბის" შემცვლელი დისკოს ფორმის ახალი Project Y-2 ამწევი ძალის მისაღებად კოანდას ეფექტს იყენებდა. აფრენა-დაფრენისას და ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურ რეჟიმში გასავლისას აპარატის მართვა სწორედ ამ ეფექტის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ეფექტი რუმინელმა მეცნიერმა ანრი კოანდამ აღმოაჩინა და ის გამონაბოლქვი აირისთვის სასურველი მიმართულების მიცემის შესაძლებლობაში მდგომარეობს. 1932 წელს ჩატარებული

*უცნაური იერის მიუხედავად, ამერიკელები დისკოს ფორმის საფრენ აპარატებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და 3-4M-ის ტოლ სიჩქარესაც გეგმავდნენ*




*კანადელების მიერ შექმნილი ორივე რეაქტიული მფრინავი თეფში დღეს აშშ-ის მუზეუმებშია დაცული*

ცდისას მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ მრუდე ზედაპირზე მოძრავი სითხის ჭავლი ზედაპირიდან მოცილების შემდეგ მას არ სწყდება და მკვეთრი სწორხაზოვანი ტრაექტორიის ნაცვლად კვლავ მრუდე გზით აგრძელებს გადაადგილებას. ანალოგიური ეფექტი ვლინდება რეაქტიული ჭავლის შემთხვევაშიც. სხვათა შორის, დღეს კოანდას ეფექტი ავიაციის გარდა, „ფორმულა 1"-ის ბოლიდების კონსტრუქციაშიც გამოიყენება.

პროექტმა ამერიკელებზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი რეალიზაციისთვის გენერალმა პატმა NASA-სგან წელიწადში 2 მლნ დოლარის დაფინანსება მიიღო.

Avro Aircraft-მა მომავალი სამმახიანი მფრინავი თეფშის პროექტირება და საცდელი პროტოტიპების შექმნა დაიწყო. პირველ ეგზემპლარს 15 მ-ის დიამეტრის კორპუსი და 6 რეაქტიული ძრავა ჰქონდა. ინდივიდუალური საქშენებიდან რეაქტიული ჭავლის გამოტყორცნასთან ერთად, ძრავები კორპუსის ცენტრში არსებულ მძლავრ ვენტილატორსაც აბრუნებდნენ. საფრენი აპარატის ვერტიკალურ რეჟიმში გადაადგილებისთვის საჭირო ჰაერის ნაკადს სწორედ ის წარმოქმნიდა.

თეორიულად მფრინავ თეფშს ნებისმიერ სიმაღლეზე ასვლა და ჰორიზონტალურ სიბრტყეში ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობა შეეძლო. თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, დისკოს ფორმის საფრენი აპარატის ავტორები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ფრენის სტაბილური რეჟიმის შენარჩუნება მხოლოდ 1,5 მ-ის სიმაღლეზე ხერხდებოდა.

გადაკეთების შედეგად, მფრინავ თეფშზე ძრავების რაოდენობა 3-მდე, კორპუსის დიამეტრი კი — 6 მ-მდე შეამცირეს. ვერტიკალურ რეჟიმში გადაადგილებას კვლავინდებურად ცენტრალური ვენტილატორი უზრუნველყოფდა. ჰორიზონტალურში სამოძრაოდ კი ცალკეული ძრავების წევის ცვლილების სისტემა გამოიყენებოდა. უცნაური ფორმის საფრენ აპარატს ორი კაბინა ჰქონდა. ჩანაფიქრით ერთში პილოტი, მეორეში კი შეიარაღების ოპერატორი განთავსდებოდა.

თითქმის ნულოვანი შედეგის გამო, 1959 წელს კანადის მთავრობამ პროექტის დაფინანსება შეწყვიტა, თუმცა ამერიკელები სამხედრო მფრინავი თეფშის რეალიზაციას ჯიუტად განაგრძობდნენ.

პენტაგონის ინტერესების დაკმაყოფილებას Avro Aircraft-ი ახალი პროექტით „1794" შეეცადა. გამოცდი-

სას ამერიკელებმა საფრენ აპარატს ნიშნული VZ-9 მიანიჭეს.

5,5 მ დიამეტრის აპარატს სამი რეაქტიული ძრავა და კორპუსის ცენტრში მძლავრი ვენტილატორი ჰქონდა, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე გათვლებით 480 კმ/სთ-ში უნდა ყოფილიყო.

1959 წლის 12 ნოემბერს დაწყებული საფრენოსნო გამოცდისას ჰორიზონტალურმა სიჩქარემ მხოლოდ 56 კმ/სთ-ში მიაღწია. გაუმჯობესების მიუხედავად, VZ-9-ის ვერც ერთ ეგზემპლარზე (სულ 2 ნიმუში აიგო) ოპტიმალური საფრენოსნო მახასიათებლების მიღება ვერ მოხერხდა. 1 მ-ზე მაღლა ასვლისას საფრენი აპარატი მდგრადობას კარგავდა. იგივე მეორდებოდა ფრენის ჰორიზონტალურ რეჟიმში გადასვლისას. დისკოს ფორმის სხეულებისთვის დამახასიათებელი თავისებური აეროდინამიკის გამო VZ-9-ს პილოტირების სპეციფიკა ტრადიციული თვითმფრინავებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. სირთულეს მართვის სისტემაც ქმნიდა, რომელიც სარქვლებისგან შედგებოდა. სასურველი შედეგი არც კონდას ეფექტმა მოიტანა.

ასე რომ, 1961 წელს ამერიკელებმა სამხედრო მფრინავი თეფშის პროექტზე უარი საბოლოოდ თქვეს. ორი აგებული VZ-9-დან ერთი სმიტსონის ცენტრში, მეორე კი — ვირჯინიის შტატში ამერიკის სატრანსპორტო მუზეუმში ინახება.

**ალექსანდრე აფაქიძე**



*ფოტოზე ექსპერიმენტული V-173*

„მფრინავი თეფშებისადმი" ინტერესს ამერიკელები რეაქტიული ძრავების მასობრივ გავრცელებამდეც იჩენდნენ. მფრინავი ფრთის აეროდინამიკური სქემით შესრულებულ „დისკოპლანებზე" ამერიკელი ინჟინერი ჩარლზ ციმერმანი 30-იანი წლებიდან მუშაობდა. მისი აზრით, ელიპტიკური ფორმის ფრთები თვითმფრინავების მახასიათებლებს გააუმჯობესებდა.

მარცხის მიუხედავად, ციმერმანმა საკუთარი პროექტებით აშშ-ის ფლოტის დაინტერესება მოახერხა. სპეციფიკური ფორმის წყალობით „დისკოპლანს", რომელსაც საწინააღმდეგო მხარეს მბრუნავი ორი ხრახნი ჰქონდა, ასაფრენად მხოლოდ 60-70 მ სჭირდებოდა. შემხვედრი ქარისას ასაფრენი მანძილი 10-15 მ-მდე მცირდებოდა, რაც ავიამზიდებიდან გამოყენებისთვის იდეალური პარამეტრი იყო.

ახალი V-173-ის სიგრძე 8,1 მ-ს და სიგანე კი 7,1 მ-ს შეადგენდა. ორძრავიან თვითმფრინავზე ხრახნები დისკოს კიდეებზე მაგრდებოდა. ერთპილოტიანი საფრენი აპარატი პირველად 1942 წლის 23 ნოემბერს აფრინდა, გამოცდაზე 190 ფრენა შეასრულა და სამჯერ ჩამოვარდა. V-173 მიღებულ შედეგზე დაყრდნობით ფირმა Vought-თან ერთად ციმერმანმა ახალი XF5U-1 შექმნა.

წინამორბედის მსგავსად, ახალი თვითმფრინავი ფლოტის დაკვეთით აიგო. სამხედროებს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ, წარმატების შემთხვევაში 1946 წლისთვის თვითმფრინავი შეიარაღებაში უნდა მიეღოთ. საერთო ფორმის შენარჩუნებისას, საბაზო ვარიანტისგან XF5U-1 მძლავრი ძრავებით (1 350 ცხ.ძ) გამოირჩეოდა. სერიულ კონფიგურაციაში თვითმფრინავის არსენალში ორი 450 კგ-იანი ბომბი და ექვსი 12,7 მმ-ის კალიბრის ტყვიამფრქვევი შევიდოდა.

1945 წლის ზაფხულისთვის Vought-მა ორი პროტოტიპის აგება დაასრულა. თუმცა არც ერთ მათგანს არ უფრენია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თავდაცვითი ხარჯის შემცირებამ ციმერმანის „დისკოპლანებზეც" მუშაობა შეაფერხა. პროექტის პერსპექტიულობისა და შერჩეული აეროდინამიკური სქემის უდავო უპირატესობის მიუხედავად, 1947 წლის 17 მარტს XF5U-1-ის პროექტი დაიხურა. ტექნიკურ პრობლემებთან ერთად, რეაქტიული ავიაციის ეპოქაში, შიდაწვისძრავიან გამანადგურებელს მომავალი არ ჰქონდა.

# ბათუმის საზღვაო რაზმი

**1999 წლის შემოდგომაზე ბათუმში გამომავალ გაზეთ „საქართველოს აღორძინებაში“ დაიბეჭდა ერთი პატარა სტატია, სადაც საუბარი იყო ფოთიდან ბათუმში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის გადატანის ავკარგიანობაზე.**

**საზღვაო ძალების შტაბად ბათუმის გამოყენების იდეა ახალი არ არის და გარკვეულწილად 1914 წელს უკავშირდება, როცა რუსეთის ფლოტის სარდლობამ ბათუმში საზღვაო რაზმის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.**



ბათუმის საზღვაო რაზმის მთავარი საცეცხლე ძალა 1916 წლის კამპანიაში სახაზო ხომალდი „როსტისლავი“ იყო

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის შავი ზღვის ფლოტისთვის ერთადერთი დასაყრდენი ბათუმი იყო, თუმცა ამის თაობაზე არმიისა და ფლოტის მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

კავკასიის არმიის სარდლობა თურქეთთან მომავალი ომის მთელ სიმძიმეს სახმელეთო ბრძოლებში ხედავდა და შავიზღვისპირეთში ბათუმის მხრიდან სანაპიროს გასწვრივ აქტიურ მოქმედებებს არ გეგმავდა. შავი ზღვის ფლოტი კი, პირიქით, თურქეთის სანაპიროსთან საკრეისერო ოპერაციებში ბათუმის სამანევრო ბაზად გამოყენებას აპირებდა, მაგრამ პორტის გაძლიერება-განვითარებისთვის არაფერს აკეთებდა. უფრო მეტიც, 1906 წელს ბათუმის სამხედრო პორტი გაუქმდა და ამის გამო შავი ზღვის ფლოტი მას საოპერაციო ბაზად ველარ გამოიყენებდა.



მეზღვაურები „როსტისლავის“ ბორტზე

ევროპაში პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან და თურქეთთან ურთიერთობის განწყვეტამდე მშვიდობიანმა სამთვიანმა პერიოდმაც ისე განვლო, რომ პორტის მოწყობისთვის არაფერი გაკეთდა და ბათუმი ხომალდებისთვის ფაქტობრივად კეთილმოუწყობელ სადგომად დარჩა.

სახმელეთო სარდლობის არასწორი პოზიცია ომის დაწყებიდან მალევე გამოჩნდა, როცა სანაპირო ფრონტის შექმნისა და მისთვის ზღვიდან საცეცხლე მხარდაჭერის საჭიროება დადგა. ბათუმის საზღვაო რაზმის ჩამოყალიბება 1914 წლის სექტემბერში დაიწყო და მიხაილოვის სიმაგრეთა კომენდანტის განკარგულებაში სამსახურისთვის სევასტოპოლიდან შეიარაღებული სატრანსპორტო გემი „ბერეზანი“ და ნაღმგადამლობად გადაკეთებული მობილიზებული სატვირთო გემი „დიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველ მსოფლიო ომში ბრძოლის ასპარეზად ქცეული ლაზეთის სანაპირო პატარა ქალაქი არხავი ახლა ასე გამოიყურება



მდინარე არხავი, რომელიც 1916 წლის 5 თებერვალს სანაპირო რაზმის ქვეითებმა გადალახეს

ტაუ“ გამოგზავნეს. „ბერეზანი“ ყოფილი სატვირთო-სამგზავრო გემი „პეტერბურგი“ იყო და მისი მთელი შეიარაღება ორი 37 მმ-იანი ქვემეხისგან შედგებოდა.

რაც შეეხება „დიხტაუს“, მასზე ძველი არმიული სამდუიმიანი ქვემეხები იდგა და სროლისას ერთი ბორტიდან მეორისკენ მიგორავდნენ, ამიტომ ეკიპაჟი ხომალდს „ჩინურ ჯავშნოსან დიხტაუს“ ეძახდა.

„ბერეზანის“ მეთაური, II რანგის კაპიტანი კონსტანტინე შუბერტი, იმავდროულად, საზღვაო რაზმის უფროსიც იყო და საერთო ფლოტის საკითხებში შავი ზღვის ფლოტის სარდალს ექვემდებარებოდა, ხოლო სახმელეთო ოპერაციებში ბრძანებებს მიხაილოვის სიმაგრეთა კომენდანტისგან იღებდა.

ომის დროს „ბერეზანის“ მოვალეობა იყო ზღვიდან თურქების პოზიციების დაბომბვა, მოწინაალმდეგის ზურგში პატარ-პატარა სადესანტო რაზმების გადასხმა, სანაპირო სახმელეთო რაზმისთვის ყოველმხრივი დახმარება. „დიხტაუს“ მთავარი ამოცანა კი ბათუმის, ქობულეთისა და ფოთის მისადგომებთან ნაღმების ღობურების დაყენება იყო.

1914 წლის 29 ოქტომბერს თურქულ-გერმანულმა ხომალდებმა სევასტოპოლი, ოდესა და სხვა პორტები დაბომბეს და შავ ზღვაში ომი დაიწყო. როგორც კი ცნობილი გახდა რუსულ პორტებზე თავდასხმის ამბავი, ბათუმის პორტში მაშინვე შეჩერდა დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები, აიკრძალა ტვირთის გატანა და ღამით გემების გასვლა.

მალე საზღვაო რაზმის აქტიურ მოქმედებათა დროც დადგა. სახომალდო არტილერია თურქების პოზიციებსა და პოსტებს ცეცხლით ამუშავებდა, გადაჰყავდათ მზვერავთა პატარ-პატარა რაზმები, ხოფის რაიონში თურქულ საკობატაჟო გემებს ებრძოდნენ და სხვ.

გეგმის შესაბამისად, ნაღმგადამლობი „დიხტაუ“ დანაღმვას შეუდგა და 1914 წლის დეკემბერსა და 1915 წლის დასაწყისში ბათუმთან, ქობულეთსა და ფოთთან სულ 572 ნაღმი დააყენა.

რაზმის უფროსი II რანგის კაპიტანი შუბერტი ხედავდა ხელთ არსებული ძალების სისუსტეს და დამატებით მსუბუქად შეიარაღებულ ხომალდებს მოითხოვდა. საჭირო იყო ნებისმიერ ამინდში სამსახურის შემძლე საბრძოლო ხომალდები, მაგრამ შავი ზღვის ფლოტისთვის ბევრად მნიშვნელოვანი სხვა ამოცანები იყო, ბათუმის საზღვაო რაზმის გაძლიერებაც იგვიანებდა.

1914 წლის 30 ნოემბერს ბათუმში სარემონტოდ შევიდა საესკადრო ნაღმოსანი „ჟარკი“ და მალევე ბრძანებაც მიიღო რაზმში ჩარიცხვის თაობაზე, ხოლო დეკემბრის დასაწყისში მას იმავე კლასის მეორე ხომალდი — „ჟივოი“ შეუერთდა.

პირველ ერთობლივ ლაშქრობაში ხომალდები ტრაპიზონისკენ გაგზავნეს, მაგრამ მოწინაალმდეგეს ვერ-

სად გადაეყარნენ და ხელმოცარულნი უკან მობრუნდნენ. მომდევნო ოპერაცია ბევრად ეფექტური გამოდგა, როცა „ჟარკის“ რიზესა და „ჟივოის“ ტრაპიზონის დაბომბვა დაევალა.

ოპერაციის შედეგი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ დააფასა ბათუმის რაზმის მნიშვნელობა და გასაძლიერებლად იანვარში სევასტოპოლიდან კიდევ ორი საესკადრო ნაღმოსანი „სვირეპი“ და „სმეტლივი“ გამოგზავნა.

იმ პერიოდში საზღვაო რაზმის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ოპერაცია ქალაქ ხოფის დაბომბვასთან არის დაკავშირებული. მასში მონაწილე ერთ-ერთი ოფიცრის გადმოცემით: *„ეს პატარა ქალაქი პრაქტიკულად განადგურებული, ხოლო პორტში მყოფი ყველა ფელიუგა და შხუნა კი ჩაძირული იყო. ჩვენ მხოლოდ მეჩეთი დავინდეთ, თუმცა არსებობდა ინფორმაცია, რომ მას საწყობად იყენებდნენ.*

*დაბომბვის წინ ადგილობრივი მცხოვრებლები გავაფრთხილეთ ამის შესახებ, რათა ხოფა დაეტოვებინათ და ორი საათი ცეცხლს არ ვხსნიდით. როცა „ჟარკიმ“ ცეცხლი გაუხსნა ხიდს, რომელიც ქალაქს სანაპიროსთან აკავშირებდა, ბინოკლში ხიდზე ბავშვთან ერთად მომავალი ქალი დავინახეთ. ჩვენ დაუყოვნებლივ შევწყვიტეთ სროლა, მივეცით მათ გასვლის საშუალება და ხიდი ამის შემდეგ გავანადგურეთ“.*

1915 წლის კამპანიის დროს ლაზეთის სანაპიროსთან თურქების საზღვაო კომუნიკაციებზე სამოქმედოდ და სახმელეთო ჯარების ხელშესაწყობად ბათუმში დროებით ბაზირებით სევასტოპოლიდან საესკადრო ნაღმოსნების მე-4 და მე-5 დივიზიონები იგზავნებოდა. 1915 წლის იანვრიდან ბათუმის პორტში საბრანდვახტო სამსახური ამოქმედდა და ამ მოვალეობის „ლაზარევი“, „ტეოდორი“ და ძრავიანი კატარღა „დოზორი“, აგრეთვე, ფოთის პორტის საბუქსირე ორთქლმავალი გემი „ტავრიდა“ ასრულებდა.

ბათუმის რაზმის სახომალდო შემადგენლობა მუდმივი არ იყო და პერიოდულად იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ ხომალდს დასჭირდებოდა სევასტოპოლში ან სხვა პორტში გადასვლა.

1915 წელს ბათუმის საზღვაო რაზმის მეთაურობა I რანგის კაპიტანმა მიხაილ რიმსკი-კორსაკოვმა ჩაიბარა.

1916 წლიდან რაზმის სახომალდო შემადგენლობა კიდევ უფრო გაიზარდა და იანვარში ბათუმში სამსახურისთვის საკანონერო ნავი „დონეცი“, საესკადრო ნაღმოსნები „სტროგი“ და „სტრემიტელნი“ გამოგზავნეს.

სანაპირო ძალების შეტევაზე გადასვლის წინ, 1-ელ თებერვალს, ბათუმში სახაზო ხომალდი „როსტისლავი“ საკანონერო ნავი „კუბანეცის“, საესკადრო ნაღმოსნების „ჟივოისა“ და „ლეიტენანტი პუშჩინის“ თანხლებით შემოვიდა.



*თურქეთის ფრონტზე კავკასიის არმიის ერთ-ერთი გამაგრებული პოზიცია*

სირთულეთა მიუხედავად, ბათუმის საზღვაო რაზმის საბრძოლო პოტენციალი შესამჩნევად ამაღლდა და იმდროინდელი რუსეთის არმიისა და ფლოტის ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთადერთ მაგალითად დარჩა, რომელიც პირველივე სანაპირო-სახმელეთო ოპერაციაში გამოჩნდა.

1915 წლის მარტიდან 1916 წლის დასაწყისამდე სანაპიროზე რუსეთ-თურქეთის ჯარებს ერთმანეთისგან მდინარე არხავი ჰყოფდა. მდინარის მარცხენა სანაპირო თურქებს სანგრების რამდენიმე წყებით, საარტილერიო ბატარეებითა და საცეცხლე წერტილებით ჰქონდათ გამაგრებული.

სახმელეთო შეტევის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული სახომალდო არტილერიის ეფექტურ საცეცხლე მხარდაჭერაზე, რაც ცეცხლის კორექტირების სისტემის გამართულ მუშაობასა და ნაპირსა და ხომალდებს შორის საიმედო კავშირს მოითხოვდა. ამისათვის კი ზღვიდან უახლოეს მთაზე სასიგნალო ანძა აიგო, საიდანაც თურქების პოზიციები კარგად მოჩანდა და მასზე ორი საზღვაო ოფიცერი რამდენიმე მესიგნალესთან ერთად მოთავსდა.

სახმელეთო არტილერისტი ოფიცრები კი „როსტისლავსა“ და საკანონერო ნავებზე გაგზავნეს. ხმელეთსა და ხომალდებს შორის კავშირის საშუალებას სასიგნალო დროშები და სემაფორი ასრულებდა.

ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე საესკადრო ნაღმოსნებმა თურქების ზურგში სადაზვერვო ჯგუფები გადასხეს.

5 თებერვალს დილით რუსების ქვეითმა რაზმებმა მდინარე არხავზე მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგს მოულოდნელად შეუტიეს.

დილიდანვე მდინარე არხავის შესართავთან პოზიცია დაიკავეს სახაზო ხომალდმა „როსტისლავმა“, „დონეცმა“ და „ყუბანეცმა“, აგრეთვე, ნაღმოსნებმა „ლეიტენანტმა პუშჩინმა“, „ჟივოიმ“, „სტრემიტელნიმ“ და „სტროგიმ“.

„როსტისლავმა“ ცეცხლი ჯერ თურქების ბატარეას გაუხსნა და რამდენიმე ჭურვიც მოარტყა, შემდეგ კი ცეცხლი კარგად შენიღბულ მეორე ბატარეაზე გადაიტანა. დაახლოებით 11 სთ-დან რუსული ხომალდები ასკერების სანგრების საცეცხლე დამუშავებაზე გადავიდნენ. გაჩერდა თუ არა სახომალდო არტილერია, სანაპირო რაზმის მსროლელები მაშინვე შეტევაზე გადავიდნენ, არხავი გადალახეს და მეორე ნაპირზე გამაგრდნენ. სახომალდო არტილერიის ცეცხლი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ თავგზააბნეულმა თურქებმა პოზიციები მიატოვეს და გაიქცნენ.

მომდევნო დღეებში 6-7 თებერვალს საზღვაო რაზმის ხომალდები საარტილერიო ცეცხლით თურქებს შეჩერებისა და პოზიციების მოწყობის საშუალებას არ აძლევდნენ, რითაც სანაპირო რაზმის ქვეითებს წინსვლაში დიდი სამსახური გაუწიეს.

სანაპირო რაზმის ქვედანაყოფებმა დაახლოებით ორი ათეული კმ-ით წინ წაიწიეს და მდინარე ვიწე-დერესის მარჯვენა ნაპირს მიაღწიეს, სადაც შეჩერდნენ იმის გამო, რომ მოწინავე ნაწილებს ზურგის სამსახურები ჩამორჩნენ.

**თემურ ჩაჩანიძე**



*დაჭრილი თურქი ჯარისკაცების ევაკუაცია*



დარიალის ციხე.
ხედი სამხრეთიდან

# დარიალის ციხე

საფორტიფიკაციო ნაგებობები — ციხეები, კოშკები, სასიმაგრო კედლები, საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა შემორჩენილი. ქვეყანას, რომელსაც მტერი ულევი ჰყავდა და, ძირითადად, თავდაცვით ომებს აწარმოებდა, ბუნებრივია, სჭირდებოდა მტკიცე და შეუვალი ციხეები, რათა საომარი მოქმედების დროს გაეკონტროლებინა სახელმწიფოს საზღვრები, გზები, უღელტეხილები. ციხეები კეტავდა ხეობებს, რომ მტერს არ მისცემოდა საშუალება, შეჭრილიყო ქვეყნის სიღრმეში. ძნელბედობის ჟამს ციხის კედლებს აფარებდა თავს ახლომახლო მცხოვრები მოსახლეობა. საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ციხესიმაგრეთა სისტემები, რომლებიც ქმნიდნენ ერთიან თავდაცვით ჯაჭვს, სადაც თითოეულს თავისი ფუნქცია და დანიშნულება ჰქონდა.

სტრატეგიული თვალსაზრისით ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე იყო დარიალის ციხე — საქართველოს ჩრდილოეთ კარიბჭის მცველი.

ციხე მდებარეობს დარიალის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, მდ. თერგის მარცხენა ნაპირის შემაღლებულ კლდეზე, საიდანაც შედარებით მცირე ძალებით შესაძლებელი იყო ჩრდილოეთიდან მომდგარი მრავალრიცხოვანი მტრის შეკავება.

დარიალის ხეობაზე გადიოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომელიც ამ ციხით მტკიცედ იყო ჩაკეტილი. ხეობაში ჩრდილოეთიდან შემომავალი გზა მიადგებოდა ციხის კარიბჭეს, რომელიც აქეთ-იქიდან გუშაგებად მდგარი კოშკებით ყოფილა გამაგრებული. კარიბჭის გავლის შემდეგ ვხვდებით სასიმაგრო კედლებით გამაგრებულ ციხის ქვედა ნაწილში. მის აღმოსავლეთით აღმართულ მაღალი ციცაბო კლდის თავზე კი ზედა ციხე, მთავარი ციხე, ანუ ციტადელია, სადაც შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის თავდაცვითი კედლების, კოშკებისა თუ საცხოვრებელი შენობების ნანგრევები.

ქვედა ციხის ტერიტორიიდან გზა გაივლიდა ციხის სამხრეთ კარიბჭეს და ჩადიოდა მდ. თერგის პირას. იქ თავის დროზე ხიდი ყოფილა გადებული. აღსანიშნავია, რომ დარიალის ციხესა და მის ქვემოთ არსებულ ხიდს იხსენიებს X საუკუნის არაბი ისტორიკოსი მასუდი. მისივე ცნობით, ციხე წყლით მარაგდებოდა დასავლეთით აღმართული კლდიდან გამომდინარე წყაროდან. ამჟამად წყარო დამშრალია, თუმცა მის არსებობაზე არაბი ისტორიკოსის გარდა, მიუთითებს ციხეზე შემორჩენილი წყალსადენის მცირე ფრაგმენტი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ანუ ციხისკენაა მიმართული.

საინტერესოა თვით წყალმომარაგების გამართვის ხერხი. წყალსადენის თიხის მილები მოქცეულია სასიმაგრო კედლის წყობაში და მეციხოვნეთათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი მტრისთვის, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი იყო. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ციხის უმეტესი ნაწილი რელიეფის თვალსაზრისით სრულიად მიუდგომელია, ხოლო ძნელად მისადგომი ადგილები გალავნის მტკიცე და საიმედო კედლებით ყოფილა დაცული, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ციხე პრაქტიკულად აუღებელი იყო.



ციხის შემორჩენილი კოშკის ნანგრევები. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

დარიალის ციხე ხალხურ მეტყველებაში „თამარის ციხედ“ იხსენიება, თუმცა თამარის მეფობამდე ის სულ ცოტა 14-15 საუკუნით ადრეა აგებული. ციხის სიძველეზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ძვ. წ. IV-III საუკუნეების ნივთები და წერილობითი წყაროების მონაცემები.

ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII საუკუნის I ნახ.) ცნობით დარიალის ციხე აუგია ქართლის (იბერიის) მესამე მეფე მირვანს ძვ. წ. II საუკუნეში. „შეაბნა კარნი ქვიტკირითა“-ო გადმოგვცემს მემატიანე დარიალის ციხისა და გზის შესახებ.

XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი ახ. წ. I საუკუნეში ქართველთა და სომეხთა შორის ჯავახეთთან ბრძოლის აღწერისას აღნიშნავდა, რომ ქართველებს ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნიათ სომეხთა უფლისწული ზარენი, რომელიც დარიალის მიუვალ ციხეში გამოუმწყვდევიათ.

შემთხვევითი არ იყო ქართლის პირველ მეფეთა მისწრაფება, საიმედოდ გაემაგრებინათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლში შემოსასვლელი მაგისტრალი, რადგან ამ გზით ხშირად სარგებლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ველური ტომები, რომელთა საარსებო წყარო სხვა ქვეყნების აოხრება და ძარცვა იყო.

ამდენად, დარიალის გასასვლელის უყურადღებოდ დატოვებით საფრთხე ექმნებოდა არა მარტო ქართლის სახელმწიფოს პერიფერიულ ტერიტორიებს, არამედ დედაქალაქ მცხეთასაც, რადგან ეს გზა იყო უმოკლესი მაგისტრალი ჩრდილოეთ კავკასიასა და ქართლის სამეფოს დედაქალაქს შორის.

დარიალის გასასვლელის ვიწრო ადგილას ციხის აგებით ქართლის სამეფომ, ერთი მხრივ, თავის კონტროლს დაუქვემდებარა გზა, ხოლო, მეორე მხრივ, შექმნა პლაცდარმი, საიდანაც შეეძლო აქტიური სამხედრო ოპერაციები ეწარმოებინა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამიტომაც იყო, რომ ქართლის მეფეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ დარიალის გასასვლელის საფუძვლიანად გამაგრებისათვის.

წერილობით წყაროებში დარიალის ციხე და გასასვლელი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: დარიალანი (სპარსულად „ალანთა კარი“), კავკასიის კარი, ოვსთა კარი და სხვ. გასასვლელის უძველესი სახელწოდებაა „არაგვის კარი“.

მას შემდეგ, რაც ახ. წ. I ს-დან რომის იმპერიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მცირე აზიასა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე, რომისათვის აქტუალური ხდება ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში შემოსასვლელი გზების, მათ შორის დარიალის გზის გამაგრება, რადგან ამ გზებით შემოჭრილი მომთაბარე ტომები სისტემატურად აოხრებდნენ რომის აღმოსავლეთ პროვინციებს და იმპერიას მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ.

ამ დროიდან ანტიკური ხანის ისტორიკოსთა (სტრაბონი, პლინიუსი, ტაციტუსი და სხვ.) ნაშრომებში უკვე ხშირად იხსენიება დარიალის გზა და მისი დამცავი ციხესიმაგრეები.

საინტერესოდ აღწერდა დარიალის გასასვლელსა და ციხეს ახ. წ. I საუკუნის რომაელი ავტორი პლინიუსი: „კავკასიის კარები ბუნების გრანდიოზული ქმნილებაა, რომელიც წარმოიშვა ამ ადგილზე მთების უეცარი გარღვევით. თვით გასასვლელი შემოსაზღვრულია რკინით შემოსალტული და დაჭედილი მორებით; კარებს აქეთა მხარეს, კლდეზე მდებარეობს სიმაგრე, რომელსაც კუმანია ეწოდება. ციხე აგებულია ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით“.

მკვლევართა აზრით, პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე კუმანია ახლანდელი დარიალის ციხის ადგილზე უნდა არსებულიყო.

დარიალის გზას ქართლის სამეფო ხშირად თავის სასარგებლოდ იყენებდა რომთან ურთიერთობაში.

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ქართლის მეფეებს, რომლებიც გზაზე სრულ კონტროლს ახორციელებდნენ, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ დარიალის ციხის კარი გაეხსნათ ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე ტომებისთვის და ისინი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებისათვის შეესიათ.



მარცხნივ ჩანს V საუკუნის სასიმაგრო კედლის ნანგრევები. ხედი ჩრდილოეთიდან




რომაელი ისტორიკოსების ტაციტუსისა (50-117 წწ.) და დიონ კასიოსის (153-236 წწ.) ცნობით, I-II საუკუნეებში ქართლის მეფეებს ამგვარი შესაძლებლობა არაერთხელ გამოუყენებიათ. ამის გამო რომი მაქსიმალურად ცდილობდა ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის ნორმალიზებას, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც იყო იმპერატორ ანტონინეს (138-161 წწ.) მიერ იბერიის (ქართლის) მეფე ფარსმან II-ის რომში მიწვევა დიდი ამალით. იმპერატორი თავად დასწრებია ქართველი დიდებულებისა და თვით მეფის ვაჟის სამხედრო ვარჯიშებს და დიდად მოხიბლულა სანახაობით. იმპერატორის ბრძანებით რომში აღუმართავთ ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. ამ შეხვედრის დროს რომმა აღიარა იბერიის შორს გაწეული საზღვრები.

დარიალის ციხეს არც მაშინ დაუკარგავს მნიშვნელობა, როცა რომაელები მსოფლიო ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ. დარიალის გზით ქართლის სამეფოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების შემოჭრის საშიშროება შემდგომშიც არსებობდა. V საუკუნის II ნახევარში ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებულ ჰუნებს ვახტანგ გორგასალმა შეუტია.

ზურგის გამაგრების მიზნით აჯანყებამდე მას ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანი გზები და გადასასვლელები თვითონ უნდა დაეკავებინა. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით მეფეს დარიალის ციხის გასამაგრებლად დიდი სამშენებლო სამუშაო ჩაუტარებია. „აღაშენნა მას ზედა გოდოლნი (კოშკები) მაღალნი"-ო — წერდა მემატიანე. ამის შემდეგ მეფის ბრძანების გარეშე დარიალის ციხის კარიბჭის გახსნა არავის შეეძლო.

ვახტანგის მიერ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების რეალურობაზე მეტყველებს ციხეზე შემორჩენილი გამორჩეული წყობით ნაგები კედლები, რომლებიც ძალზე ჰგვანან უჯარმის ციხის კედლების წყობას. ხოლო უჯარმა რომ ვახტანგ გორგასლის აშენებულია, ცნობილია. როგორც მემატიანე გვაუწყებს: „ვახტანგ დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა".

სამწუხაროდ, სპარსელებთან უთანასწორო ბრძოლაში ვახტანგ გორგასალი დამარცხდა. სპარსელებმა თანდათან მტკიცედ მოიკიდეს ფეხი მთელ სამხრეთ კავკასიაში, 532 წელს კი საბოლოოდ დაიმორჩილეს ქართლი და კავკასიონის გასასვლელებიც თვითონ დაიკავეს. ამის შემდეგ დარიალის უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს უკვე სპარსელები დაეუფლნენ და შესაბამისად გზასაც ისინი აკონტროლებდნენ. რა თქმა უნდა, დამპყრობელსაც კარგად ჰქონდა გააზრებული ციხის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ სპარსელებიც ზრუნავდნენ და სახსრებს არ იშურებდნენ ციხის გაძლიერებისათვის.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**დავით მინდორაშვილი**
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის
ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფრიდრიხ დიდი 1713-1786

ფრიდრიხ დიდმა პრუსია უძლიერეს სამხედრო ძალად აქცია. უმეტესწილად მტერი ჭარბობდა, ერთ-ერთ ბრძოლაში მის ერთ მეომარზე ოციც კი მოდიოდა. ფრიდრიხის დასამარცხებლად ერები ერთიანდებოდნენ, მაგრამ სისხლისმღვრელი და შემტევი ბრძოლის შემდეგ თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა.

პრუსიის გვირგვინოსნის ფრიდრიხ I-ის ვაჟს უფრო ხელოვნება იტაცებდა და როდესაც გრენადერებში შესვლა აიძულეს, საფრანგეთში გაქცევაც კი განიზრახა ოცი წლის მეგობარ ოფიცერთან ერთად, მაგრამ ორივე შეიპყრეს და ფრიდრიხს თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამზრახველის დასჯა აყურებინეს. თვრამეტი თვის შემდეგ გათავისუფლებული მამამისს შეურიგდა, პრუსიის ჯარში შევიდა და საბრძოლო ნათლობა პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში მიიღო.

## ქრონოლოგია

- 1713 დაიბადა 24 იანვარს ბერლინში.
- 1740 ავიდა პრუსიის ტახტზე და დაიპყრო სილეზია.
- 1741 პირველი გამარჯვება მოიპოვა მოლვიცის ბრძოლაში.
- 1742 გაიმარჯვა შოტუზიცთან. ავსტრიამ სილეზია პრუსიას დაუთმო.
- 1744 აიღო პრაღა. დაიწყო მეორე სილეზიური ომი.
- 1745 მოიგო ბრძოლები ჰოჰენფრიდბერგსა და სოორთან.
- 1746 გაიმარჯვა ჰონესდორფსა და კესელდორფში.
- 1756 შეიჭრა საქსონიაში, დაიწყო შვიდწლიანი ომი. გაიმარჯვა ლობოზიცთან.
- 1757 აიღო პრაღა, მაგრამ დამარცხდა კოლინთან. გაიმარჯვა როსბახთან, შემდეგ კი ლეიტენთან.
- 1758 მოიგო ცორნდორფის ბრძოლა და დამარცხდა ჰოხკირხენთან.
- 1759 წააგო ბრძოლა კუნდერსდორფთან.
- 1760 გაიმარჯვა ლიგნიცსა და ტორგაუში.
- 1762 გაიმარჯვა ბურკესდორფსა და ფრაიბერგში.
- 1763 ჰუბერტსბურგის ზავით შვიდწლიანი ომი დასრულდა.
- 1786 გარდაიცვალა 17 აგვისტოს პოტსდამში.

## პრუსიის მეფე

როდესაც 1740 წლის 28 მაისს მამამისი გარდაიცვალა, ტახტზე ფრიდრიხი ავიდა და 80000-კაციანი ჯარი მიიღო მემკვიდრეობად. ის დაუყოვნებლივ ჩაერთო ბრძოლაში და დაიკავა სილეზია, რომელიც იმხანად ავსტრიის იმპერიის ნაწილი იყო. ავსტრიელები კონტრშეტევაზე 1741 წლის 10 აპრილს გადავიდნენ. კავალერია დამარცხდა და ფრიდრიხს მარცხნაჭამ თანამებრძოლებთან ერთად მოუხდა ბრძოლის ველის დატოვება. ფრიდრიხმა დაიფიცა, რომ მტერს აღარასოდეს აჩვენებდა ზურგს. მან კავალერია გააუმჯობესა და მას მერე განუწყვეტლივ იბრძოდა.

1742 წლის 17 მაისს შოტუზიცთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ავსტრიელებს ბრესლაუს ზავზე მოუწიათ ხელის მოწერამ, რომლის ძალითაც სილეზია პრუსიის ნაწილი ხდებოდა. ფრიდრიხმა იეჭვა, რომ ავსტრია დაკარგული პროვინციის დაბრუნებას შეეცდებოდა, ამიტომ 1744 წელს 80000 ჯარისკაცით ბოჰემიაში შეიჭრა და 2 სექტემბერს პრაღა აიღო. 1745 წლის 4 ივნისს ავსტრიელები სილეზიაში, ჰოჰენფრიდბერგთან დაამარცხა, მერე კი ისევ ბოჰემიას დაესხა თავს. ამჯერად ისევ მარცხი იგემა და რადგან ავსტრიელებს გზები ჰქონდათ გადაჭრილი, უკან დახევა ვერ მოახერხა და სოორთან 8000 მებრძოლი დაკარგა. მან ჰონესდორფსა და კესელდორფთან შეჭრილი მტრის რაზმები უკუაგდო და დრეზდენის ზავსაც მოაწერა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რომლითაც 1745 წლის დეკემბერში სილეზია ისევ პრუსიის საკუთრებად გამოცხადდა.

## შვიდწლიანი ომი

1756 წლის აგვისტოში ფრიდრიხმა საქსონიაზე შეტევით შვიდწლიან ომს დაუდო სათავე. ამბობენ, საქსონიის ზიზღი მთელი სიცოცხლე გაჰყვა, რადგან სიჭაბუკეში საქსონიის ციხეში ყოფნისას ვენერიული დაავადება გადაიტანაო. ამჯერად მას საქსონიის მოკავშირე სახელმწიფოებთან — ავსტრიასთან, საფრანგეთსა და რუსეთთან მოუწია ბრძოლა. მან ავსტრიელებს ლობოზიცსა და პრაღასთან სძლია, მაგრამ 1757 წლის 18 ივნისს კოლინის ბრძოლა წააგო. მიუხედავად ამისა, დასავლეთში გადავიდა და საფრანგეთის ჯარის სვლა შეაჩერა. ამის მერე ბოჰემიიდან მომავალ ავსტრიელებსა და აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრილ რუსებს შეებრძოლა. ამასობაში კი შვედები დაიძრნენ პომერანიიდან.

ფრიდრიხმა ფრანგულ-ავსტრიული ძალები როსბახთან დაამარცხა, ავსტრიელები ლეიტენსა და ბრესლაუსთანაც გაანადგურა, ხოლო რუსები 1758 წლის 25 აგვისტოს ცორნდორფისკენ უკუაქცია.

14 ოქტომბერს ფრიდრიხს ავსტრიელებმა სძლიეს ჰოხკირხესთან. მისი ჯარი 37 ათას კაცს ითვლიდა, ავსტრიელთა — 90 ათას. მას რუსებმაც სძლიეს კუნერსდორფთან 1759 წლის 12 აგვისტოს. მტერმა მისი დედაქალაქი ბერლინი აიღო.

ფრიდრიხს დრო დასჭირდა ძალაგამოლეული არმიის აღსადგენად. მან მსუბუქი ქვეითები და მობილური არტილერია გააძლიერა და ლიგნიცსა და ტორგაუში ურთულესი ბრძოლები მოიგო. როდესაც რუსეთის დედოფალი ელიზავეტა პეტროვნა გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე, პეტრე III, რომელმაც მშვიდობიანი ურთიერთობა არჩია პრუსიასთან. ამის მერე ფრიდრიხმა შვედეთი გამოთიშა ომიდან. ბურკერსდორფსა და ფრაიბერგში გამარჯვების შემდეგ ომი ხანმოკლე ზავით დასრულდა.

ფრიდრიხი კიდევ 23 წელი მართავდა პრუსიის იმპერიას. როდესაც გარდაიცვალა, პრუსიას 190000-კაციანი ძლიერი არმია დარჩა. ამიტომ გერმანიის ძლიერების ცენტრმა ვენიდან სამუდამოდ გადაინაცვლა ბერლინში.

## ომი ავსტრიასთან

● 1757 წლის 5 ნოემბერს ფრიდრიხის 22 ათასიან არმიას ავსტრიულ-ფრანგულ 41 ათასიან ჯართან მოუხდა დაპირისპირება როსბახთან, საქსონიაში. ორსაათიან ბრძოლაში ფრიდრიხმა 550, მოკავშირეებმა კი — 7 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგეს.

● როსბახის ბრძოლის შემდეგ ფრიდრიხმა სილეზიაში 13 ათასი ჯარისკაცი შეიყვანა და იქ მას 35 ათასიანი მაშველი ჯარი 167 ქვემეხით შეუერთდა. სოფელ ლეიტენის მახლობლად ფრიდრიხი თავისი ჯარით ავსტრიელთა 65 ათასიან არმიასა და 210 ქვემეხს დაუპირისპირდა. 5 დეკემბერს, დილის 5 საათზე, ფრიდრიხმა მოწინავე რაზმი მარცხენა მხრიდან ცრუდარტყმისთვის გაგზავნა, მერე კი მოწინააღმდეგეს მარჯვნიდან მთავარი ძალა შეუსია. მათ მოწინავე ავსტრიულთა ძალებს გვერდიდან დაარტყეს და წინა ხაზი გაარღვიეს. ავსტრიელები ლეიტენში გამაგრდნენ. ფრიდრიხმა სოფელს რეზერვი მიუსია და აიღო, მაგრამ სოფლის ბოლოში ავსტრიელები კარგად იყვნენ გამაგრებულნი. მაგრამ ავსტრიელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა კავალერიის წარუმატებელმა კონტრშეტევამ. დაკარგეს რა 27 ათასამდე კაცი ტყვეების, მოკლულ-დაჭრილთა სახით ავტრიელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს მთელი არტილერია და 46 დროშა. პრუსიელთა დანაკარგებმა მოკლულ-დაჭრილთა სახით 6 400 კაცი შეადგინა. ორი კვირის თავზე ფრიდრიხმა ავსტრიელებს ბრესლაუსთან სძლია და 17 ათასს ტყვესთან ერთად 81 ქვემეხიც ჩაიგდო ხელში.

**მომზადა ლევან ინასარიძემ**



ცორნდორფის ბრძოლაში პრუსიელებმა ფრიდრიხის სარდლობით რუსები უკუაქციეს

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ჩრდილო კოსოვო

2011 წლის ზაფხულში კოსოვოს ჩრდილო ნაწილში ვითარება მკვეთრად გაუარესდა მას მერე, რაც პრემიერმა ჰაშიმ ტაჩიმ კოსოვოს პოლიციის სამსახურს სერბეთის საზღვართან მდებარე საკონტროლო-გამშვები პუნქტების — იარინესა და ბრნიაკის დაკავება უბრძანა. მანამდე ამ საკონტროლო პუნქტებზე პასუხისმგებელი ევროკავშირის მისია იყო, რომელსაც კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის დაცვა ევალებოდა.

2011 წლის 27 ივლისს ალბანელმა პოლიციელებმა საკონტროლო პუნქტი ბრნიაკი დაიკავეს, მაგრამ იარინეს ვერც კი მიუახლოვდნენ, რადგან სერბმა მოსახლეობამ გზა გადაკეტა. მალე სერბებმა ბრნიაკიც დაიბრუნეს და ალბანელ პოლიციელთა ბლოკ-პოსტი მთლიანად დაწვეს.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ კოსოვოში საერთაშორისო უშიშროების ძალების ქვედანაყოფები (KFOR), მაგრამ მათ ცეცხლი გაუხსნეს. ხორვატიის თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით კი არეულობის დროს ცეცხლქვეშ ხორვატიის სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენიც კი აღმოჩნდა, რომელიც KFOR-ის შემადგენლობაში შედიოდა. მაშინ კოსოვოელი პოლიციელების მოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის შედეგად უამრავი ადამიანი დაიჭრა, ერთი ალბანელი სპეცრაზმელი კი დაიღუპა.

KFOR-ის ძალების მეთაურმა, გერმანელმა გენერალმა ერჰარდ ბიულერმა საკონტროლო-გამშვები პუნქტები იარინე და ბრნიაკი აკრძალულ ზონად გამოაცხადა, ხოლო მოსახლეობა გააფრთხილა, რომ სამშვიდობო ძალები თავდაცვის მიზნით აკრძალული ზონის, ხალხისა და ქონების დასაცავად იარაღს გამოიყენებდნენ.

პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა ეს სიტუაცია ფეთქებადსაშიშად შეაფასეს. როგორც KFOR-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩრდილო კოსოვოში, როგორც ჩანს, სერბი სნაიპერები და სამხედრო ფორმირებები იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით გენერალმა ბიულერმა ვითარების გასაკონტროლებლად NATO-ს ხელმძღვანელობას დამატებითი ძალები სთხოვა და ბრიუსელმა ჩრდილო კოსოვოში KFOR-ს 550 გერმანელი და 150 ავსტრიელი სამხედრო მოსამსახურე დაემატა.




*კოსოვომ დამოუკიდებლობა კი მიიღო, მაგრამ სერბებთან დაპირისპირება დროდადრო მაინც ხდება*

ჩრდილო კოსოვოში ძირითადად სერბები სახლობენ, თორემ კოსოვოს მოსახლეობის 90% ალბანელია. ჩრდილო კოსოვოს 120 კვკმ, ანუ მხარის ფართობის 11,1% უჭირავთ.

კოსოვოელ სერბთა საერთო რაოდენობა ამჟამად 112 ათასზე მეტია. ჩრდილო კოსოვოში კი 66 ათასი მოქალაქე ცხოვრობს და მათ შორის 95%-ზე ოდნავ მეტი ეთნიკური სერბია. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია მხარის 3 ჩრდილო თემი: ლეპოსავიჩი, ზვეჩანი და ზიუბინ-პოტოკი, აგრეთვე კოსოვსკა-მიტროვიცას თემის შედარებით მცირე ნაწილი. მთავარი ქალაქი კოსოვსკა-



2011 წლის ზაფხულში სერბეთის საზღვართან დამწვარი ალბანური საკონტროლო-გამშვები პუნქტი



სერბების მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლა

მიტროვიცა კი სერბულ და ალბანურ ნაწილებად არის გაყოფილი.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციით კოსოვოს მხარე და მეტოხია სერბეთის ნაწილია, მაგრამ იმავდროულად, გაეროს პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ამ დროს კი კოსოვოს ხელისუფლება ჩრდილო კოსოვოს საკუთარ ტერიტორიად თვლის.

ფაქტობრივად, ჩრდილო კოსოვო არ ექვემდებარება არც სერბეთის და არც კოსოვოს ხელისუფლებას, ანუ მას საკუთარი ხელისუფლება ჰყავს. მოსახლეობა სერბულ ეროვნულ სიმბოლოებს იყენებს, მონაწილეობს სერბეთის ეროვნულ არჩევნებში და ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს კოსოვოს მმართველობის ორგანოებში.

კოსოვოში განლაგებული KFOR-ის ძალები მხარის ჩრდილო ნაწილში ხელისუფლების ორგანოებს არაკანონიერად თვლიან, რადგანაც 1244 რეზოლუცია პარალელურ სტრუქტურების შექმნას არ ითვალისწინებს. იმავდროულად, ეს რეზოლუცია არ აძლევს იმის უფლებას, რომ ჩრდილოეთში კოსოვოს ხელისუფლების ალბანური ინსტიტუტები უფრო კანონმორჩილად ჩათვალოს, ვიდრე სერბული.

2011 წლის ივლისში ოფიციალურად კოსოვოს ხელისუფლებამ საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაკონტროლება გადაწყვიტეს, რათა სერბეთიდან უკანონო იმპორტი აღეკვეთა. ექსპერტების აზრით კი, ამით პრიშტინას თავად სურდა ბელგრადთან „სავაჭრო ომში" უპირატესობის მიღწევა.

ეს ომი გაჩაღდა მას მერე, რაც 20 ივლისს კოსოვომ ემბარგო გამოაცხადა სერბეთიდან საქონლის შემოტანაზე და საპასუხოდ ანალოგიური აკრძალვა კოსოვოდან საქონლის შეტანაზე სერბეთმა აამოქმედა, მაგრამ იმპორტი სერბეთიდან ბრნიაკისა და იარინეს გავლით ისევ გრძელდებოდა.

ინციდენტმა ანკლავში აშშ-სა და ევროკავშირის უკმაყოფილება გამოიწვია. მათი აზრით, პრიშტინის დასავლეთ მეკავშირეებთან კონსულტაციები უნდა ჩაეტარებინა, სანამ ამდაგვარი ოპერაციის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას მიიღებდა.

როგორც გაირკვა, ჰაშიმ ტაჩიმ ბრძოლაში პოლიცია მას შემდეგ ჩართო, რაც კოსოვოში აშშ-ის ელჩს გაესაუბრა, თუმცა ევროკავშირთან კონსულტაციების გარეშე.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რეგიონში კრიზისი დროდადრო ისევ მწვავდება. ბოლოს ეს მოხდა 2011 წლის დადგომის დროს, როცა ქალაქ კოსოვსკა-მიტროვიცაში აფეთქების და შემდგომ სერბებსა და ალბანელებს შორის შეტაკებაში 10 კაცი დაიჭრა.

2010 წლის იანვარში კოსოვოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ჩრდილო კოსოვოში ჩრდილო მიტროვიცას მუნიციპალიტეტის შექმნას აპირებდა. იმავე წლის აგვისტოში კოსოვოს შინაგან საქმეთა მინისტრ ბაირამ რაჯეპის თქმით, კოსოვოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად ძალასაც კი გამოიყენებდა. ეს განცხადება იმისთვის გაკეთდა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ინფორმაცია, სერბეთი ჩრდილო კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას გეგმავსო.

ამის შემდეგ 2011 წლის ზაფხულში რაჯეპიმ 1-ელ ნოემბრამდე კოსოვოში ყველა პარალელური ინსტიტუტის ლიკვიდაცია მოითხოვა. ასეთი განცხადებისთვის დროც შესაბამისი შეირჩა — ბელგრადი ევროკავშირში მიღების „საგზურს" ელოდა და ბრიუსელთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად განაცხადა, რომ მხარეში გაჩაღებულ კონფლიქტში მონაწილეობას არ აპირებდა.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადიო პალიტრა
FM 103.9

შენი სანდო თანამგზავრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამურაების დაკნინება

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L



ტოკუგავა იეიასუმ, იაპონიას გრძელვადიანი მშვიდობიანობის პერიოდი მოუტანა.

**292** 1600 წლის 21 ოქტომბერს სეკიგაჰარას ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტოკუგავა იეიასუსა (80 000 კაცით) და ისიდა მიცუნარის (100 000 კაცით) ჯარები. დაახლოებით 30000 კაცი დაეცა ბრძოლის ველზე. ტოკუგავას კლანმა გაიმარჯვა და ამ ბრძოლამ ბოლო მოუღო მეომარი პროვინციების ეპოქას.

**293** ტოკუგავა იეიასუ სიოგუნი 1603 წელს გახდა. ეს იყო შედარებით მშვიდობიანი პერიოდის დასაწყისი იაპონიის ისტორიაში, რომელიც 250 წელი გაგრძელდა. 1639 წელს იაპონია „დახურული ქვეყანა" გახდა, აიკრძალა უცხოელებთან კონტაქტი და ქვეყნის დატოვება.



**294** ახლა კლანები აღარ ომობდნენ და მათი არმიები დაიშალა. ომში წასვლა იმ მიზნით, რომ მეორე კლანისათვის მიწა წაერთმიათ, წარსულს ჩაჰბარდა. სამურაული ტრადიციები და რიტუალები კვლავაც ძალაში იყო, ოღონდ სამშვიდობო მიზნებისთვის.

**295** 1853-1854 წლებში აშშ-ის გემების ფლოტილია ტოკიოს ნავსადგურში შევიდა. ამერიკულ ფლოტს მეთიუ პერი მეთაურობდა. მას არ უნდოდა, იაპონია ჩაკეტილი ქვეყანა ყოფილიყო. ტოკუგავას კლანი ისევ მართავდა იაპონიას და სიოგუნმა ტოკუგავამ გადაწყვიტა, ქვეყანა გაეხსნა. ბევრ იაპონელს ეს არ მოსწონდა.



**296** იაპონური სისტემა, სადაც იმპერატორი ძალაუფლებას სიოგუნს უნაწილებდა, 1867 წელს დასრულდა. ამ სისტემამ 675 წელი იარსება. 1867 წელს უკანასკნელმა სიოგუნმა, ტოკიაგა იოსინობუმ, მმართველობაზე უარი თქვა და 1868 წელს იმპერატორი იაპონიის ერთპიროვნული მმართველი გახდა. იაპონელთა ერთი ნაწილისთვის ეს ცვლილებები ძნელი ასატანი იყო.



ამერიკული ფლოტის შესვლამ ტოკიოში იაპონელები შეაშფოთა.

# უკანასკნელი სამურაი



ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, ჰალინგრა L

**297** 1877 წელს საცუმას სათავადო აჯანყდა. სამურაები უკმაყოფილო იყვნენ ცვლილებებით. საუკუნეების განმავლობაში ისინი პატივცემული და გავლენიანი საზოგადოების წევრები იყვნენ, ახლა კი ადგილს ვერ პოულობდნენ იმ იაპონიაში, რომელიც მოდერნიზაციის გზას დაადგა და სადაც საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ფეოდალური მმართველობა გაუქმდა. როდესაც მათ იარაღის დაყრა უბრძანეს, ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა და დაიწყო აჯანყება.



▲ იაპონიის არმიის ჯარისკაცები შაშხანებით (მარცხნივ) უპირისპირდებიან ნაგინატათი შეიარაღებულ სამურაებს.



► ისაიგო ტაკამორი (1828-1877), აჯანყებული ძალების ლიდერი საცუმას აჯანყებისას. ის უკანასკნელი სამურაი მეთაური იყო.

**298** აჯანყების მეთაური გავლენიანი სამურაი ისაიგო ტაკამორი იყო. მისი ჯარი 40 000 კაცისგან შედგებოდა და რიცხობრივად აღმატებულ სახელისუფლებო არმიას შეებრძოლა. სამურაები თავიანთი ტრადიციული იარაღით – ხმლებითა და მშვილდებით იბრძოდნენ, სახელისუფლებო არმია კი – შაშხანებით.

**299** აჯანყება დაახლოებით რვა თვე გაგრძელდა. ის 1877 წლის 24 სექტემბერს, სიროიამას ბრძოლით დასრულდა. ტაკამორის ძალა რამდენიმე ასეულ კაცამდე შემცირდა. მართალია, მოწინააღმდეგე სჭარბობდა, მაგრამ მან დანებებაზე უარი განაცხადა, რადგან ეს ბუსიდოს კანონს ეწინააღმდეგებოდა. დაჭრილმა ტაკამორიმ სეპუკუ გაიკეთა, რადგან არ სურდა, მტერს ხელში ჩავარდნოდა. მისი ჯარის ნარჩენები ცეცხლსასროლი იარაღით ამოხოცეს.

**300** ამ სამურაის შესახებ უამრავი ფილმია გადაღებული. ყველაზე ცნობილია „შვიდი სამურაი“ (1954 წ.), რომელიც რეგიონების ომების პერიოდს ასახავს. მეორე ფილმი, „კაგემუსა“, 1980 წელს გადაიღეს. ორივე ფილმის რეჟისორია აკირა კუროსავა, სამურაებზე გადაღებული ფილმების ყველა დროის საუკეთესო რეჟისორი. ჰოლივუდმაც გადაიღო ფილმები სამურაებზე, მაგალითად, „უკანასკნელი სამურაი“ (2003 წ.), რომელშიც მთავარ როლს ტომ კრუზი ასრულებს.

▼ 2003 წელს „უორნერ ბრაზერსმა“ გადაიღო ფილმი „უკანასკნელი სამურაი“. ფილმში მსახიობი ტომ კრუზი ასახიერებს ამერიკელის როლს, რომელიც სამურაების მხარეს იბრძვის საცუმას აჯანყებისას.



**დაუჯერებელია!**

„ვარსკვლავური ომების“ ტრილოგიის გმირის, დართ ვეიდერის კოსტიუმი სამურაის აბჯრის მიხედვით შეიქმნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხმლების ისტორიიდან

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17, 2013)**

სულხან-საბას მიხედვით ქართველების მეორე საყვარელი ხმალი კალდიმი იყო, რომელიც გორდას მსგავსად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში, განსაკუთრებით ჩეჩნეთში.

ჩეჩენი მეცნიერი ისა ასხაბოვი კალდიმს ჩეჩნური, ვაინახური წარმომავლობის ხმლად მიიჩნევს და განმარტავს, რომ შესაძლოა „კალდამ“ არის დავიწყებული ვაინახური სახელწოდება „კხუელა და“, „კხუელა დაი“, რაც „ბედის განმკარგავს“, „ბედის გამსაზღვრელს“ ნიშნავს.

XVII-XVIII საუკუნეებიდან კალდიმი ხმარებიდან განდევნა კავკასიაში ძალზედ პოპულარულმა ე. წ. „შაშკამ“.

ჩეჩნებისგან განსხვავებით კი, — განაგრძობს ავტორი, — ხევსურეთში თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. „პალაშები“.

სხვა პალაშებთან ერთად კალდიმიც უკანასკნელ დრომდე ხევსურეთმა შემოინახა. ეს დასტურია იმისა, რომ კალდიმი იმდენად ქართული წიაღიდან წარმოქმნილი ხმალი იყო, რომ ხევსურებმა ჩეჩნებისაგან განსხვავებით, ადვილად ვერ დაივიწყეს.

ბატონ ასხაბოვს თავის წიგნში „ჩეჩნური იარაღი“ კალდიმის ქვეთავთან გორდა ხმლის სურათი აქვს დაბეჭდილი და არა კალდიმისა, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ავტორს კალდიმის ხმლის, თუნდაც სამუზეუმო ექსპონატის მოძიება არ შეეძლო.

როგორც ისა ასხაბოვი წერს, ჩეჩნები და ხევსურები მეზობლები არიან და კალდიმის წარმომავლობას ჩეჩნებისა და ინგუშების მუსლიმანობამდელ პერიოდს უკავშირებს.

კალდიმის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის იარაღის კარგი მცოდნე გენერალი ვასილი პოტო, რომელიც ხმალს „კალდინს“ უწოდებს: „კალდინი უპირატესად გვხვდება მთიან დაღესტანში, ხოლო ხევსურებთან ის განსაკუთრებული იარაღია. კალდინი ფართოა და ერთ მხარეს აქვს ჯვრის გამოსახულება წრეზე, ხოლო მეორე მხარეს — მორბენალი მგელი“.

ხევსურულ კალდიმებზეც უფრო ხშირად მგლის დამღებია, ვიდრე გორდას ნიშნები. კალდიმს ახასიათებს ალექსი ჭინჭარაულიც და განმარტავს, რომ „კალდიმი — შედარებით უხარისხო ხმალია ერთგვარი“.

კალდიმის უხარისხობაზე საუბარი საეჭვოა, რადგან ძნელი დასაჯერებელია სულხან-საბას უხარისხო ხმალი „ქართველთა საყვარელი“ ხმლების რანგში აეყვანა.



*ძველ ქართველ მეომრებში შეტევის მთავარი საშუალება ხმალი იყო და ამიტომაც კარგი ხმალი ძვირად ფასობდა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კალდიმი





ეროვნულ მუზეუმში დაცული ხევსურული კალდიმის აღწერილობა:

ხმლის მთლიანი სიგრძე — 90 სმ და პირის სიგრძე — 78 სმ-ია. ხმლის პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესულია, ერთღარიანი, ოდნავ გახრილი. აქვს 10 სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირს ორივე მხარეს ტარიდან 20 სმ სიგრძემდე თითო ფართო ღარი მიჰყვება. ვადაჯვართან ორივე მხარეს ღარებში გამოსახულია ნიშნები 1414, რაც გერმანულ ხმლის პირებზე არსებული ნიშნების მინაბაძია (გერმანული განმარტებით ეს მაგიური ნიშნებია).

ღარის ბოლოში ერთ მხარეს გამოსახულია „სამეფო სფეროს" (სამეფო რეგალია) სტილიზებული გამოსახულება (დამღა) — 1,5 სმ დიამეტრის წრე, რომელსაც ზემოდან ჯვარი ადგას. პირის მეორე მხარეს კი მორბენალი მგელია.

ხმალზე დაგებულია ლითონის ვადაჯვარი, რომლის ზედაპირი მორთულია თითბრის ზარნიშით. ვადაჯვრის ზედაპირზე, ცენტრში ჩიტია, რომელსაც გარშემო ყვავილოვანი ორნამენტი აქვს შემოვლებული. ვადაჯვრის უკანა მხარე მთლიანად დაფარულია ოთხფურცლიანი ყვავილოვანი ორნამენტით.

ხმლის ტარი ხისგანაა დამზადებული. მასზე მონაცვლეობით ლითონის 4 სალტეა გადაკრული და ლითონისავე პატარა გობაკები ამშვენებს. ტარის მოხრილი ბოლოც (ვაშლი) ლითონის გობაკით სრულდება.

ქარქაშიც ხისაა, გადაკრული აქვს მოყავისფრო ტყავი და მასზე ზემოდან დამაგრებულია თითბრის 22 სმ სიგრძის ბუნიკი, თითბრის სალტეები და საცვეთები (გვერდებზე ჩაყოლებული თითბრის გრძელი ფირფიტები).

ქარქაშზე მოცემულია ფოლადის 2 სალტე თასმის გასაყრელი რგოლებით. ზედა სალტე მორთულია თითბრის ზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით, ხოლო ქვედაზე კი — მოზარნიშებული ჩიტი და ყვავილოვანი ორნამენტია გამოსახული.

ფოლადის სალტეებს შორის გადაკრულია მოყავისფრო ტყავი, რომელიც გადაკერილია და ფოჩებით ბოლოვდება.

ერთ-ერთი ვერსიით ხმლის წარმომავლობა იმ ჯვაროსნებს უკავშირდება, რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში თითქოსდა კავკასიაში დარჩნენ. ხმლის ჯვაროსნებთან დაკავშირება განაპირობა კალდიმის დამღამ — სფეროზე (წრეზე) დასმულმა ჯვარმა.

ხმლის მეორე მხარეს კი, როგორც აღინიშნა, არის ე. წ. „მგლის" დამღა, რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით გერმანული წარმომავლობისაა. თავდაპირველად, ეს დამღა (მგლის სტილიზებული გამოსახულება) XIV საუკუნის პასაუელ ხელოსნებს ეკუთვნოდათ, ხოლო XVI-XVII საუკუნეებიდან ამ ნიშანს ზოლინგენის ხელოსნები იყენებდნენ.

ევროპულ ხმლებზე მგელი ძალიან სტილიზებულად არის წარმოდგენილი — 9-11 შტრიხით, როცა ქართული და კავკასიური მგლები მთელი ტანითაა გამოსახული და აქცენტირებულია კიდურები, თავი და ბალანიც კი.

მგლის დამღა ძალიან პოპულარული და სახასიათო იყო ქართული და კავკასიური ხმლებისათვის. სრულებით არ არის გასაკვირი, რომ იგი კალდიმზეა გამოსახული.

XVI-XVII საუკუნეების ზოლინგენის დამღებზე სამეფო რეგალიის (სამეფო სფერო) დამღასაც ვხვდებით. მაგ., XVII საუკუნის დასაწყისში ზოლინგენში მოღვაწე პეტერ მუნიხი დამღად საკუთარ სახელთან ერთად სამეფო სფეროს იყენებდა და ხმლის მეორე მხარეს მგლის დამღას სვამდა.

აქედან გამომდინარე, მანამ, სანამ ჩვენ არ გაგვაჩნია აღნიშნული დამღების უფრო ძველი ქართული ნიმუშები, უნდა ვივარაუდოთ, რომ კალდიმის დამღაც ევროპიდან, გერმანიიდანაა შემოსული, რომელიც ხევსურულ რეალობაში, სავარაუდოდ, „დედალ ფრანგულად" მოინათლა.

ქართული კალდიმის დამღა (სამეფო სფერო), აბსოლუტურად განსხვავდება გერმანული ვარიანტისგან, ისე, როგორც ქართული მგელი გერმანული მგლისგან. მაგალითად, პეტერ მუნიხის შესრულებული „სამეფო სფეროს" დამღა არის წრე, რომელსაც ორქიმიანი (პატარა და დიდი ქიმი) ჯვარი აზის.

ჯვრის ვერტიკალურ ღერძზე რელიეფური წერტილებია გამოსახული. წრე შუაზე იკვეთება ჰორიზონტალურად გავლებული ქორდით, რომელსაც შუა წერტილზე ჯვრის ვერტიკალური ღერძი უერთდება.

ხევსურული კალდიმის „სფერო" შემდეგნაირია: გამოსახულია წრე, რომელსაც ჩვეულებრივი ჯვარი აზის. წრე შუაზე გაყოფილია ჰორიზონტალური ხაზით, რომელსაც შუა წერტილში ჯვრის ვერტიკალური ღერძი უერთდება.

დამღებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ ორივე შემთხვევაში სამეფო რეგალიის „სამეფო სფეროს" დამღად გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

დასადგენია, რომელი უფრო ადრინდელია — ქართული თუ გერმანული ვარიანტი?

ევროპული დამღა ქართულთან შედარებით გაცილებით დახვეწილია და მაღალ დონეზეა შესრულებული.

ქართულ სამეფო რეგალიებში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი XVIII საუკუნემდე „სფერო“ (ამ ნიშანს მხოლოდ ვახტანგ VI-ის დროშაზე და თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევისას ვხვდებით) საერთოდ არ ფიგურირებდა, ხოლო ევროპაში ის ერთ-ერთი მთავარი ინსიგნიაა. ამიტომ უფრო ლოგიკურია ამ ნიშნის ხმალზე დამღის სახით გამოხატვა ევროპელი მონარქების სურვილი ყოფილიყო და ვიდრე ქართველი მეფეებისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს დამღა ევროპიდან შემოსულად უნდა მივიჩნიოთ. იგი პოპულარული გახდა საქართველოში და ამგვარდამღიანი ხმლების დამზადება ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყეს. აქვე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართველი მეიარაღეები მხოლოდ ევროპულ პოპულარულ დამღებს იყენებდნენ, ხოლო ხმლის პირს, ტარსა და ქარქაშს ადგილობრივი წესებით ამზადებდნენ.



მეფე ერეკლე II

*არსებობს ერთი ქართული გადმოცემა, რომელიც კალდიმის ხმლის პოპულარობასა და მაღალ ხარისხს ადასტურებს: „ასპინძიდან გამარჯვებულ ჯარს ნალკის სერზე შეუსვენია. ერეკლეს აქ უხმია დილოიძე და უთქვამს: „ჩემო თუშო, გულადობისთვის აი, ეს ხეობა შენთვის მიჩუქნია“.*

*დილოიძეს ნალკის ბოძებაზე უარი უთქვამს და სანაცვლოდ ერეკლესათვის ხევსურის ხმალი უთხოვია. მეფეს ხევსურისათვის ხმლის წონა ოქრო მიუცია და ის დილოიძისათვის უფეშქაშნია.*

*ეთნოგრაფი სერგი მაკალათია იგონებს: „ზემო ალვანში მაცნობეს, რომ დილოიძის ეს ხმალი გაბო აბაშიძის სახლში ინახებოდა. მე ხმალი გავსინჯე, ხმალი მოხრილია, მას ერთ გვერდზე ახატია პირდაღებული ლომი, მეორეზე კი — ჯვრიანი სფერო.*

*გაბო აბაშიძის თქმით, ამ ხმლის გასასინჯად ხევსურები დღესაც მოდიან, რომ ისინი თურმე ეძებენ დილოიძის ამ ხმალს და დიდ საფასურსაც იძლევიან. ხევსურები ხმალს რომ სინჯავენ, მის სინამდვილეში ეჭვობენ, ხმალი თავისი ფორმით და ნაკეთობით არ ჰგავს ხევსურულ ფრანგულას“.*

*მაკალათიას (მგლის დამღა ლომად აქვს მიჩნეული) აღწერილობით დასტურდება, რომ ხევსურის ხმალი, რომელიც თუშმა დილოიძემ მეფისგან საჩუქრად მიიღო, „ხევსურული კალდიმია“, რომლის საფასურიც ნალკის ხეობაზე მეტი ყოფილა.*

# კაბიანი ხმალი



ასევე ქართული ხმალია ე.წ. იმერული „კაბიანი ხმალი“, რომელსაც კალდიმის პირი აქვს, მაგრამ ორიგინალური ქარქაშითა და ტარის ფორმა-მოყვანილობით გამოირჩევა. ეროვნულ მუზეუმში დაცული კაბიანი ხმლის (კაბიანი კალდიმი) მთლიანი სიგრძე — 88 სმ და პირისა კი — 74,5 სმ-ია. კავკასიის მუზეუმში ნივთი ი. ბერუჩევმა (თბილისი) შემოიტანა. ნივთის წარმომავლობა — იმერული. ხმლის პირი ფოლადისაა, ცალლესული, ცალღარიანი და სწორი. აქვს მკვეთრად დაქანებული 6 სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს შუაში 15 სმ სიგრძის თითო ღარია მოცემული.

ზედა მხარეს ღარში გამოსახულია დამღა „სამეფო სფეროს“ სტილიზებული გამოსახულება — 1 სმ დიამეტრის წრე, რომელსაც ჯვარი ადგას. დამღა შესრულებულია სპილენძის ზარნიშით.

პირის მეორე მხარეს, ღარში, მორბენალი მგლის დამღაა გამოსახული. მგლის ფიგურაზე კარგად ჩანს თათები, სახე და ბალანიც კი (რაც ადასტურებს ხმლის ქართულ და არა ევროპულ წარმომავლობას).

ტარი დამზადებულია ხისგან, რომელზეც გადაკრულია ვერცხლის ორნამენტირებული ფირფიტები და ვერცხლის დაცვარული მავთული (მავთული დაზიანებულია). ფრიად საინტერესოა, რომ ტარი პირთან მიმართებაში 30-გრადუსიანი კუთხის დაქანებითაა დაგებული.

ტარი ბოლოვდება ნისკარტისებური ფორმით, რომელზეც გადაკრულია ორნამენტირებული ვერცხლის ფირფიტები.

ქარქაში ხისაა და მასზე გადაკრულია ყავისფერი ტყავი. ქარქაშს აქვს რკინის ბუნიკი და რკინის ორი ბრტყელი სალტე. ზედა სალტეს სიგრძე 12 სმ-ია. იგი მორთულია რელიეფურად შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰორიზონტალური, რელიეფური ხაზებითაა ჩამოყოფილი.

სალტის უკან მირჩილულია თასმის გასაყრელი რგოლი. მის გვერდით მეორე სალტეა, მისი ზედაპირი დაფანჯრულია, ხოლო უკანა მხარეს მასზეც მირჩილულია თასმის გასაყრელი რგოლი. სალტეების ქვემოთ კი ქარქაშს „აცვია კაბა“, ანუ ქარქაშზე მიმაგრებულია ქალის ქვედაკაბის ფორმის ორმაგი ტყავი. ტყავი ძალზე დაზიანებულია. გახეულია გვერდზე, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქარქაშის „კაბიანი“ მონაკვეთი მხოლოდ „კაბითაა“ დაფარული და მასზე არ არის გადაკრული სხვა ტყავი.

„კაბა“ ხმლის უკანა მხარეს ლითონის სამსჭვალებითაა (დაზიანებული) შეკრული.

ეს ქართული კაბიანი ხმალია, რომელიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში იყო გავრცელებული. კაბიანი ხმალი მხოლოდ ქართულ რეალობაში დადასტურებული ექსპონატია და უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. ამ ხმლისათვის ასევე დამახასიათებელია მოხრილი ტარი, რომელიც ქართულ რეალობას შეესაბამება და კავკასიაში ანალოგი არა აქვს.

რაც შეეხება დამღას, იგი კალდიმისაა, ამიტომ აღწერილი ხმალი ქართული კაბიანი კალდიმია.

# დავითფერული








საქართველოში დადასტურებულია „დავითფერულის“ არსებობა და ამ ტერმინს წარმომავლობის სხვადასხვა ვარიანტი აქვს.

ერთ-ერთი ვერსიით, „დავითფერულის“ ხმალს მეფე დავით აღმაშენებელს უკავშირებენ, მეორე ვერსიით კი XVI საუკუნის იტალიელ მეიარაღე ოსტატებს, ძმებს — ანდრეა (1530-1583 წწ.) და ჯანდონატო (1560-იანი წლები) ფერარებს.

კოტე ჩოლოყაშვილის განმარტებით „დავითფერული — სწორი, პირბასრი, დრეკადი, სამღარიანი ხმალია. ამზადებდნენ საუკეთესო ფოლადისაგან. ფერად „ლიბრი“ (მოლურჯო) იყო. გორდასთან ერთად ერთ-ერთ საუკეთესო, „ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ“ ხმლად ითვლებოდა მთელს საქართველოში და ძვირად ფასობდა“.

სერგი მაკალათია „დავითფერულის“ ფასს 25 ძროხით განსაზღვრავდა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ევროპული ხმლის პირები ძალზედ ინტენსიურად შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ანდრეა ფერარას დამღიანი როგორც ორიგინალები, ასევე მინაბაძი ქართული ხმლები, რომლებიც ქართულ ეთნორეალობაში „დავითფერულის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

დავითფერული ზ. კობიაშვილის კოლექციიდან: მთლიანი სიგრძე — 94 სმ, პირი — 80 სმ.

ხმალი დამზადებულია ფოლადისაგან, ერთღარიანი და ცალლესულია. შუა წელზე ოდნავ გახრილია. აქვს 10-11 სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). ვადაჯვრიდან 20-21 სმ-ზე პირის ორივე მხარეს თითო ღარი დაჰყვება. პირის ერთ მხარეს, ღარში გამოსახულია პატარა ჯვრები, შუაში ლათინური წარწერით FERARA. ღარის ბოლოში კი მორბენალი მგელია ამოკაწრული. მგელს უჩანს თვალი, პირი, წინწკლებით ბალანია გამოხატული; მგელი მიმართულია პირისკენ.

ხმლის მეორე მხარეს, ასევე პატარა ჯვრებში ჩაწერილია ლათინური წარწერა ANDREA და მგელია გამოსახული. მგლის გამოსახულებები თითქმის იდენტურია. პირზე დაგებულია ლითონის ვადაჯვარი, რომლის მთლიანი ზედაპირი მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით.

ხის ტარზე გადაკრულია ყვითელი ხავერდი, რომელიც დაზიანებულია. ტარი შეჭედილია სამი ორნამენტული ვერცხლის სალტით და ბოლოში მოხრილ ადგილზე გადაკრულია ვერცხლისავე ფირფიტა, რომელიც პატარა რგოლით სრულდება.

ტარისა და ვადაჯვრის შეერთების ადგილზე ორნამენტირებული ორი გობაკია. ქარქაში დამზადებულია ხისაგან და გადაკრული აქვს ყვითელი ფერის ხავერდი (დაზიანებულია).

ქარქაშს აქვს ორი სალტე და ბუნიკი. სალტეები ორივე მხარეს ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებითაა მორთული. ერთ მხარეს თასმის გასაყრელი ოვალური რგოლები აქვს.

ბუნიკი 18 სმ სიგრძისაა, მის ორივე მხარეს ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტით მორთული წაგრძელებული ჩარჩოებია გამოსახული.

ეს ხმალი ფერარების ხმლების ქართული მინაბაძია, რომელიც უკანასკნელ დრომდე შემონახული „დავითფერული“ უნდა იყოს.

**მამუკა ქაფიანიძე**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღისა და ძვირფასი ლითონების ფონდის კურატორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არსენალი" თავის ერთგულ მკითხველს ახალი წლიდან სთავაზობს ახალ რუბრიკას „იარაღი კინოში", რომელშიც მოგითხრობთ, თუ როგორ იღებენ მძაფრსიუჟეტიან მხატვრულ ფილმებს, როგორ იყენებენ სხვადასხვა შეიარაღებას და როგორ ცდილობენ რეჟისორები მაყურებლის მოტყუებას არარსებული იარაღითა ან მათი წარმოუდგენელი საბრძოლო შესაძლებლობებით.



# „ავატარის" იარაღის სამყარო

## მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მომგებიანი ჰოლივუდის ბლოკბასტერ „ავატარისთვის" მომავლის იარაღი შეიქმნა



კორპორაცია RDA-ს მებრძოლი და მისი აღჭურვილობა



◄ 6,2 მმ კალიბრის დამოკლებულლულიანი ავტომატური კარაბინი

▼RDA-ს ავტომატური შაშხანა ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით, რომელსაც 6,2 მმ კალიბრის უჰილზო ტყვიებისა და 20 მმ კალიბრის ყუმბარების სროლა შეუძლია



▼20 მმ ქვეკალიბრის ჯავშანგამტანი ჭურვების მსროლელი სნაიპერული შაშხანა, რომლითაც RDA-ს მებრძოლები პანდორას ბინადარი უზარმაზარი ცხოველების განადგურებას ცდილობდნენ





▼პლანეტა პანდორაზე პოლკოვნიკ მაილს კუორიტჩის გმირი, რომელიც კორპორაცია RDA-ს უსაფრთხოების უფროსი და ადგილობრივი, ომატიკაიას ტომის პირველი მტერია, MK6 ტიპის გაზრდილი მანევრირების ეკზოჩონჩხში ზის და ფილმის მთავარი გმირის, ჯეიკის ავატართან შესაბრძოლებლად ემზადება. ეს ეკზოჩონჩხი ფილმისთვის „მიცუბიშის“ ფირმამ დაამზადა. მისი სიმაღლე 4,2 მ-ია, სიგანეში კი 2,8 მ-მდე „გადის“. ეკზოჩონჩხის მასა 1,7 ტონამდეა, თუმცა მისი მასა მერყეობს და დამოკიდებულია, რა იარაღითაა აღჭურვილი. ეკზოჩონჩხს მხარზე დამაგრებული აქვს 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი GAU-90, თუმცა მისი ჩანაცვლება ცეცხლსატყორცნითა და უზარმაზარი კერამიკული დანითაც შეუძლია.

▲პანდორას მფრინავი ურჩხულები თავს ესხმიან დედამიწელების სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენ „სამსონს“. ფილმის მიხედვით „სამსონი“ შეიარაღებულია M60 ტიპის ამერიკული ტყვიამფრქვევებითა და უმართავი რაკეტების გასაშვები დანადგარებით. „სამსონის“ პილოტის კაბინა ჰერმეტიზებულია, ამიტომაც მფრინავს აღარ სჭირდება ჟანგბადის მიწოდების სისტემა. „სამსონის“ ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გვერდებზე დაყენებული ორი ხრახნია, რომლებიც შვეულმფრენს საოცარი მანევრირების უნარს ანიჭებენ. არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ასეთი კონსტრუქციის შვეულმფრენები მართლაც გამოჩნდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შეიარაღებაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზული:** 1. ჯარების მართვის ორგანო; 4. ნავსადგური; 7. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში; 8. უნგრული თეთრი სადესერტო ღვინო; 9. ფრანგი განმანათლებელი, მწერალი, ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი; 10. გვამი, ცხედარი; 11. უნგრული ავტობუსი; 15. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 16. სახელმწიფო აფრიკაში; 17. თვლებიანი მომცრო საზიდარი; 18. დელიბის ოპერა; 20. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 23. მუხლუხებით მავალი საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა; 26. ალბანეთის დედაქალაქი; 28. ინგლისის ფლოტთან დამარცხებული ესპანელთა ...; 29. მაფიის სამშობლო; 30. ასეულის, ესკადრონის ან ბატარეის ქვეგანაყოფი; 31. „ დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა"; 32. საქართველოს მეფე-ქალი, გიორგი III-ის ასული; 33. XVII საუკუნის ინგლისელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

**შვეული:** 1. ამერიკული ძირითადი საბრძოლო ტანკი; 2. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 3. 1990-იან წლებში ქართული სამხედრო პოლიციის უფროსი; 4. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე; 5. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა გარკვეული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ; 6. უშფოთველი, აუმღვრეველი; 12. შენიღბვის ერთ-ერთი სახე; 13. ნაოსნობისთვის სახიფათო წყალქვეშა კლდე; 14. ომის წარმოების ხელოვნება; 19. კარიბის ზღვის ქვეყანა; 21. საომარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია ერთი ამოცანით; 22. რუსული ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ცენტრი; 24. ტრილერი „სპეცრაზმი მოჩვენება: "; 25. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი; 26. მგეზავი; 27. იაპონიის იმპერატორთა ტიტული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. კორიდა; 5. კასტრო; 8. დროშა; 9. ლარსი; 10. პლანი; 11. ბლოკი; 12. იაგუარი; 16. რისკი; 17. ნიდაო; 18. იგორი; 19. რაბლე; 21. ევიტა; 24. ფლოტი; 27. სიცილია; 29. ეკრანი; 30. ოცეული; 31. რილკე; 32. ალაფი; 33. ბალონი; 34. იტალია.

შვეულად: 2. ოიდიპოსი; 3. იმოლა; 4. არამისი; 5. კალიბრი; 6. სერსო; 7. რკინიგზა; 13. არბიტრაჟი; 14. ურდო; 15. რეზიდენტი; 20. ბური; 22. ვალკირია; 23. ტულა; 25. ლეთე; 26. ტაბლოიდი; 27. სტილეტი; 28. ამონალი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# M16 ტყვიამფრქვევის როლში

## COLT-მა „შავი შაშხანა“ ხელის ტყვიამფრქვევად გადააქცია, თუმცა ბელგიურ MINIMI-ს ვერ აჯობა

ამერიკული „შავი შაშხანა“, იგივე ავტომატური საიერიშო შაშხანა M16, მსოფლიომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვიეტნამის ომში გაიცნო. მას შემდეგ M16 ათეულობით ქვეყნის არმიის შეიარაღებაში მიიღეს. ქართული არმიის არსენალში 2007 წლის მიწურულს გამოჩენილი ავტომატური კარაბინი M4, სხვა არაფერია, თუ არა M16-ის დამოკლებული და მოდერნიზებული ვარიანტი.

Colt-ის ფირმას სურდა M16-ის გარდა პენტაგონს მისგან ხელის ტყვიამფრქვევებიც შეეძინა, როგორც ათეულის დონის მხარდამჭერი იარაღის (ამერიკელები ასეთ იარაღს Light/Squad Support Weapon-ს ეძახიან). ამისათვის „კოლტის“ ინჟინრებმა შედარებით ადვილი გზა აირჩიეს და ავტომატური შაშხანა M16-ის ლულის გამსხვილება და სასროლი მექანიზმის გაძლიერება დაიწყეს.

ისე, ამერიკელებს უკვე ჰქონდათ მისაბაძი მაგალითი. მანამდე, 50-იანი წლების მიწურულს, საბჭოთა მეიარაღემ მიხაილ კალაშნიკოვმა თავისი ავტომატის AKM-ის ბაზაზე შექმნა ხელის ტყვიამფრქვევი РПК, რომელიც ჩვეულებრივი „კალაშნიკოვისგან“ დაგრძელებული და გამსხვილებული ლულით, დასაკეცი ფეხებითა და გაძლიერებული სასროლი მექანიზმით გამოირჩეოდა.

თითქმის ანალოგიური ცვლილებების ჩატარების შემდეგ „კოლტის“ მეიარაღეებმა M16-ის ბაზაზე შექმნეს ხელის ტყვიამფრქვევი M16 LSW. მიუხედავად თითქმის იდენტურობისა, ხელის ტყვიამფრქვევში მაინც შეიტანეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. ტყვიამფრქვევის საცემ-სასხლეტი მექანიზმი და საკეტის ჩარჩო ისე გადააკეთეს, რომ სროლა საკეტის ღია მდგომარეობაშიც ყოფილიყო შესაძლებელი. მეორე ცვლილება უკუცემის ზამბარიან ბუფერს შეეხო, რომელშიც ზამბარა ზეთმა შეცვალა, რამაც შეამცირა ავტომატური ჯერებით სროლის ტემპი და შესაბამისად გაზარდა სროლის სიზუსტე. მესამე ცვლილება, რა თქმა უნდა, ლულას შეეხო, უფრო მასიური და მძიმე გახდა, ამასთან მისი შეცვლა ინტენსიური სროლის დროს არ იყო გათვალისწინებული.

ხელის ტყვიამფრქვევის პირველი ვარიანტი M16A1 LSW ვიზუალურად იგივე M16 იყო, ოლონდ ოდნავ დაგრძელებული ლულითა და ლულის ბოლოში დაყენებული დასაკეცი ფეხებით. იარაღის ეს მო-



**ჩვენი დოსიე:** ამერიკული ხელის ტყვიამფრქვევი M16 A4 LSW 5,78 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე ერთ მეტრამდეა, ლულის სიგრძე კი 510 მმ-ს შეადგენს. მჭიდში 5,56 მმ კალიბრის 30 ცალი ვაზნა ჩადის, ხოლო Beta-C-ს ტიპის ორმაგდოლურიანი მჭიდის დაყენების შემთხვევაში ვაზნების მარაგი 100-მდე იზრდება. ხელის ტყვიამფრქვევიდან სროლის ტემპი 600-750 გასროლაა წუთში.

დიფიკაცია პენტაგონმა დაიწუნა და „კოლტის“ ინჟინრებმაც განაგრძეს მუშაობა მის დასახვეწად.

80-იან წლებში „კოლტმა“ გამოუშვა ხელის ტყვიამფრქვევის მოდერნიზებული ვარიანტი M16A2 LSW, რომელსაც დაემატა ხელის წინ მოსაკიდი, ახალი სალულე (რომელიც უკეთესად უზრუნველყოფდა ლულის გაცივებას ჯერებით სროლის დროს) და რაც მთავარია, 100-ვაზნიანი ორდოლურიანი Beta-C.

მოდერნიზებული ხელის ტყვიამფრქვევი აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის სარდლობამ მოიწონა და „კოლტს“ ამ იარაღის პარტია შეუკვეთა.

თითქოს „კოლტმა“ მიაღწია მიზანს — ამერიკული არმიის ქვეითები აღიჭურვებოდნენ მის მიერ წარმოებული ავტომატური საიერიშო შაშხანა M16-ებით და ხელის ტყვიამფრქვევ M16 LSW-ებით, რაც ამ კომპანიას უდიდეს ფინანსურ მოგებას მისცემდა. პრინციპში, წაგებული არც პენტაგონი დარჩებოდა, რადგან ავტომატური შაშხანისა და ხელის ტყვიამფრქვევის დეტალების უდიდესი ნაწილი უნიფიცირებული იყო, რაც მათ ექსპლუატაციას მნიშვნელოვნად გააიაფებდა.

თუმცა დადგა 90-იანი წლები და აღმოჩნდა, რომ „კოლტის“ სიხარული ნაადრევი იყო. პენტაგონმა გადაწყვიტა არმია ბელგიური წარმოების ხელის ტყვიამფრქვევ FN Minimi-თ გადაეიარაღებინა, რომელსაც ამერიკულ არმიაში ახალი სახელწოდება M249 SAW მიენიჭა.

ეტყობა, ამერიკელი გენერლების გადაწყვეტილება გამართლებული იყო, რადგან „მინიმი“ თავიდანვე შეიქმნა როგორც მსუბუქი ტყვიამფრქვევი, განსხვავებით ავტომატური შაშხანა M16-ის ბაზაზე „გაზრდილი“ M16 LSW-სგან და უკეთესი საბრძოლო მახასიათებლებითაც გამოირჩეოდა (სხვათა შორის, დღეს ქართული არმიის შეიარაღებაშია ისრაელის წარმოების Negev-ის ტიპის ხელის ტყვიამფრქვევები, რომლებიც ბელგიური „მინიმის“ ერთგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავტომატური შაშხანის ხელის ტყვიამფრქვევად გადაქცევის ბრიტანული შედეგი — L86A1 LSW, რომელშიც ადვილად ამოიცნობა მისი წინამორბედის, ავტომატური შაშხანის L85A1-ის „ნაკვთები“.

კლონია, თუმცა ქართველ მებრძოლებში დიდი პოპულარობით ნაკლებად სარგებლობს სხვადასხვა ტექნიკური პრობლემის გამო).

მიუხედავად მარცხისა, „კოლტმა“ ფარ-ხმალი არ დაყარა და განაგრძო თავისი ხელის ტყვიამფრქვევის გაუმჯობესება.

ჯერ გამოუშვა მოდერნიზებული ხელის ტყვიამფრქვევი M16A3 LSW ავტომატური შაშხანა M16A3-ის, ხოლო ბოლოს კი M16A4-ის ბაზაზე.

ბოლო ვარიანტს, M16A4 LSW-ს, სერიულად აწარმოებს ამერიკული „კოლტის“ კანადური ფილიალი Colt Canada და მას რამდენიმე ქვეყნის შეიარაღებული ძალები ყიდულობენ.

ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე NATO-ს წევრი ქვეყნების მებრძოლების ნაწილი, მათ შორის ამერიკელი საზღვაო ქვეითებიც, ავღანეთში იყენებენ „კოლტის“ ხელის ტყვიამფრქვევ M16 LSW-ს, რომელმაც პენტაგონის გული მაინც ვერ მოიგო.

**ირაკლი ალადაშვილი**

ის, რაც ვერ შეძლო ამერიკაში კოლტმა“, „კალაშნიკოვმა“ საბჭოთა კავშირში გააკეთა და შეიარაღებაში საბჭოთა არმიას AK-74 ტიპის 5,45 მმ კალიბრის ავტომატთან ერთად, იმავე კალიბრის ხელის ტყვიამფრქვევი РПК-74 მიაღებინა. თუმცა ამერიკელებისა არ იყოს, არც საბჭოთა სამხედროები იყვნენ აღტაცებულნი „კალაშნიკოვის“ ავტომატის ხელის ტყვიამფრქვევად გადაკეთების შედეგით.






ISSN 1987-5061